პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეცხრე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
და
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (უოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმეზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე
გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან და შის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 4, ტელეფონი № 8-81.

ხელისმოწერის ფასი
მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების წითელარმიელების, მოწ. ფედების და მასწავლებლებ. სათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან., 30 კ.

საქართველოს ფარგლებში: ნონპარელის სტრიქონი ტექსტის ბოლოში—80 კაპ., ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კაპ.; საქართველოს გარეთ: ტექსტის ბოლოს ნონპარელის სტრიქ.—1 მ. 50 კაპ., ტექსტში—3 მან.; განცხადებული, გარდა განცხადების ფასისა, იხდის 10 % საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად—შეღავათი შეთანხმებით. მთავარ კანტორაში განცხადებები მიიღება 9-დან 3½ საათამდე. შემდეგ განცხადება ეღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15, 20 და 25 მან. „კომუნისტი“-ს ექსპედიცია მოთავსებულია კამოს ქ. № 68, ტელ. 5—43

დ ღ ი უ რ ი

- საფრანგეთის მემაღაროეთა გაფიცვა ფართოვდება
- კომუნისტ ხმოსნებისა და უმუშევრების შეტაკება პოლიციასთან და მენშევიკებთან ესსენში და ფრანკფურტში (გერმანია).
- ავღანისტანის მთავრობის ჯარების შეტევა წარმატებით ვითარდება.
- ტერორი სამხრეთ-სლავიაში.
- ოპოზიციური პარტიები დაშლილად არის გამოცხადებული.
- თურქეთის მთავრობა უარჰყოფს ხმებს აჯანყების შესახებ სივასის პროვინციაში.
- ავღანისტანში ჩავიდა თურქეთის სამხედრო მისია.
- საფრანგეთის ჰიდროპლანის დაღუპვა.—დაიღრჩო 5 კაცი.

პარასკევი, 11 იანვარი 1929 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 8 (2354)

პოლონელ იმპერიალისტების სიტყვა და საქმე

პოლონეთის პრესამ მხოლოდ ამ დღეებში გამოაქვეყნა ზალესკის ინტერვიუ, რომელიც მას ერთი თვის წინედ ლუგანოში მიუცია ამერიკულ სააგენტოს წარმომადგენლისათვის. შემთხვევითი არ არის, რომ სწორედ ეხლა გაიხსენეს ეს ინტერვიუ. სურთ შეანელონ იმ პოზიციით გამოწვეული შთაბეჭდილება, რომელიც პოლონეთის მთავრობა ფიქრობს დაიკავოს ამხ. ლიტვინოვის წინადადებასთან დაკავშირებით და რომელიც ადასტურებს ხსენებულ მთავრობის ანტისაბჭოთა ზრახვებს.

ზალესკის ამ ინტერვიუში განცხადებაა: „პოლონეთს არავითარი პრეტენზიები არა აქვს სხვის მიწებზე. ხმები, თითქო პოლონეთი ემზადება იკისროს ავანგარდის როლი საბჭოების წინააღმდეგ, უსაფუძვლოა“-ო. მაგრამ ეს მხოლოდ ლიტონი სიტყვებია, სინამდვილე კი სულ სხვას გვეუბნება, სახელდობრ იმას, რომ პოლონელი იმპერიალისტები ცდილობენ საბჭოთა კავშირის ხარჯზე გაფართოვებას, ამ მიზნით იყენებდნენ თეთრგვარდიელთა ემიგრაციას და ინგლის-საფრანგეთის ბლოკის ხელმძღვანელობით ნაბიჯებს სდგამენ ბალკანეთის ქვეყნებიდან მთლიანი ანტისაბჭოთა ფრონტის შესაქმნელად.

ყველაფერ ამის დამამტკიცებელი ფაქტები არა ერთხელ ყოფილა გამომჟღავნებული. მაინც აქ არ შეგვიძლია გვერდი აუხვიოთ „ოფ ექსპრეს“-ის დეპეშათა სააგენტოს პრაღელ კორესპონდენტის ინფორმაციას, რომელიც ეხება პოლონეთის ანტისაბჭოთა-მზადებას. თითქო ზალესკის ზევით მოყვანილ განცხადების გასაბათილებლად, ეს კორესპონდენტი გადმოგვცემს: უკანასკნელად საფრანგეთიდან პოლონეთში შემოიტანეს დიდძალი იარაღი, რომელსაც გზავნიან უკრაინის მოსაზღვრე რაიონში; შუა იანვარს ვარშავაში გაიმართება პეტლიუროველთა ყველა ევროპიულ ორგანიზაციების კონფერენცია; პოლონეთის სამხედრო წრეებში ფიქრობენ გამოიწვიონ უწესოება საბჭოთა კავშირში უკრაინელ ემიგრანტების დახმარებით; მათ იმედი აქვთ, რომ ამ შემთხვევაში ისინი დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებისაგან მიიღებენ „მანდატს საბჭოთა უკრაინის განთავისუფლებისათვის“(?), — აი, რას გადმოგვცემს ხსენებული კორესპონდენტი. აგრეთვე საგულისხმოა დღევანდელი ცნობა, რომ ლვოვში გაიხსნა პოლონეთის აღმოსავლეთ ნაწილის ვოევოდების (გუბერნატორების) თათბირი უკრაინული საკითხის შესახებ. ეს მეტად საეჭვო ხასიათის თათბირია, რომელიც, ცხადია, მიზნად ისახავს პოლონეთის უკრაინელთა და ბელორუსთა განმათავისუფლებელ მოძრაობის გასანადგურებლად ზომების გამომუშავებას, არამედ აგრეთვე ნიადაგის მომზადებას საბჭოთა უკრაინისა და ბელორუსიის წინააღმდეგ ვარშავის იმპერიალისტურ გეგმების გასატარებლად.

ასეთია ფაქტები. — ზალესკი კი ლამობს ჩვენი სიფხიზლე მიაძინოს პოლონეთის იმპერიალისტების „მშვიდობის-მოყვარეობაზე“ ზღაპრების გავრცელებით.

ზალესკი შემდეგ ამბობს: „პოლონეთი ისწრაფვის საბჭოთა კავშირთან განავითაროს სამეურნეო ურთიერთობა, თუ დღემდე პოლონეთსა და საბჭოთა კავშირს შორის არ არის დადებული სავაჭრო ხელშეკრულება, — მთავარ სიძნელეს ამ მხრივ წარმოადგენს მხოლოდ საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის სისტემა“-ო. საგარეო ვაჭრობის მონოპოლია საბჭოთა ეკონომიური სისტემის ერთ-ერთი საფუძველია, რომელიც მომავალშიც შეურყეველი დარჩება. და ხომ არ ფიქრობს პოლონეთის გარეშე საქმეთა მინისტრი არ დაამყაროს ჩვენთან ნორმალური სამეურნეო დამოკიდებულება მანამდე, სანამ ეს მონოპოლია იქნება. ჩვენი საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის წინააღმდეგ გალაშქრება არის საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ გალაშქრება. ამასთან, თავისთავად საბჭოთა საგარეო ვაჭრობის მონოპოლიაში როდი მდებარეობს „მთავარი სიძნელე“, რომელიც პოლონეთს აჩერებს ჩვენთან საჭირო ეკონომიურ ურთიერთობის შექმნისაგან. გერმანიის და კიდევ ბევრ სხვა სახელმწიფოს მაგალითები გვიჩვენებენ, რომ ამ მონოპოლიის პირობებში მოსახერხებელია საბჭოთა კავშირისა და კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის საქმიანი თანამშრომლობის განხორციელება ორივე მხარისათვის სასარგებლოდ. თავი და თავია პოლონეთის მმართველთა ის იმპერიალისტური ზრახვები, რომელთა შესახებ ზევით ვილაპარაკეთ.

მაგრამ პილსუდსკის ანტისაბჭოთა ზრახვების გატარება სერიოზულ დაბრკოლებებს აწყდება. გარდა იმისა, რომ მთლიანი ანტისაბჭოთა ფრონტის შექმნას აძნელებს კაპიტალისტურ ქვეყნებ შორის არსებული წინააღმდეგობანი, პოლონეთის მთავრობას შინ ზურგი სრულებითაც არა აქვს მტკიცე. აი, მაგ., რას სწერენ პოლონელი მუშები (ლვოვიდან) კიევის მუშებს ამხ. ლიტვინოვის ნოტასთან დაკავშირებით: „საბჭოთა კავშირი გულწრფელად იბრძვის მშვიდობიანობისათვის და მშრომელთა ბედნიერებისათვის. ჩვენ არ გვსურს ხელახლა სისხლის ღვრა, საშინელება და წამება. ვაი იმას, ვინც ხელს აღმართავს მშვიდობიანობის ერთგული დარაჯის — საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ“. ესაა ხმა არა მარტო ლვოვის მუშების, არამედ მთელი პოლონეთის რევოლიუციონურ პროლეტარიატის, რომელიც მედგრად იბრძვის როგორც პილსუდსკის ფაშისტური დიქტატურის, ისე უკანასკნელის საგარეო ავანტიურების წინააღმდეგ. პოლონელ ავანტიურებს ხელფეხს უბორკავს აგრეთვე ნაციონალურ ურთიერთობათა გამწვავება პოლონეთში. რა თქმა უნდა, ოდნავადაც არ შეეფერება სინამდვილეს ზალესკის სიტყვები (მისი ინტერვიუდან), რომ თითქო პოლონეთში „ეროვნული უმცირესობანი კარგ მდგომარეობაში არიან“. ყველამ იცის პოლონეთში მოსახლე უკრაინელთა, ბელორუსთა და სხვა ეროვნულ უმცირესობათა განუწყვეტელი და სასტიკი დევნის ფაქტები.

ასეთ პირობებში პოლონეთის მესვეურთა ანტისაბჭოთა ნაბიჯები ადვილად შეიძლება მათი სახელმწიფოსათვის კატასტროფით დამთავრდეს, რო არაფერი ვსთქვათ იმაზე, რომ საბჭოთა კავშირთან დამოკიდებულობის მოუწესრიგებლობა დიდ ზიანს აყენებს პოლონეთის მეურნეობას.

ჩვენ არ ვფიქრობთ, რომ პოლონელი იმპერიალისტები ამჟამად გაბედავენ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მახვილის აღმართვას, — ამისათვის ნიადაგი მზად არ არის,—მაგრამ ამ მხრივ ისინი განაგრძობენ ცდებს, ეს უდავოა. ამას ჩვენი მშრომელები „მხედველობაში იღებენ“.

კლასობრივი ბრძოლა სოფლად

დღითი-დღე უფრო მკაფიოდ ისახება ის ძირითადი ხაზები, რომელთა ფონზედაც ვითარდება კლასობრივი ბრძოლა სოფლად.

რაც უნდა მრავალფეროვანი იყოს, პირველი შეხედვით, ამ ბრძოლის ფორმები, ამ ბრძოლის ყოფა-ცხოვრებითი გარეგანი მიზეზები, რაც უნდა ბუნდოვანად გვეჩვენებოდეს იმ ძალთა მოხაზულობა, რომელნიც მონაწილეობას იღებენ ამ ბრძოლაში—ერთი რამ სავსებით უდავო და აშკარაა: იმ ბრძოლაში, რომელიც ამჟამად სწარმოებს სოფლად, ამ ბრძოლის ეხლანდელ გამწვავებულ ეტაპში, გამოხატულებას პოულობს კულაკების კონტრ-იერიში სოციალისტური შეტევის საპასუხოდ და ის წინააღმდეგობა, რომელსაც უწევენ კლასობრივად მტრული ელემენტები რეკონსტრუქციის პროცესებს სოფლის მეურნეობაში და პარტიის ხაზს, რომელიც მიმართულია პროლეტარული გავლენის განმტკიცებისაკენ გლეხთა მასისათვის ხელმძღვანელობის გაწევის საქმეში.

სოფლად წარმოებული კლასობრივი ბრძოლის ეს ძირითადი სოციალურ-პოლიტიკური ფონი მით უფრო ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ მემარჯვენე გადახრის წარმომადგენელნი ჩვენს პარტიაში სცდილობენ თავზე მოახვიონ პარტიას მოღალატთა ისეთი „ახსნა-განმარტება“, რომლის მიხედვითაც ეს მოვლენები წარმოადგენენ „სოფლის რეაქციას“ ჩვენ მიერ სოფლის მეურნეობაში წარმოებული პოლიტიკის „უპერსპექტივო“ კურსის საპასუხოდ. სოფლად წარმოებული კლასობრივი ბრძოლის ეხლანდელი ეტაპის ამგვარად დახასიათების ცდა განსაკუთრებით გავრცელებულია სოფლის პარტორგანიზაციების ზოგიერთ ფენებში, მეტად დამახასიათებელია ზოგიერთი პარტიული მუშაკის (რა თქმა უნდა, არა მარტო სოფლელი მუშაკის) განცხადება, რომ ღარიბი გლეხობა მხოლოდ „პოლიტიკურ დასაყრდენს“ წარმოადგენს ჩვენთვისო, რომ სამეურნ. ანალიზი არ შეიძლება კლასობრივ დაჯგუფებათა „განყენებული ანალიზით“ შევცვალოთო, ღარიბ გლეხობაზე დაყრდნობით არ შეიძლება მასები გავიყოლიოთო და სხვ.

ზედმეტია იმის მტკიცება, რომ კლასობრივი მტრის უკუგდება სოფლად და მის წინააღმდეგ შეტევის განვითარება წარმოუდგენელია უიმისოდ, თუ ამავე დროს გადამჭრელი ბრძოლა არ გამოეცხადა ოპორტუნისტულ განწყობილებებს და იდეოლოგიურ მერყეობას კომუნისტების ცალკე ფენებს შორის. თუ ბრძოლა არ გამოეცხადა სოფლად წარმოებული კლასობრივი ბრძოლის ხასიათის ზემოთ აღნიშნულ „ახსნა-განმარტებას“, ვინაიდან ასეთ ახსნა-განმარტებას შეუძლია განაიარაღოს სოფლის პარტორგანიზაციები განუხრელი მტკიცე სოციალისტური შეტევის საქმეში. ამავე დროს სწორედ ეხლა მართებთ სოფლის პარტორგანიზაციებს განსაკუთრებული აქტივობა, პარტიის ხაზის განუხრელი ლენინური სიმტკიცით გატარება და ღარიბ და საშუალო გლეხთა მასების სამეურნეო განვითარების ამოცანების სწორად და მოხერხებულად შეფარდება სოფლის მეურნეობაში სოციალისტური სექტორის გაძლიერებასთან.

კლასობრივ მტერს მშვენივრად ესმის, თუ საიდან მოელის მას მთავარი საფრთხე და სწორედ მასთან დაკავშირებით მის შემოტევას პარტიის ეხლანდელი ხაზის წინააღმდეგ განსაკუთრებით მწვავე ხასიათი ეძლევა. მეტად ნათლად სჩანს საბჭოების არჩევნებში. ტყუილად კი არ იჩენს კულაკობა საარჩევნო ბრძოლაში არაჩვეულებრივ აქტივობას. და მართლაც: საბჭოების შემადგენლობის საკითხი, საბჭოებში ისეთი ხალხის გაყვანა, რომელიც მტკიცე საიმედო რევოლიუციონური ხელით გაატარებს პარტიის და საბჭოთა ხელისუფლების ხაზს, დარაზმავს ღარიბ გლეხობას და შეაკავშირებს მასთან საშუალო გლეხობას მშენებლობის ყველა დარგში,—ერთის სიტყვით, სოფლად საბჭოების მუშაობისათვის პროლეტარული ხელმძღვანელობის გაწევის საკითხი მე-15 პარტყრილობის გადაწყვეტილებათა თვალსაზრისით უაღრესად აქტუალურ პოლიტიკურ მნიშვნელობას ღებულობს. სწორედ ამასთან არის დაკავშირებული კულაკების აქტივობა საარჩევნო ფრონტზე.

ამ აქტივობის მაჩვენებელია ახალი მეთოდები, კულაკური კონტრ-შეტევის მეთოდები, კულაკების ბრძოლა საარჩევნო ასპარეზზე ტერორის სხვადასხვაგვარ ფორმასთან ერთად (მკვლელობა და ცეცხლის წაკიდება, დაშინება, დეთრობის და მოსყიდვის „სისტემა“) ჩვენ ვხედავთ ამომრჩევლის ინტენსიურ იდეოლოგიურ მომზადებას. კულაკები ცდილობენ ხელში ჩაიგდონ კედლის გაზეთები, საარჩევნო კომიტეტები, იკისრონ თვითკრიტიკის ინიციატივა, რათა დემაგოგიურად გამოიყენონ იგი თავიანთი კლასობრივი ხაზის დასაფარავად. ასეთი მატერიალური და იდეური არაღით იბრძვიან სოფლად კულაკები და მათთან კლასობრივად დაკავშირებული ელემენტები.

სათანადო წინააღმდეგობას უწევენ თუ არა ამას ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები ღარიბ გლეხობის აქტიურად დარაზმვით და საშუალო გლეხთა მასებში გავლენის განმტკიცებით? აწარმოებენ თუ არა ისინი საინიციატივო ბრძოლას კულაკების წინააღმდეგ სოციალისტური პოზიციების გაფართოებისა და გაღრმავებისათვის? სხვადასხვა ცნობებიდან, რომლებიც ხშირად ქვეყნდება პრესაში, სჩანს, რომ ეს საპასუხო აქტივობა მეტად სუსტია. ხშირად საარჩევნო კომისიაში შედიან არასასურველი ელემენტები, ზოგიერთი პარტიული ორგანოები იჩენენ დაუდევრობას—დეკორატიულად და ზერელედ ასრულებენ მათთვის დაკისრებულ ამოცანებს ღარიბთა შორის მუშაობის საქმეში. ყოველსავე ამას ზედ ერთვის ის, რომ ხშირად უყურადღებოთ რჩება როგორც კულაკების აშკარა მტარვალობის ფაქტი, ისე სწორი პარტიული ხაზის დარღვევა საშუალო გლეხის მიმართ;

სუსტი მუშაობა ღარიბთა შორის აძლიერებს კულაკობის პოზიციას; მაგრამ ერთი წუთითაც არ უნდა დავივიწყოთ, რომ ამ პოზიციის გაძლიერებასვე იწვევს პარტიის ხაზის დამახინჯება საშუალო გლეხისადმი დამოკიდებულების საკითხში. კულაკები ცდილობენ ყოველნაირად გამოიყენონ ეს დამახინჯება, რათა უზრუნველჰყონ თავიანთვის საშუალო გლეხთა მასების დახმარება თუ არა, მათი ნეიტრალიტეტი მაინც. ამ ნეიტრალიტეტისა და თანაგრძნობის ძებნაში მიმართავენ ისეთ სხვადასხვა „საერთო“ ლოზუნგებს — ყველა ჩვენთვის „ერთნაირად“ მავნებელია ასეთი პოლიტიკა. ჩვენ ყველას „ერთნაირად“ გვესაჭიროება ესა და ესაო. ლუდორვაის პროცესმა ნათლად დაგვანახვა, თუ რანაირ ხრიკებს მიმართავს ჩვენი კლასობრივი მტერი სოფლად „საყოველთაო თანასწორობის“ ლოზუნგების საფუძველზე, თუ როგორ ცდილობს კულაკი ამ ლოზუნგების საშუალებით შექმნას ანტაგონიზმი პროლეტარიატსა და საშუალო გლეხობას შორის. ვუპირისპირებთ თუ არა ჩვენ ამას საშუალო გლეხობისათვის საკმაოდ სწორი ხელმძღვანელობის გაწევას? კეთდება თუ არა ყველაფერი იმისათვის, რომ სოფლის მშენებლობის ყოველ კონკრეტულ საკითხზე,—ეხება იგი საადგილ-მამულო საქმეებს, თუ საკრედიტო კოოპერატიულ ან ისეთ კამპანიებს, როგორიცაა, სავადასახადო, თვითდაბეგვრის კამპანია და სხვ.—ნათლად დავამტკიცოთ, რომ „საყოველთაო თანასწორობის“ კულაკური პოლიტიკა მიმართულია არა მარტო ღარიბი გლეხობის, არამედ საშუალო გლეხობის წინააღმდეგაც? დაუშვებელი პოლიტიკური სიბეცე იქნება ვთქვათ, რომ ამ მხრივ ჩვენში ყველაფერი რიგზეა. საჭიროა კონკრეტულად გამოვარკვიოთ, რა დეფექტები და სუსტი მხარეები აქვს ჩვენს მუშაობას ადგილებზე. საჭიროა გავაძლიეროთ მთელი მასის აქტივობა ამ დეფექტების დაძლევის საქმეში. და ამას მით უფრო ადრე მივაღწევთ, რაც უფრო ნათელი გახდება მთელი პარტიული მასისათვის სოფლად წარმოებული ბრძოლის, კერძოდ, საარჩევნო ბრძოლის, ძირითადი სოციალურ-პოლიტიკური ფონი. ამ აშკარა კლასობრივ ფონის თვალსაზრისით უხეში პოლიტიკური შეცდომა იქნება საშუალო გლეხის მიმართ აღებული ხაზის დამახინჯების წინააღმდეგ ბრძოლა დავაშოროთ კულაკის წინააღმდეგ ბრძოლას, სოციალისტური შეტევის საერთო ხაზს, ღარიბ გლეხთა დარაზმვას. აბსოლიუტურად დაუშვებელია, რომ კულაკის წინააღმდეგ მიმართული მახვილი შეეხოს საშუალო გლეხს. სწორედ ასევე დაუშვებელია ანგარიში არ გაუწიოთ იმას, რომ საშუალო გლეხთან კავშირის განმტკიცების ამოცანასა და სოფლის კაპიტალისტურ ელემენტებზე შემდგომი გაძლიერებული შეტევის ამოცანას შორის მჭიდრო ორგანიული კავშირი არსებობს.

ცეკას უკანასკნელი მიმართვა პარტორგანიზაციებისადმი საბჭოთა არჩევნების შესახებ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „აუცილებელ პირობას იმისათვის, რომ პარტიამ წარმატებით შეასრულოს მის წინაშე დასახული ყველა ის ამოცანა, რომელიც დაკავშირებულია მომავალ არჩევნებთან, წარმოადგენს ყველა პარტორგანიზაციის მიერ მკაფიო კლასობრივი ხაზის თანამიმდევრობითი გატარება, გადაჭრით დაძლევა ყოველგვარი გადახრისა ლენინური ხაზიდან, გადაჭრით დაძლევა როგორც იმ გადახრისა, რომელიც გამოიხატება კულაკისათვის ჯეროვანი წინააღმდეგობის გაუწევლობაში, ისე იმ გადახრისა, რომელიც სათანადოთ ვერ აფასებს მუშათა კლასის კავშირს საშუალო გლეხობასთან. მხოლოდ ასეთი მკაფიო ხაზი შესაძლებლობას მისცემს პარტიას ალაგმოს კულაკობა და ყველა ანტისაბჭოთა ელემენტი და მუშათა კლასთან ერთად გლეხობის ფართო მასები გამოიყვანოს კულაკის და ნეპმანის წინააღმდეგ“.

კლასობრივი ბრძოლა სოფლად ამჟამად თავის უმაღლეს გამოხატულებას ჰპოვებს საარჩევნო კამპანიაში, რაც, თავისთავად ცხადია. დაკავშირებულია ძირითად პოლიტიკურ საკითხთან, ვის ხელში იქნება სოფლის საბჭოები, ვინაიდან პრაქტიკულად სწორედ ამაზეა დამოკიდებული ჩვენი ძირითადი ამოცანის შესრულება სოფლად სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის თანდათანობითი განხორციელება ღარიბ გლეხთა ინდივიდუალური მეურნეობების მასიურ აღორძინებასთან ერთად. ამიტომ პარტიამ ამჟამად უდიდესი ყურადღება უნდა მიაქციოს საბჭოების არჩევნებში მასების დარაზმვას ლენინური დროშის ირგვლივ, კლასობრივ მტერზე შემდგომი გადამწყვეტი შეტევის განვითარებას.

„პრავდა“, 10 იანვარი.

ჩინეთ-იაპონიის ახალი კონფლიქტი

ხმები პოლონეთის მთავრობის რეკონსტრუქციის შესახებ.--რაძივილი--ზალესსკის მაგიერ

ბრძოლა კელოგის პაქტის მომხრეებსა და მოწინააღმდეგეებს შორის შეერთ. შტატების სენატში

ამხ. ლიტვინოვის ნოტის გამოძახილი

„საბჭ. კავშირის წინადადებები გულწრფელია“

კოვნო, 9 იანვ. ლიტვის მთავრობის წრეებთან დაახლოებული ორგანო „მუსუ რიტოიუს“-ი კომენტარიებს უკეთებს ლიტვინოვის ნოტას და სწერს:

„ჩვენს მთავრობას არავითარი საფუძველი არა აქვს არ დაუჯეროს საბჭოთა კავშირის წინადადებას, განსაკუთრებით მაშინ, როცა ეს წინადადება ამტკიცებს, რომ საბჭოთა კავშირს მართლაც სურს მშვიდობიანობა“.

გამოძახილი ამერიკაში

ნიუ-იორკი, 9 იანვ. „ივნინგ ტელეგრამ“-ი მოწინავე წერილში დაწვრილებით ეხება ლიტვინოვის ნოტას კელოგის პაქტის ძალაში შესვლის შესახებ. გაზეთი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ **საბჭოთა კავშირი არის პირველი სახელმწიფო, რომელიც ცდილობს ნამდვილად განახორციელოს კელოგის პაქტი.**

„ვაშინგტონ სტარ“-ი მოწინავე წერილში სწერს: „საბჭოთა რუსეთი წინადადებას იძლევა კელოგის პაქტი გადაქცეულ იქნას სინამდვილედ. საბჭოთა წინადადების წინააღმდეგ, რომელიც წმინდა პრაქტიკულ ნაბიჯს წარმოადგენს, საფუძვლიან არგუმენტს. ვერავინ წამოაყენებს“. (ადს).

„ტან“ აფრთხილებს პოლონეთს

პარიზი, 9 იანვ. „ტანი“ მოწინავე წერილში ეხება საბჭოთა იმ წინადადებას, რომელიც მან პოლონეთს მისცა, და სცდილობს გააფართოვოს მის მიერ პირველად წამოყენებული საბუთები საბჭოთა პროექტის წინააღმდეგ. „ტანი“ სწერს:

„რადგან წინადადება ეკუთვნის მოსკოვს, რომელიც რევოლიუციონურ მიზნებს ისახავს, უდიდესი სიფრთხილით უნდა მოვეპყრათ ამ წინადადებას და უნდა მივიღოთ იგი მხოლოდ მაშინ, როცა გამოვარკვევთ მის ნამდვილ მიზნებს და მისგან გამომდინარე პირდაპირ და არა პირდაპირ შედეგებს. პოლონეთს უფლება აქვს იკითხოს: ხომ არ შეიცავს ეს წინადადება მახეს, ხომ არ სცდილობენ ამ წინადადების ავტორები ჩამოაშორონ პოლონეთი მოკავშირეებს და ჩააყენონ იგი უხერხულ მდგომარეობაში ლიგის წინაშე. დაუშვებელია პოლონეთის მხრივ, რომ მან რუმინეთისა და ბალტიის ქვეყნების გარეშე მოაწეროს ხელი ოქმს. პოლონეთმა არ უნდა უპასუხოს მოსკოვს, სანამ მიღწეული არ იქნება სრული შეთანხმება ამ საკითხში რუმინეთთან. დარწმუნებულნი უნდა ვიყოთ, რომ ვარშავა და ბუქარესტი, რომლებსაც ერთნაირად ძლიერით საფრთხე, ბოლომდე შეინარჩუნებენ მთლიანობას ამ საქმეში.. რუმინეთი ფრთხილად უნდა იყოს. ყოველ შემთხვევაში მის მიერ ოქმის მიღების საკითხი არ შეიძლება დაექვემდებაროს ისეთ პირობებს, რომლებიც ზიანს მიაყენებს მის უდავო უფლებებს ბესარაბიაზე“. (ადს).

რაპალოს ხელშეკრულება გერმანია-საბჭოთა ურთ ერთობის ურყევ საფუძვლად რჩება

ბერლინი, 9 იანვარი. „დოიჩე ტაგესცაიტუნგ“-ი კომენტარიებს უკეთებს სიტყვას, რომელიც წარმოსთქვა საბჭოთა კავშირში გერმანიის ელჩმა ფონ-დირკსენმა რწმუნების სიგელის ჩაბარების დროს და სწერს:

„ნეიტრალურ სახელმწიფოთა ის პრესა, რომელიც დარაჯად უდგას საფრანგეთის პროპაგანდას და თვალყურს ადევნებს, თუ რამდენად რჩება გერმანია ლოკარნოს ხელშეკრულების ერთგული. უკმაყოფილოა და აცხადებს, რომ გერმანიას არ უნდა აფიქრებდეს ლოკარნოს პოლიტიკის მარცხი, **რადგან ახალი ანტანტა უნდა გამოვიდეს ერთი ფრონტით—საბჭოთა კავშირისა და ჩრდ.-ამერიკის შეერთებული შტატების წინააღმდეგ.**

მოსკოვში გერმანიის ელჩის მიერ თავის მოვალეობის ასრულების დაწყების დროს ორივე მხარემ განსაკუთრებით მკაფიოდ და ხაზგასმით აღნიშნა, რომ რაპალოს ხელშეკრულება გერმანია-საბჭოთა კავშირის დამოკიდებულების მტკიცე და ურყევ საფუძვლად რჩება. ეს გარემოება წარმოადგენს ნათელ პასუხს ამ პირფერულ და გაიძვერულ განცხადებებზე, რომელთაც არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება სერიოზული ყურადღება მივაქციოთ. უკვე ცნობილი ფაქტია, რომ მოსკოვს გერმანიისათვის ყოველთვის ერთნაირი მნიშვნელობა აქვს და რომ იგი ამ მნიშვნელობას შეინარჩუნებს ვისაც იმის იმედი აქვს, რომ გერმანია იმ მეგობრული ნეიტრალიტეტის დიდ უპირატესობას, რომლის გარანტიასაც რაპალოს ხელშეკრულება წარმოადგენს, როდისმე გასცვლის ანტანტის ავანტიურაში მონაწილეობაზე ინგლის-საფრანგეთის ხელმძღვანელობით, ის არ იცნობს იმ გამოცდილებას, რომელიც მიღებული აქვს გერმანიას მისი გეოგრაფიული მდგომარეობიდან 200 წლის ისტორიის მანძილზე“. (ადს).

რადიკალები „ემუქრებიან“ პუანკარეს

მენშევიკებს სურთ მინისტრის პორტფელები იშოვონ

პარიზი, 9 იანვარი. რადიკალებმა გადასწყვიტეს დარაზმულნი გამოვიდნენ მთავრობის ეხლანდელი შემადგენლობის წინააღმდეგ. პოლიტიკურ წრეებში ფიქრობენ, რომ **ეს გადაწყვეტილება აძლიერებს მთავრობის კრიზისის შესაძლებლობას**, რადგან ნაკლებად მოსალოდნელია, რომ პუანკარე დარჩეს ხელისუფლების სათავეში, როცა იგი მიიღებს უმნიშვნელო და ისიც მემარჯვენე უმრავლესობას.

მემარჯვენე პრესა მკაცრად ილაშქრებს რადიკალების წინააღმდეგ და არ მალავს შიშს პუანკარეს მთავრობის ბედის გამო. შიში უფრო გაძლიერდა იმის გამო რომ **რადიკალებმა გადასწყვიტეს დაავალონ თავიანთ დეპუტატებს, კენჭის ყრის დროს დაიცვან ფრაქციული დისციპლინა.** ეს კი შეუძლებელს ხდის, რომ პუანკარეს უმრავლესობაში შეყვანილ იქნას რადიკალების მემარჯვენე ფრთა, რომელმაც არა ერთხელ დაუჭირა მხარი ეხლანდელ მთავრობას.

კომპარტიის ორგანო „ლიუმანიტე“ აღნიშნავს, რომ კრიზისი არ აღმოიფხვრება კენჭის ყრის ამა თუ იმ შედეგით რადგან ეხლანდელი კაბინეტი მაინც განწირულია.

„ლიუმანიტე“ ამხილებს **სოციალისტებს, რომლებსაც იმედი აქვთ, რომ მონაწილეობას მიიღებენ მთავრობის ერთ-ერთ შესაძლებელ კომბინაციაში.**

„კომპარტიამ,—სწერს „ლიუმანიტე“,—იცის, რომ ბურჟუაზიული მთავრობის ყოველგვარი შემადგენლობის დროს გაგრძელდება პოლიტიკა, ე. ი. კაპიტალისტური რაციონალიზაციისა და ომის მოსამზადების პოლიტიკა. ამიტომ კომპარტია არ ერევა ბურჟუაზიის ცალკე ჯგუფების ბრძოლაში და მტკიცედ ხდგას თავის პლატფორმაზე,—კლასი კლასის წინააღმდეგ. (ადს).

კომუნისტების და უმუშევრების შეტაკება პოლიციასთან და მენშევიკებთან

ბერლინი, 9 იანვარი. ესენის და მაინის ფრანკფურტის მუნიციპალიტეტებში კომუნისტებმა შეიტანეს წინადადება უმუშევართა დახმარების შესახებ. წინადადების განხილვის დროს მოხდა შეტაკება კომფრაქციასა და უმუშევრებს ერთის მხრით, და ბურჟუაზიულ პარტიებსა, სოციალ-დემოკრატებსა და პოლიციას შორის მეორეს მხრით. ესენში რამდენიმე ათასმა უმუშევარმა მოაწყო დემონსტრატიული მსვლელობა რატუშისაკენ. პოლიციამ დემონსტრაცია გაფანტა.

მაინის ფრანკფურტში უმუშევრებმა რატუშაში დაიჭირეს სხდომის დარბაზი დერეფანი და გამორიცხვის წინააღმდეგ. აშენბრენერის რატუშის წინ თავი მოიყარეს პოლიციის რაზმებმა, რამაც სასტიკი პროტესტი გამოიწვია კომფრაქციის ბელადების მხრით.

კომუნისტების წინადადების უარყოფის შემდეგ დერეფანში ასტყდა ხმაურობა, უმუშევრებმა და კომუნისტმა დეპუტატებმა იმღერეს ინტერნაციონალი, კომუნისტმა ხმოსანმა აშენბრენერმა, რომელიც გამორიცხეს რამდენიმე სხდომიდან, სასტიკი პროტესტი განაცხადა დარბაზიდან გასაყვანად გამოწვეულ იქნა პოლიცია. (ადს).

ჩინეთ-იაპონიის კონფლიქტი

შანხაი, 10 იანვარი. უკანასკნელ ხანებში ანტი-ჩინური მოძრაობა ჩინეთში საგრძნობლათ გაძლიერდა, ამის საბაბი შეიქმნა ჩინელ რიკშას მოკვლა იაპონელ ჯარისკაცის მიერ. იაპონელებმა უარი სთქვეს კომპენსაციის მიცემაზე მოკლულის ნათესავებისათვის და დამნაშავის დასჯაზე. იაპონელებმა უარი სთქვეს აგრეთვე თავის მეზღვაურთა გაყვანაზე ხანკოუდან.

ნანკინის საგარეო საქმეთა მინისტრმა აცნობა იაპონიის კონსულს ხანკოუში, რომ რადგან იაპონელები უარს აცხადებენ სამართლიანი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე, ჩინეთის მთავრობა პასუხისმგებლობას იხსნის ყოველგვარ ინციდენტებისათვის, რომლებიც შეიძლება მოხდეს ამ ნიადაგზე.

იაპონელთა ფაბრიკა-ქარხნების ჩინელ მუშებში სწარმოებს აგიტაცია გაფიცვის გამოცხადების სასარგებლოდ. იაპონიის კონცესიას იცავენ იაპონიის ჯარისკაცები, რომლებმაც საგიტაციო მასალების გავრცელებისათვის დააპატიმრეს რამდენიმე ჩინელი.

მიუხედავად ამისა, იაპონიის ყველა ქუჩები და შენობების კედლები აჭრელებულია ანტი-იაპონური პლაკატებით.

„ჩაინა პრეს“ იუწყება, რომ იაპონიის ფაბრიკებში ხანკოუში გაიფიცა 10.000 ჩინელი მუშა. ვითარდება კამპანია საყოველთაო გაფიცვის გამოცხადების სასარგებლოდ.

შეუმოწმებელი ცნობებით, შანხაიდან ხანკოუში გაიგზავნა იაპონიის სამხედრო ძალები.

ხანკოუში გაიგზავნა იაპონიის ორი კრეისერი

ტოკიო, 10 იანვარი. მთელი პრესა იუწყება, რომ ხანკოუში შექმნილი „საშიში მდგომარეობის“ გამო, იაპონიის სამხედრო სამინისტრომ ხანკოუში გაგზავნა ორი კრეისერი.

კელოგის პაქტის გარშემო

კომპრომისული ფორმულის ძებნაში

ვაშინგტონი, 9 იანვარი. როგორც იუწყებიან, კელოგის პაქტის მომხრე და მოწინააღმდეგე სენატორებს შორის მოლაპარაკებაა კომპრომისული ფორმულის გამოსანახავად. მოლაპარაკების შედეგად შემუშავებულ იქნა კომპრომისი, რომლის თანახმადაც სენატის საგარეო საქმეთა კომისიამ უნდა განაცხადოს, რომ კელოგის პაქტი არ ეხება მონროეს დოქტრინას. კულიჯმა და კელოგმა უარჰყვეს ეს კომპრომისი. ისინი მოითხოვენ — პაქტი დამტკიცებულ იქნას ყოველგვარი შესწორებისა და შენიშვნის გარეშე. ამგვარად, მოლაპარაკებამ ჯერ-ჯერობით ნაყოფი ვერ გამოიღო. (ადს).

ტერორი სამხრეთ-სლავიაში

მეფის ახალი დეკრეტი

ვენა, 9 იანვარი. ბელგრადიდან მიღებული ცნობით, გამოქვეყნდა მეფის ახალი დეკრეტები, რომლებითაც სრულიად უქმდება სასამართლოს დამოუკიდებლობა. ამ დეკრეტის მიხედვით სამხრეთ-სლავიის ქვეშევრდომნი ანტი-სახელმწიფოებრივ მუშაობისათვის საზღვარგარეთ პასუხისგებაში უნდა იქნენ მიცემულნი სახელმწიფოს დაცვის შესახებ არსებულ კანონის საფუძველზე. გაზეთების კონფისკაციის უფლება ამიერიდან აქვს არა სასამართლოს, არამედ პოლიციას (ადს).

დიქტატურა „მუშაობს“

ვენა, 9 იანვარი. სამხრეთ-სლავიიდან მიღებული ცნობით, მთავრობამ გამოსცა ბრძანება რადიჩის პარტიის დაშლის შესახებ. მთავრობამ დაშალა აგრეთვე ხორვატთა (ფრანკის) პარტია. რადიჩის პარტიის წევრები პარტიის ბელადებს, განსაკუთრებით მაჩეკს. ღალატს აბრალებენ. ტერორის გამო ეს ბრალდება ვერ ჰპოვებს გამოხატულებას პრესაში, დიქტატურის ახალი ღონისძიებები პირველ რიგში მიმართულია ზაგრების ოპოზიციის მემარცხენე ფრთის და მუშათა ორგანიზაციების წინააღმდეგ. უკანასკნელ დღეებში პოლიციამ გააძლიერა ჩხრეკა.

ვენის „რეისპოსტ“-ი იუწყება რომ სამხრეთ-სლავიის მთავრობამ შეიძინა უდიდესი ხორვატული საგაზეთო კონცერნი „ტიპოგრაფია“ და, ამგვარად, მთავრობის ხელში გადავიდა ფაქტიურად ზაგრების პრესის დიდი ნაწილი.

ინგლისისა და საფრანგეთის ლოცვა-კურთხევით

ვენა, 9 იანვარი. ავსტრიის გაზეთების ცნობით, **ინგლისმა და საფრანგეთმა წინასწარ იცოდნენ, რომ სამხრეთ-სლავიაში გადატრიალებისთვის ემზადებოდნენ.** გადატრიალება მოხდა საფრანგეთის დახმარებით. ინგლისმა თითქო უფრო თავშეკავებული პოზიცია დაიჭირა (ადს.)

პროფორგანიზაციების დაშლა

ვენა, 10 იანვარი, ბელგრადიდან მიღებული ცნობებით, პოლიციამ ჩხრეკა მოახდინა მეტალისტთა დამოუკიდებელი პროფკავშირის შენობაში ბელგრადში. შენობა დაბეჭდეს.

მთავრობამ გამოაქვეყნა ბრძანება ყველა პროფორგანიზაციების დაშლის შესახებ.

მაჩეკს იმედი „გაუცრუვდა“

ვენა, 10 იანვარი. როგორც ახალი მთავრობის ღონისძიებები ადასტურებენ, მმართველ წრეებს იმედი აქვთ, რომ დიქტატურა დიდხანს იარსებებს.

დაშლილი ხორვატიის გლეხთა კავშირის ბელადმა მაჩეკმა ხორვატიის გაზეთებს გადასცა განცხადება, რომ მას „იმედები გაუცრუვდა“ (პირველ ხანებში მაჩეკი კმაყოფილებას გამოსთქვამდა გადატრიალების გამო).

პოლონეთის მთავრობის მომავალი რეკონსტრუქცია

ვარშავა, 9 იანვარი. პრესა ადასტურებს ცნობებს იმის შესახებ, რომ ახლო მომავალში მოხდება მთავრობის რეკონსტრუქცია. პრესის სიტყვით, რეკონსტრუქცია შეეხება საგარეო და შინაგან საქმეთა მინისტრებს. საგარეო საქმის მინისტრის თანამდებობაზე პრესა ასახელებს თავად რაძივილს.

გაზეთი „აბც“-ი ამტკიცებს, რომ ზალესკი, თუ იგი გადადგა, დანიშნავენ ელჩად ლონდონში (ადს).

ვოევოდების თათბირი

ვარშავა, 9 იანვარი ლვოვში მოწვეულია ლვოვის, სტანისლავის, ტარნოპოლის, ვოლინის და კრაკოვის ვოევოდების თათბირი. თათბირზე განხილული იქნება უკრაინელთა საკითხი (ადს).

საფრანგეთის მემაღაროეთა გაფიცვა ფართოვდება

პარიზი, 9 იანვარი. გავიდა იმ ულტიმატუმის ვადა, რომელიც ავეირონის აუზის (საფრანგეთის სამხრეთ დასავლეთ ნაწილში) მემაღაროებმა ქვა-ნახშირის მრეწველებს წარუდგინეს. მემაღაროენი მოითხოვენ პასუხს იმ მოთხოვნაზე, რომელიც მათ ჯერ კიდევ ოქტომბერში წარუდგინეს მრეწველებს და რომელიც სამუშაოს ხელფასის მომატებას შეეხება.

დეკაზევილში გაიმართა მემაღაროეთა სადელეგატო კონფერენცია, რომელმაც დაადგინა: თუ მრეწველები არ დააკმაყოფილებენ მუშათა მოთხოვნებს, გამოცხადებულ იქნას გაფიცვა.,

ლუარის და გარის მაღაროებში საგაფიცვო კომისიები უკვე შეუდგნენ მუშაობას გაფიცულთათვის დახმარების აღმოჩენის შესახებ.

კომუნისტურმა მუნიციპალიტეტმა ლუარის დეპარტამენტში საგაფიცვო კომიტეტს აცნობა, რომ იგი მზადაა მხარი დაუჭიროს გაფიცულებს (ადს).

ავღანისტანის მთავრობის ჯარების შეტევა

ქაბული, 9 იანვ. მთავრობის ჯარის შეტევა ჩარიკარის მიმართულებით თანდათან ძლიერდება. მიუხედავად აჯანყებულთა მხნე წინააღმდეგობისა, მთავრობის ჯარი მძიმე არტილერიის დახმარებით წინ მიიწევს. აღმოსავლეთ ფრონტზე სიწყნარეა. ჯელალაბადში გრძელდება მოლაპარაკება შინვარის და კუგიანის ტომების ბელადებთან. (ადს).

საფრანგეთ-ჩინეთის სავაჭრო ხელშეკრულება

პარიზი, 9 იანვარი. გამოქვეყნდა საფრანგეთის სავაჭრო ხელშეკრულების ტექსტი, რომელსაც ნანკინში 22 დეკემბერს მოაწერეს ხელი. ხელშეკრულების უფრო მნიშვნელოვან მუხლებში ნათქვამია:

„ამით გაბათილებულია და ძალას ჰკარგავს საფრანგეთ-ჩინეთის არსებულ ხელშეკრულებათა ყველა დადგენილება, რომელიც შეეხება ბაჟს შემოტანილ და გატანილ საქონელზე, ტრანზიტისა და ტონაჟის უფლებებს ჩინეთში; ამიერიდან საბაჟოების ტარიფისა და მასთან დაკავშირებული საკითხების მიმართ განხორციელებული იქნება სრული ავტონომიის პრინციპი, იმ პირობით კი, რომ ხელშეკრულებაში მონაწილე თვითეული მხარე მეორე მხარის ტერიტორიაზე, სამფლობელოში, კოლონიაში და პროტექტორატში ისარგებლებს ისეთივე უფლებებით, როგორითაც სარგებლობენ სხვა სახელმწიფოები. ხელშეკრულებაში მონაწილე თვითეული მხარის ქვეშევრდომები არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება იძულებულ იქნან მეორე ქვეყნის ტერიტორიის პროტექტორატის სამფლობელოს და კოლონიის ფარგლებში შემოტანილ და გატანილ საქონელზე გადაიხადონ იმაზე მეტი გამოსაღები, ბაჟი ან გადასახადი, რასაც იხდიან ამ ქვეყნის ან სხვა სახელმწიფოების ქვეშევრდომები“.

საფრანგეთის პრესა აღნიშნავს, რომ ამ ხელშეკრულებით საფრანგეთმა ნანკინის მთავრობა ჩინეთის ცენტრალურ ხელისუფლებად აღიარაო (ადს).

ინგლისის წინააღმდეგ

შანხაი, 9 იანვარი. პოლიტიკურ წრეებში ფიქრობენ რომ ნაციონალური მთავრობის გადაწყვეტილება საზღვაო საბაჟოების გენერალურ ინსპექტორად ედვარდსის ნაცვლად მეიზის (ედვარდსის ყოფილი თანაშემწე) დანიშვნის შესახებ ლახვარის ჩაცემაა ინგლისისათვის. აღნიშნავენ, რომ ინგლისის ელჩმა მაილს ლემპსონმა ნანკინში ყოფნის დროს ნაციონალურ მთავრობას ურჩია საზღვაო საბაჟოების გენერალურ ინსპექტორის თანამდებობაზე დაემტკიცებინა ედვარდსი, რომელიც უკვე ასრულებდა ინსპექტორის მოვალეობას. (ადს).

გერმანიის მუშები აღშფოთებული არიან მენშევიკების გამცემლობით

ბერლინი, 9 იანვარი. გემების მშენებელი მუშების აღშფოთებამ, რომელიც მენშევიკების გამცემლობამ გამოიწვია, ის შედეგი გამოიღო, რომ ოთხშაბათს, მუშაობის დაწყების შემდეგ, ისევ გაიფიცა გამბურგის „ბლიუმ და ფოს“-ის ფირმის 550 დურგალი. გაფიცვის საბაბი შეიქნა მუშების შევიწროება ადმინისტრაციის მიერ. კილში 500 მუშა გაიფიცა (ადს).

ნორვეგიის პროფკავშირთა აღმასკომის პლენუმი

სტოკჰოლმი, 9 იანვარი. ოსლოდან მიღებული ცნობებით, ნორვეგიის პროფკავშირთა გაერთიანების აღმასკომის პლენუმმა 62 ხმით 18 ხმის წინააღმდეგ დაადგინა, გადასდოს საკავშირო პროფსაბჭოსთან დადებული ხელშეკრულების რატიფიკაცია.

უმცირესობის წინადადება იმის შესახებ რომ გაერთიანებამ საბჭოთა და ფინეთის პროფკავშირების გაერთიანებებთან ერთად, [illegible] პროფმოძრაობის მთლიანობის საერთაშორისო კონგრესის მოწვევა უარყოფილ იქნა.

ნორვეგიის კომპარტიის ორგანო „ნორგეს კომუნისტ ბლად“-ი სწერს:

„პლენუმის გადაწყვეტილება— დაემორჩილოს ამსტერდამს ნათელს ხდის ნორვეგიელი მუშებისათვის, რომ პროფმოძრაობის მთლიანობა შეიძლება მიღწეულ იქნეს მხოლოდ აშკარა ბრძოლით რეფორმისტ ბელადების წინააღმდეგ (ადს).

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

უკანასკნელი ცნობები

ლიტვის პოლიტიკური წრეები ლიტვინოვის ნოტის შესახებ

კოვნო, 10 იანვარი. ლიტვის პოლიტიკური წრეები ისევ დიდ ყურადღებას აქცევენ ლიტვინოვის ნოტას. რომელიც პოლონეთს გადაეცა, გაზეთების ცნობით, ლიტვის მთავრობას, რომელმაც უკვე დასდო საბჭოთა კავშირთან პაქტი თავდაუსხმელობის შესახებ, განზრახული არა აქვს მოაწეროს ხელი ოქმს საბჭოთა კავშირთან, არამედ შეუერთდება პოლონეთ-საბჭოთა კავშირის ოქმს. (ადს).

ყალბი საბუთები საფრანგეთიდან

ვაშინგტონი 10 იანვარი შეერთ. შტატების სენატის სპეციალურმა კომისიამ მიიღო სენატისთვის წარსადგენად მოხსენება ყალბი საბუთების შესახებ, რომლებიც დამზადებულია პარიზში და რომელთა მიზანია იმის დამტკიცება, რომ ვითომ სენატორებმა ბორამ და ნორისმა პარიზის საბჭოთა საელჩოსაგან მიიღეს 100.000 დოლარი თითეულმა იმისათვის, რომ აეწარმოთ კამპანია ჩრდ.-ამერიკის შეერთებული შტატების მიერ საბჭოთა კავშირის ცნობის სასარგებლოდ. ყალბ საბუთებში ბორას ყალბი ხელწერილი ასი ათასი დოლარის მიღების შესახებ. შემდეგ—კორესპონდენცია, რომელშიაც ნათქვამია თითქოს ნორისმაც მიიღო ფული. ნორისის ხელწერილი არ არის.

ზოგიერთი სენატორი მოითხოვდა, რომ საკითხი ფარულად განეხილათ, მაგრამ ბორამ და ნორისმა მოითხოვეს საქმის საჯაროდ გამორკვევა. ამასთან დაკავშირებით კომიტეტმა დაადგინა წარუდგინოს სენატს მოხსენება და აღნიშნოს, რომ **დოკუმენტები ყალბია.** 10 იანვარს სენატორმა რიდმა მოხსენება წარუდგინა სენატს ყალბი საბუთების შესახებ. რიდმა განაცხადა, რომ არსებობენ წარმოებები, რომლებიც ყალბ საბუთებს ამზადებენ. სენატორმა რობინსონმა მოითხოვა ყალბი საბუთების დამამზადებელთა სასტიკად დასჯა, თუ ისინი შეპყრობილი იქნებიან. (ადს).

დარბაზობა თეირანის საბჭოთა წარმომადგენლობაში

თეირანი, 10 იანვარი. 9 იანვარს საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლობაში (სპარსეთში) გაიმართა დარბაზობა პრესის წარმომადგენელთათვის. დარბაზობას დაესწრო ყველა გაზეთის წარმომადგენლები და აგრეთვე საბჭოთა სამეურნეო ორგანიზაციების წარმომადგენლები. სულ 37 კაცი. დარბაზობამ ცხადჰყო, რომ საბჭოთა წარმომადგენლობასა და სპარსეთის საზოგადოებრიობას შორის მეგობრული დამოკიდებულება არსებობს. სიტყვებით გამოვიდნენ საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი დავთიანი და გაზეთ „შეფაგ-სორხ“-ის რედაქტორი დეშტი.

„ლატამი“-ს საცურავი

ოსლო, 10 იანვარი. ნორვეგიის დეპეშათა სააგენტო იუწყება, რომ ნორდ კაპიდან დასავლეთით, ფინმარკენის ოლქში, ზღვამ ნაპირზე გამოაგდო საცურავი წარწერით: „ლატამ—პარიზი“. (ადს).

ხელის შემწყობი კომიტეტი

მოსკოვი, 10 იანვარი. საკავშირო ცაკის პრეზიდიუმმა დაამტკიცა მარცვლეულის საბჭოთა დიდი მეურნეობების მშენებლობისათვის ხელის შემწყობ კომიტეტის შემადგენლობა. კომიტეტი არსებობს საბჭოთა კავშირის ცაკის პრეზიდიუმთან ამხ. კალინინის თავმჯდომარეობით .(ადს).

მოხსენება ცეკასა და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის ნოემბრის პლენუმის შედეგების შესახებ

სოხუმი, 10 იანვარი. 9 იანვარს მოხდა ქალაქის საერთო პარტიული კრება, რომელზედაც მოხსენებით ცეკასა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის ნოემბრის პლენუმის შედეგების შესახებ გამოვიდა ამხ. ნაზარეტიანი. (ადს).

მემარჯვენე საფრთხის წინააღმდეგ საბრძოლველად

ლონდონი, 9 იანვარი. ინგლისის კომპარტიის ცეკამ მოისმინა გერმანიის კომპარტიის წარმომადგენლის მოხსენება მემარჯვენე საფრთხის შესახებ გერმანიის კომპარტიაში და მიიღო რეზოლიუცია, რომელშიც სოლიდარობას უცხადებს გერმანიის კომპარტიის ცეკას და გამოსთქვამს კმაყოფილებას იმ ენერგიული ბრძოლის გამო, რომელსაც ცეკა აწარმოებს მემარჯვენე საფრთხის წინააღმდეგ. რეზოლიუციაში აღნიშნულია, რომ მემარჯვენე საფრთხე განსაკუთრებით საშიშია გერმანიისათვის, „რომლის პროლეტარიატმა გადამწყვეტი როლი უნდა ითამაშოს ევროპაში მომავალ რევოლიუციონურ ბრძოლებში და ბრძოლაში საბჭოთა კავშირის დასაცავად იმ შემთხვევაში, თუ მასზე თავდასხმა მოახდინა ინგლისის მიერ მოწყობილმა ანტისაბჭოთა ბლოკმა“. (ადს).

გერმანიის ტეხნიკის კვირეული

გერმანელი მეცნიერების მოწვევა ხარკოვში

ხარკოვი, 10 იანვარი. უცხოეთთან კულტურული კავშირის სრულიად უკრაინის საზოგადოებამ ხარკოვში მოიწვია ორი გერმანელი მეცნიერი, რომელნიც მოსკოვში იმყოფებიან. ამავე დროს საზოგადოების გამგეობამ მიიღო მიწვევა გერმანელი ორგანიზაციისაგან, რომელნიც სთხოვენ უკრაინელ მეცნიერთ—მონაწილეობა მიიღონ გერმანულ ჟურნალებში, კერძოდ ჟურნალ „ოსტ-ეიროპა“-ში და აღმოსავლეთ ევროპის შემსწავლელი გერმანული საზოგადოების სხვა გამოცემებში. (ადს).

გერმანელ მეცნიერთა მოხსენებები

მოსკოვი, 10 იანვარი. 9 იანვარს მოსკოვის პირველ სახელმწიფო უნივერსიტეტის აუდიტორიაში შესდგა გერმანელი ტეხნიკის კვირეულის მონაწილე გერმანელ მეცნიერთა პირველი მოხსენებები. განსაკუთრებით ბევრი მსმენელი მიიზიდა პროფესორ მატჩოსის მოხსენებამ ტეხნიკის ისტორიის შესახებ.

უნივერსიტეტის ყველაზე დიდმა აუდიტორიამაც კი ვერ დაიტია ყველა, ვისაც სურდა მოხსენებაზე დასწრება. ასეთივე ამბავი მოხდა პროფესორ ფიშერის მოხსენებაზე. ფიშერის მოხსენება შეეხებოდა შემდეგ თემას: „მშრალი გამოხდა დაბალ ტემპერატურის დროს“. მოხსენებას დაესწრნენ საბჭოთა კავშირის ცნობილი ქიმიკოს-მეცნიერები. ბევრი მსმენელი შეიკრიბა ახალ ანატომიურ აუდიტორიაში, სადაც პროფესორმა რისმა წაიკითხა მოხსენება მსხვილი სასოფლო-სამეურნეო წარმოებების მექანიზაციის შესახებ. ამ მოხსენებას დაესწრნენ ცნობილი საბჭოთა ეკონომისტები, სოფლის მეურნეობის მცოდნენი. (ადს).

პურის დამზადების გეგმის გადიდება

მოსკოვი, 10 იანვარი. საბჭოთა კავშირის ვაჭრობის სახ. კომისარიატის კოლეგიის სხდომაზე, რომელსაც თავმჯდომარეობდა ამხ. მიქოიანი, მოსმენილ იქნა საბჭოთა კავშირის ვაჭრობის სახ. კომისრის მოადგილის ამხ. მაქსიმოვის მოხსენება პურის დამზადების შესახებ. ამხ. მაქსიმოვმა გამოარკვლია პურის დამზადების მსვლელობა და პურის გადაზიდვის ტრანსპორტის მუშაობა ციმბირის ყაზახსტანის მთავარ აღმოსავლეთ რაიონებში, ბაშკირთა რესპუბლიკაში, ურალზე და ვოლგის რაიონში.

როგორც ამხ. მაქსიმოვმა თავის მოხსენებაში აღნიშნა პურის დამზადების შემცირების მთავარ მიზეზს წარმოადგენს საბჭოთა, პარტიული და პურის დამამზადებელი აპარატის ყურადღების შესუსტება პურის დამზადების საკითხისადმი. გლეხობა თითქმის ყველგან კმაყოფილია ფასებით. ამან კონტრაქტაციის და მოუმკავი პურის შესყიდვის კამპანიასთან ერთად ხელი შეუწყო პურის დამზადების გაძლიერებას სექტემბერ და ოქტომბერში. ამხ. მაქსიმოვი შეეხო საკითხს იმის შესახებ, თუ ვის ხელშია პურის დარჩენილი ნაწილი, მან აღნიშნა, რომ მოჭარბებული პური აქვთ არა მარტო კულაკებს, არამედ საშუალო გლეხობასაც.

კამათის შემდეგ კოლეგიამ აღნიშნა, რომ შესაძლებელია პურის დამზადების გეგმების გადიდება თითქმის ყველა აღმოსავლეთ რაიონში. ამასთან დაკავშირებით, საჭიროდ იქნა ცნობილი პურის დამზადების გეგმების დაუყოვნებლივ გადიდება ამ რაიონებში.

კოლეგიამ საჭიროდ სცნო პურის დამზადების წლიური გეგმის გადიდება, კერძოდ, ციმბირში 164 ათასი ტონით, ხოლო ურალზე—114.000 ტონით.

კოლეგიამ გადასწყვიტა, დააწესოს მუდმივი კონტროლი პურის დამზადების გადიდებული გეგმის შესრულებაზე. ამისთვის ცენტრიდან აღმოსავლეთ რაიონებში პასუხისმგებელი მუშაკები გაიგზავნებიან. (ადს).

კოოპერაციის მონაწილეობა პურის დამზადებაში

მოსკოვი 10 იანვარი. დამთავრდა საბჭოთა კავშირისა და რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკის „ცენტროსოიუზების“ გამგეობათა გაერთიანებული პლენუმი. თავის რეზოლიუციაში პურის დამზადების შესახებ, აღნიშნავს, რომ კოოპერატიული საზოგადოებრიობა ნაკლებ ყურადღებას აქცევს ამ მეტად მნიშვნელოვან საკითხს. პლენუმი წინადადებას იძლევა. ახლო მომავალში მოხდეს მთელი სოფლის კოოპერატიული აქტივის მობილიზაცია პურის დამზადების ჩასატარებლად. პურის დამზადების გეგმა წლის მეორე ნახევარისთვის პლენუმის გადაწყვეტილების თანახმად, უსათუოდ სავსებით უნდა შესრულდეს, ამასთან გეგმის 75 პროც. უნდა შესრულდეს 1928-29 წლის მესამე კვარტალში.

სამომხმარებლო კოოპერაციის კაპიტალური მშენებლობისათვის ფინანსების მიწოდების ღონისძიებათა შორის პლენუმი ითვალისწინებს სპეციალური კოოპერატიული სესხის და პაის მქონეთა თვითდაბეგვრას.

პლენუმმა საჭიროდ სცნო აგრეთვე კოოპერაციის მუშაკთა დელეგაციების გაგზავნა ევროპასა და ამერიკაში საზღვარ-გარეთის სავაჭრო ტეხნიკის შესასწავლად. (ადს).

მ ო ს კ ო ვ ი

(ტელეგრაფით საკუთარი კორესპონდენტისაგან)

პოლონეთის მთავრობის რეორგანიზაციის მოლოდინში

მოსკოვი, 10 იანვარი. უკანასკნელ ხანებში ვარშავის პოლიტიკურ წრეებში დაჟინებით ლაპარაკობენ მნიშვნელოვან ცვლილებების შესახებ, რომელიც მოსალოდნელია პოლონეთის მთავრობის კაბინეტში.

ამის შესახებ „იზვესტია“-ს ვარშაველი კორესპონდენტი გადმოგვცემს ოფიციოზურ წრეებიდან გამომდინარე ხმებს: კორესპონდენტის გადმოცემით პოლონეთის ეხლანდელ საგარეო საქმეთა მინისტრის ზალესკის გადადგომის საკითხი შეიძლება გადაწყვეტილად ჩაითვალოს. მის მოადგილედ ვარშავის პრესა ასახელებს ორ კანდიდატს. პირველი მათგანია მსხვილ მემამულეთა, აგრარიების წარმომადგენელი რეაქციონერი რადზივილი. ამავე დროს დადის ხმები იმის შესახებაც, რომ ზალესკის ადგილს დაიჭერს პოლონეთის ეხლანდელი ელჩი საბჭოთა კავშირში პატეკი.

АБС-ს გადმოცემით ვარშავის პოლიტიკურ წრეებში ადგილი აქვს აზრთა სხვადასხვაობას იმის შესახებ, თუ როდის უნდა მოხდეს კაბინეტის რეორგანიზაცია. პოლიტიკურ მოღვაწეთა ერთი ნაწილი მოითხოვს, რომ დაუყოვნებლივ მოხდეს მთავრობის შემადგენლობის ცვლილება, მეორე ნაწილი კი მიზანშეწონილად სცნობს გაზაფხულამდე დაცდას.

ვინ ესროლა პოლონეთის კონსულ ლუბაჩევსკის?

მოსკოვი, 10 იანვარი. „იზვესტია“-ს პრაღელი კორესპონდენტი გადმოგვცემს შემდეგს:

დასრულდა კვლევა-ძიება პოლონეთის გენერალურ კონსულ ლუბაჩევსკიზე თავდასხმის საქმის გამო. ლუბაჩევსკიზე თავდასხმამ, რომელიც, როგორც ფიქრობდნენ, მოაწყო პოლონეთიდან გადახვეწილმა უკრაინელებმა, თავის დროზე დიდი გაუგებრობა გამოიწვია პოლონეთ-ჩეხო-სლოვაკიის ურთიერთობაში. პოლონეთი ბრალს სდებდა ჩეხო-სლოვაკიის მთავრობას იმაში, რომ ეს უკანასკნელი არ ღებულობს ზომებს უკრაინელ ემიგრანტების წინააღმდეგ.

კვლევა-ძიებამ ლუბაჩევსკიზე თავდასხმის საქმის გამო, სენსაციური შედეგები მოგვცა. გამოირკვა, რომ **ლუბაჩევსკის თავს დაესხა არა უკრაინელი, არამედ პოლონელი—პასიუკი.** ექსპერტიზამ ამასთანავე ცხადჰყო, რომ იარაღი, რომელიც ესროლა პასიუკმა ლუბაჩევსკის წარმოადგენს ჩვეულებრივ სათამაშო პისტოლეტს.

კაბუკიზმის მთავარი მიზეზი

მოსკოვი, 10 იანვარი. გაზეთი „პრავდა“ თავის დღევანდელ ნომერში ეხება მშენებელთა კავშირის მოსკოვის საგუბერნიო განყოფილებაში აღმოჩენილ გარყვნილებისა და ლოთობის ორგანიზაცია „კაბუკი“-ს და სწერს:

„კაბუკი“ საგულისხმო გაფრთხილებას წარმოადგენს ყველა პროფესიონალურ კავშირებისათვის და არა მარტო პროფორგანიზაციებისათვის, არამედ მთელ ჩვენ საზოგადოებრიობისათვისაც. საფინანსო საქმის ოჯახურად წარმოება, ავანსების უკონტროლოდ გაცემა, თავისთავად ქმნის მთელ რიგ უმზგავსოებათა შესაძლებლობას.

„კაბუკი“-ს სამარცხვინო ისტორიაში ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, თუ როგორ იყო შერჩეული მშენებელთა კავშირის მოსკოვის საგუბერნიო განყოფილების მუშაკების კადრი. მუშაკების შერჩევის მთავარი საფუძველი აქ იყო პროტექციონიზმი. „კაბუკი“ დანგრეულია და დაქსაქსულია, მაგრამ არიან კიდევ ასეთი კატეგორიის მაიზეზელთა გამოუაშკარავებელი ტიპები.

ინგლისის გემის ავარია

1 მოსკოვი, 10 იანვარი. როგორც ფეოდოსიის ნავთსადგურის უფროსმა საზღვაო ტრანსპორტის ცენტრალურ სამმართველოს აცნობა, ინგლისის გემმა „მაჟესტიკ"-მა ფეოდოსიის კონცხთან ავარია განიცადა (გაირიყა). ზღვაზე ძლიერი ქარიშხალი მძვინვარებს. გემი საფრთხეშია.

საზღვაო ტრანსპორტის ცენტრალურმა სამმართველომ დეპეშით წინადადება მისცა მარიუპოლის და კერჩის ნავთსადგურების უფროსებს—მიიღონ ზომები გემის გადასარჩენად. გემის დასახმარებლად წავიდა ყინულის მჭრელი „მაკაროვი". (ადს).

პროფ. ფილოსოფოვის ცდები

მინსკი, 10 იანვარი. კიევის პოლიტექნიკური ინსტიტუტის პროფესორმა ფილოსოფოვმა მოახდინა ცდები ტორფიდან ღვინის სპირტის მისაღებად. ცდებმა კარგი შედეგები გამოიღო. ინჟინრებისა და ტექნიკოსების თათბირმა საჭიროდ სცნო, რომ ბელორუსიაში აგებულ იქნას სპეციალური ქარხანა ტორფიდან სპირტის მისაღებად. (ადს).

დახმარება კულაკებისაგან დაზარალებულთ

მოსკოვი 10 იანვარი. გლეხკომების ცეკას პრეზიდიუმმა დაადგინა ფართო დახმარება აღმოუჩინოს სოფლელ საზოგადოებრივ მუშაკებს, რომლებსაც კულაკები რაიმე ზარალს მიაყენებენ. გლეხკომების ცეკამ დაარსა ფონდი დახმარების მისაცემად გლეხკომების იმ მუშაკებისათვის, რომლებსაც კულაკები დააზარალებენ. (ადს).

ლენინაკანის ჰიდრო-სადგურის შეჩერება

ლენინაკანი, 9 იანვარი. ჰიდროსადგურის შეჩერების გამო შეჩერდა საფეიქრო კომბინატის სართავი და საქსოვი ფაბრიკების მუშაობა. ნაწილობრივ მუშაობს მხოლოდ საფრიკოტაჟო ფაბრიკა.

სართავი ფაბრიკის მუშებმა სურვილი გამოსთქვეს, რომ კომბინატის ზარალის შესამცირებლად ახლავე მიიღონ ის შვებულება, რომელიც მათ 1929 წელს ეკუთვნით.

სწარმოებს მუშაობა ჰიდროსადგურის გვირაბის გასაწმენდად თოვლისა და ყინულისაგან.

7 იანვარს ღამით ამ მუშაობის დროს დაიღუპა 4 კაცი; ისინი გადმოხეთქილმა წყალმა გაიტაცა. ამ უბედური შემთხვევების გამო, გლეხებმა, რომლებიც გვირაბის გაწმენდაზე მუშაობდნენ, უარი განაცხადეს მუშაობის გაგრძელებაზე. მათი ადგილი მუშებმა დაიჭირეს. გვირაბის გასაწმენდად [illegible] მუშაობს ქალაქის მეხანძრეთა რაზმი. (ადს).

ამინდი ამიერ-კავკასიაში

ქარიშხალი შავ ზღვაზე

სოხუმი 10 იანვარი 8 იანვარს ღამით, ნოვოროსიისკის რაიონში ამოვარდა ქარიშხალი, რომლის ძალა 10 ბალს აღწევდა. 9 იანვარს ქარიშხალი მძვინვარებდა მთელ რაიონში ნოვოროსიისკიდან ოდესამდე მან საშინელი გრიგალის სახე მიიღო, 9 იანვარს საღამოს ქარიშხალმა მოიცვა შავი ზღვის მთელი სანაპიროები. ღია ზღვაზე იგი 10 ბალს აღწევდა ამავე დროს თოვლი მოდიოდა. თოვლი მოვიდა სოხუმისა, ფოთისა და ბათომის რაიონებში, სადაც ტემპერატურამ საგრძნობლად დაიწია. სოხუმში ყინვა 4 გრადუსს უდრიდა. ქარიშხალის მიზეზი ანტიციკლონია, რომელიც მთელს ევროპას მოედო და რომელსაც შავ ზღვასთან მეორე, სამხრეთიდან მომავალი ანტიციკლონი შემოხვდა.

„სოვტორგფლოტ"-ის ცნობით, ნოვოროსიისკში არ შეუშვიათ გემებს „ჩიჩერინს" და „კოტოვსკი"-ს. გემების მიმოსვლის ცხრილი დარღვეულია. ჯერ არ არის ცნობები ავარიის შესახებ. 10 იანვარს მზიანი ამინდი იდგა. ზღვა ისევ ღელავს. (ადს).

თოვლი ბათომში

ბათომი 10 იანვარი. ქარიშხალი ბათომის სანაპიროებზე გაძლიერდა. მღელვარება 10 იანვარს დილით 8 ბალს აღწევდა ბათომსა და მის მიდამოებში თოვს. ღამით ტემპერატურა 2,4 გრადუსამდე (ნოლს ქვემოდ) დაეცა. (ადს).

ქარიშხალი კასპიის ზღვაზე

ლენქორანი. 10 იანვარი. კასპიის ზღვაზე ძლიერი ქარიშხალი მძვინვარებს, თოვლმა ერთი მეტრის სიმაღლეზე დადო. ქალაქში მარხილებით დადიან ძლიერმა ქარმა ნაპირზე გამორიყა მეთევზეთა მრავალი ნავი. ასტარაში თოვლის სიმძიმისაგან დაინგრა ორი სახლი. თოვლის ზვავების გამო, ლორიკ-მასალ-მუღანის გზა შეიკრა. (ადს).

საბჭოთა არჩევნებისათვის

თბილისის საბჭო ანგარიშს აბარებს ამომრჩევლებს

მიღწევებთან ერთად ნაკლიც გვაქვს

გუშინ, საღამოს შესდგა საქართველოს და ამიერ-კავკ. მუშმილიციის და საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატების თანამშრომელთა საერთო კრება, კრებამ მოისმინა ამხ. ნ. ლეჟავას მოხსენება თბილისის საბჭოს მუშაობის შესახებ.

— საანგარიშო ხანის პერიოდში,—ამბობს მომხსენებელი თბილისის საბჭოს დიდი მიღწევები აქვს, როგორც კომუნალური მეურნეობის, ისე განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის დარგში, საბჭომ გამოაცოცხლა მასიური მუშაობა; მუშათა ფართო მასები ჩაბმულნი იქნენ საბჭოს ყოველდღიურ მუშაობაში; გაუმჯობესდა სექციების მუშაობა და სხ. მომხსენებელს მოჰყავს ციფრები იმის შესახებ, თუ როგორ გაუმჯობესდა საბინაო მშენებლობა, ტრამვაის მეურნეობა და სხ.

მოხსენების ირგვლივ გაიმართა კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო ამხ. მაჭავარიანი, დიმიტრიევმა, ვარდანიანმა, ვ. სტურუამ და სხვ. ამხ. მაჭავარიანი აღნიშნავს, რომ მილიციის არსებული შტატი ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილებას. ალმასკომმა მილიციის შტატის გადიდების მაგიერ, შეამცირა; თბილისის საბჭო ნაკლებ ყურადღებას აქცევს მათ ეკონომიურ მდგომარეობის გაუმჯობესებას და სხ. გარდა ამისა, ორატორს მიზანშეწონილად მიაჩნია, საბურთალოს სკოლის დაკეტვა.

— ზოგიერთი ჩამორთმეული სახლები გადაეცა განათლების განყოფილებას, რომელიც არავითარ ყურადღებას არ აქცევს მათ შეკეთებას, საბჭომ უნდა გააძლიეროს მუშაობა თბილისის მშრომელთა გასამხედროების დარგში—ამბობს ამხ. დიმიტრიევი.

კრებამ თბილისის საბჭოს მუშაობა მოიწონა და დაავალა დეპუტატებს კამათში გამოსულ ამხანაგების მიერ მითითებულ ნაკლოვანებათა გამოსწორება.

განათლების საქმეს არ ექცეოდა შესაფერი ყურადღება

საკანდიტრო ფაბრიკის მუშათა საერთო კრებაზე, თბილისის საბჭოს მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამავე ქარხნის დაზგის მუშამ ამხ. ორმოცაძემ. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მე-6 მოწვევის საბჭო, თავისი მუშაობით და რიცხობრივადაც დიდათ განირჩევა ძველ საბჭოსაგან. საანგარიშო ხნის განმავლობაში საბჭომ ადმინისტრატიული ხარჯები შეამცირა 148.885 მანეთით. მომხსენებელმა აღნიშნა მთელი რიგი მიღწევები ელექტროფიკაციაში, საბინაო აღმშენებლობაში, ტრამვაის მოძრაობის გაუმჯობესებაში, საწყალსადენის გაძლიერებაში, ახალი წყალსადენის გამოყვანაში და სხვ.

მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი, რომელიც გაგრძელდა სამი საათი, ორატორები აღნიშნავდნენ საბჭოს როგორც მიღწევებს, ისე ნაკლსაც. როგორც გამოირკვა კამათიდან ფაბრიკაში არ ყოფილა მოწყობილი ბავშვთა ბაგა, არ ექცევა სათანადო ყურადღება განაპირა უბნების განათებას, მილიციის შტატის გადიდებას, კოოპერატიული სავაჭროების გახსნას, ბიუროკრატიზმთან ბრძოლას მუშათა უბნებში [illegible] მოწყობას, უგეგმო მშენებლობას, სანიტარული ზედამხედველობის გაძლიერებას და სხ.

დასასრულ კრება იწონებს საბჭოს მუშაობას და უსურვებს მომავალში უფრო ნაყოფიერ მუშაობას.

ნ. მქ—ლი.

მუშათა უბნებში უნდა მოეწყოს სამშობიარო სახლები

გუშინ, თბილისის საბარგო-მექანიკური ქარხნის „სინანარმის" კლუბში შესდგა ამავე ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება, რომელმაც მოისმინა ამხ. ვ. კაკაძის მოხსენება თბილისის საბჭოს მუშაობის შესახებ.

— უკანასკნელ ხანებში—ამბობს მომხსენებელი—თბილისის საბჭო და მისი სექციები მუშაობა საგრძნობლად გამოცოცხლდა. სექციებში 848 წევრი მუშაობდა. სექციებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს ბიუროკრატიზმთან ბრძოლაში და საბჭოს აპარატის მოწესრიგების საქმეში. მათ შეამოწმეს საბჭოს პრეზიდიუმის და თავისი დადგენილებების შესრულება. შეჯიბრის დროს კომუნალური და განათლების სექციამ მიიღეს უპირატესობა.

დიდი ყურადღება მიექცა ქალაქისა და მაზრის კეთილმოწყობას. გაძლიერდა აგროდახმარების საქმე და სხვ.

კამათში გამოსულმა ამხანაგებმა საბჭოს მუშაობაში აღნიშნეს შემდეგი ნაკლოვანებები: მუშების საჩივრებზე თბილისის საბჭო ვერ ღებულობს საჭირო ზომებს. მუშათა სახლების უგეგმოთ მშენებლობის წინააღმდეგ სასტიკი ზომები არ არის მიღებული. მშენებლობის საკითხები უნდა ისინჯებოდეს და ასაგებ შენობის პროექტი ისინჯებოდეს მუშათა საერთო კრებებზე; საბჭომ ლუდის ქარხნის აშენების მაგიერ უნდა მიიღოს ზომები მუშათა უბნებში სამშობიარო სახლების ასაგებათ, რაც დიდ საჭიროებას წარმოადგენს. ფაბრიკა-ქარხნებთან და წარმოებებთან უნდა გაიხსნას კოოპერატიული ფარდულები, რომ მუშებმა კერძო ვაჭრების კლანჭებს თავი დააღწიონ; უნდა გაძლიერდეს სანგანმანათლებლო მუშაობა მუშებში, ლოთობისა და პროსტიტუციის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში თბილისის საბჭო დიდი მუშაობა მართებს. მილიციის მუშაკები არ არიან თავის მოწოდების სიმაღლეზე. ზოგიერთი მილიციის თანამშრომელი ცუდ ყოფა-ცხოვრებას ეწევა.

მომხსენებლის საბოლოო სიტყვის შემდეგ კრებამ თბილისის საბჭოს მუშაობა ჩათვალა დამაკმაყოფილებლად.

ბ—ლი.

ანგარიში ჩაგვაბარეს

რ.-გ. სატელეგრაფო სახელოსნოს მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებაზე საბჭოს მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. სტეპანენკომ რუსულ ენაზე და ამხ. მანჯგალაძემ ქართულ ენაზე.

მომხსენებლებმა აღნიშნეს მრავალი დადებითი მხარე საბჭოს მუშაობაში მათი სიტყვით წელს საბჭოს წევრ-ქალთა პროცენტი და მათი აქტივობა საგრძნობლად გაიზარდა. საბჭოს მუშაობის გასაადვილებლად საბჭო დაყოფილია 8 სექციად: კომუნალური, სახალხო განათლების, საფინანსო-სამრეწველო ჯანმრთელობის სავაჭრო-კოოპერატიული და მუშათა და გლეხთა ინსპექციის.

საბჭოს მუშაობის გამოცოცხლებას ხელი შეუწყო აგრეთვე იმ გარემოებამ, რომ შემოღებული იქნა სექციებში საგანგებო მდივნების მოწვევა. მუშათა ფართო მასებთან დაახლოვების მიზნით სექციებში მუშაობა სწარმოებდა დღის 12 საათიდან. ბიუროკრატიზმთან ბრძოლის და რაციონალიზაციასთან დაკავშირებით ჩატარებულმა მუშაობამ მოგვცა 148.875 მანეთის ეკონომია.

მოხსენების ირგვლივ გაიმართა კამათი. მოკამათენი აღნიშნავდნენ, რომ ტრამვაის მოძრაობა არ არის მოწესრიგებული ამიტომ ადგილი აქვს უბედურ შემთხვევებს. ზაფხულში ლენინის უბანში საშინელი მტვერი დგას, რადგან ქუჩები არ ირწყვება. ბინების შემჭიდროება ფაქტიურად არ ჩატარებულა, ქალაქში საშინლად, გავრცელდა პროსტიტუცია, ქუჩებში დადიან [illegible], მაგრამ მათ არავინ ყურადღებას არ აქცევს. ლენინის უბანში სკოლის შენობის აგებას არავითარი [illegible]. რ.-გ. მე-6 სკოლაში კი ისეთი სივიწროვეა რომ ყოვლათ შეუძლებელია მეცადინეობა. საჭიროა ლენინის უბანში აგებული იქნეს საავადმყოფო და მოიკირწყლოს ქუჩები.

აზრთა გაცვლა-გამოცვლის და მომხსენებლების საბოლოო სიტყვის შემდეგ კრებამ საბჭოს მუშაობა სცნო დამაკმაყოფილებლად.

შ. მესხიძე.

ნაკლი გამოვასწოროთ

ამხ. კალინინის სახელობის მექანიკური ქარხნის მუშათა საერთო კრებაზე, თბილისის საბჭოს მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა საბჭოს დეპუტატმა ამხ. იარალოვმა. მომხსენებელმა აღნიშნა რომ შედარებით წინანდელთან, მე-6 მოწვევის საბჭომ საგრძნობლად გააუმჯობესა მასიური მუშაობა და საბჭოს წევრთა შორის ახლა [illegible] პროცენტი ჩაება მუშაობაში. ქალთა მონაწილეობაც საბჭოს მუშაობაში გაუმჯობესებულია. საბჭოს სექციებში ჩაბმულია 184 საბჭოს წევრი და 90 მიმაგრებული აქტივი ქალი.

საბჭოს სექციებში ყველაზე მეტი მიღწევები აქვს კომუნალურ სექციას, რომელმაც თავისი ნაყოფიერი მუშაობით საგრძნობლად გააუმჯობესა კომუნალური მოწყობის საქმიანობა თბილისში და გააძლიერა სახლთშენებლო მუშაობა.

მოხსენების შემდეგ დაიწყო გაცხოველებული კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო თხუთმეტმა მუშამ. ორატორები იწონებდნენ საბჭოს მუშაობას მაგრამ ამავე დროს აღნიშნავდნენ მთელ რიგ ნაკლოვანებებს. მუშები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ კოოპერატივებში პირველ მოთხოვნილებითი საქონლის სიმცირეს, ნოქრების უდიერად მოპყრობას მომხმარებლისადმი, ბაზრის მოწესრიგებას, ზაჰესის ენერგიით სარგებლობის გაადვილებას და სხვ. ორატორები მოითხოვდნენ რათა საბჭომ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს კამათში აღნიშნულ ნაკლს და მიიღოს ზომები მომავალში მის გამოსასწორებლად.

საბჭოს მუშაობა კრებამ სცნო დამაკმაყოფილებლად.

Х.

მეტი ყურადღება საბინაო მშენებლობას

10 იანვარს, მუშათა ახალ კლუბში მოწვეულ იქნა სურსათ-გემოვნების მუშაკთა კავშირის წევრთა კრება, რომელზედაც თბილისის საბჭოს მუშაობის შესახებ მოხსენებით გამოვიდა ამხ. ივანეზოვი. მან მოკლედ აღნიშნა საბჭოს დადებითი და უარყოფითი მხარეები. მოხსენების ირგვლივ გამართულ კამათიდან გამოირკვა, რომ ალმასკომი სათანადო ხელმძღვანელობას ვერ უწევდა საბინაო მშენებლობას; სახლები უგეგმოდ და უწესოდ შენდებოდა; აგრეთვე თბილისში მოუწესრიგებელია ქუჩებში მოძრაობის საქმე. ჯანმრთელობის სექცია ნაკლებად ზრუნავდა ამბულატორიებში მუშაობის გასაადვილებლად და სხ.

ზოგიერთი ორატორები მოითხოვენ გარე უბნის მილიციელთა საგუშაგოების მომატებას; სკოლის შენობების შეკეთებას; ავლაბრის და ხარფუხის კეთილმოწყობას და კოოპერატივების მუშაობის გაჯანსაღებას.

რაც შეეხება მუშგლეხინის სექციას, ისინი მოითხოვენ, რათა ამ სექციამ სისტემატიური კონტროლი აწარმოოს ადგილობრივ მეურნეობისა და კომუნალურ მეურნ. საჭიროებაზე დახარჯულ თანხებზე.

აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ კრებამ თბილისის საბჭოს მუშაობა დამაკმაყოფილებლად სცნო.

ფოსტა-ტელეგრაფის მუშაკთა შორის

თბილისის ფოსტა-ტელეგრაფის მუშაკთა კლუბში გუშინ საღამოს 6 საათზე შეიკრიბნენ ფოსტა-ტელეგრაფის, „ზაკტაგ"-ის, რადიოს და რადიო-სტუდიის მუშა-მოსამსახურეები. მათ უნდა მოესმინათ საანგარიშო მოხსენება თბილისის საბჭოს მუშაობის შესახებ. კრებაზე მოხსენება გააკეთა თბ. საბჭოს წევრმა ამხ. ქე. კელიძემ.

27 თებერვალს, ამბობს ამხ. კელიძე—ორი წელი შესრულდება, რაც თბილისის მე-6 მოწვევის საბჭო აწარმოებს მუშაობას. ამ ხნის განმავლობაში საბჭოს თავის მუშაობაში ჰქონდა უაღრესად დიდი მიღწევები. დეპუტატებს გარდა, საბჭოს სექციაებში ჩაბმული იყო 246 აქტიური მუშა. ესენი საბჭოს დეპუტატებთან ერთად ენერგიულ მუშაობას აწარმოებდნენ სხვადასხვა სექციებში.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს დიდი მიღწევები კომუნალური მეურნეობის დარგში. გაუმჯობესდა ტრამვაის მოძრაობა, გაყვანილ იქნა ახალი ხაზები, გამოცვლილია ლიანდაგები, შეძენილია 64 მოტორიანი ვაგონები, გაიზარდა მგზავრების გადაყვანის რიცხვი და მასთან ერთად შემოსავლიც. გაუმჯობესებულია მუშა-მოსამსახურეთა ეკონომიური მდგომარეობა. დღის ტრამვაი მოგებიანი წარმოება.

გაუმჯობესდა წყალსადენის საქმეც. ამასთან ერთად თბილისს მალე ექნება ახალი წყალსადენი, რომლის გამოყვანას საბჭო უკვე შეუდგა ნატახტარიდან. ახალი წყალსადენი 6 მილიონ ვედრო წყალს მიაწოდებს თბილისს დღე და ღამეში. წყალსადენის გამოყვანა ჯდება 15.288 ათასი მანეთი.

ზაჰესის დამთავრებით თბილისი უზრუნველყოფილია აგრეთვე ელექტრო-შუქით, რამაც 126 პროცენტით გაადიდა აბონენტთა რიცხვი.

გაუმჯობესებულია აგრეთვე სახალხო განათლების და სახალხო ჯანმრთელობის საქმე. დიდი ყურადღება ექცეოდა განაპირა უბნების კეთილმოწყობას და საბინაო მშენებლობას მაგრამ ბინის კრიზისი ჯერ კიდევ დიდად იგრძნობა.

საბჭოს მუშაობის სუსტ მხარეთ უნდა ჩაითვალოს ბიუროკრატიზმთან ბრძოლა რასაც კიდევ საგრძნობლად აქვს ფესვები გადგმული ალმასკომის დაწესებულებებში. სუსტად სწარმოებდა აგრეთვე მუშათა დაწინაურების და ამ გზით აპარატის გამუშურების საქმე. მთლიანად ვერ განხორციელდა აგრეთვე 20 პროცენტიანი ადმინისტრატიულ-სამეურნეო ხარჯების შემცირება.

მოხსენების ირგვლივ გაიმართა ცხოველი კამათი, მოკამათენი აღნიშნავდნენ საბჭოს მუშაობაში დიდ მიღწევებს და ამავე დროს განსაკუთრებულ საბჭოს ყურადღებას მიაქცევდნენ ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლის საჭიროებაზე. განსაკუთრებული კრიტიკის ქარცეცხლში ატარებდნენ უძრავ ქონებათა სამმართველოს და „თელასის" აპარატში გამეფებულ ბიუროკრატიზმს. ჯანმრთელობის დაცვის დარგში არსებულ დეფექტებს და სხვ.

კამათის დასრულების შემდეგ კრებამ საბჭოს განვლილი მუშაობა ჩათვალა დამაკმაყოფილებლად.

სპილენძის სატყავე ქარხანაში

სპილენძის სატყავე ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებაზე საბჭოს მუშაობის შესახებ ილაპარაკა ამხ. სრულიკოვმა. მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი. მუშები აღნიშნავდნენ, რომ საბჭო გვიან კიდებს სამუშაოს ხელს.

სკოლების შენობები, სანამ არ დაინგრევა, მანამ საბჭო არ ფიქრობს მათ შეკეთებას, წყლის გაყვანა და მოხმარება ზოგან ძვირი ჯდება, ზოგან ნაკლები, საბჭო კი ამას ყურადღებას არ აქცევს. კ. ცეტკინის ქუჩა სამჯერ შეკეთდა და ისევ გაფუჭებულია. აქ რაღაც ბოროტმოქმედებას აქვს ადგილი. ზაჰესის ენერგიის გამოყვანა ძალიან ძვირი ჯდება. ამიტომ მუშას არ შეუძლია ელექტრო სინათლით სარგებლობა. ნაკლები ყურადღება ექცევა აგრეთვე საბინაო მშენებლობას. არ გვინდა სტილი საჭიროა კარგი და იაფი ბინები,—ამბობდნენ მუშები. მუშათა რაიონებში კოოპერატივები ცოტაა. ზოგიერთი მუშათა კლუბები მუშათა უბნებში არ არის მოთავსებული. ავლაბარში არ არის დასასვენებელი ბაღი.

აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ კრებამ საბჭოს მუშაობა დამაკმაყოფილებლად სცნო.

მესხი.

თათბირი შეუკავშირებელ მასაში არჩევნების ჩატარების შესახებ

გუშინ, თბილისის ალმასკომში შესდგა შეუკავშირებელ ჯგუფების წარმომადგენელთა თათბირი, რომელზედაც შეუკავშირებელ მასაში საანგარიშო და საარჩევნო კამპანიის ჩატარების შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. თხილავამ. მოხსენების შემდეგ თათბირმა დაადგინა საანგარიშო და საარჩევნო კამპანია ჩატარებული იქნეს შრომის ბირჟაში აღრიცხულ უმუშევართა და მათი ოჯახის წევრებს, მსუბუქ ტრანსპორტზე მომუშავეთა, მზიდავებს, პენსიონერებს, შრომის ინვალიდებსა და სოციალურუზრუნველყოფაზე მყოფ პირთა და მათი ოჯახის წევრთა შორის. თათბირმა განსაზღვრა მათი კრებების მოწვევის ადგილები და ვადები.

შეუკავშირებელ მასაში საანგარიშო და საარჩევნო კამპანიას უხელმძღვანელებს ქალაქის საარჩევნო ცენტრალური კომისია.

სამზადისი წითელ ჯარში

(პირველი ქართული საარტილერიო ლეგიონი)

წითელ-არმიელთა შორის ლეგიონში ფართოდ არის დაყენებული ახსნა-განმარტებითი კამპანია საბჭოების გადარჩევებთან დაკავშირებით. დიდი წარჩინებით ჩატარდა ლეგიონის კლუბში ინსცენიროვკა კულაკურ აქტივობის გაძლიერების თემაზე სოფლად განზრახულია მოკლე ხანში კლუბშივე თემსაბჭოს თვალსაჩინო გადარჩევის ჩატარება, სადაც გლეხთა წრიდან გამოსული წითელ-არმიელები გაეცნობიან თუ როგორ უნდა ჩატარდეს საბჭოს გადარჩევა თემებში. აქვე წითელ არმიელები გაეცნობიან დღევანდელ სოფელში არსებულ კლასიურ ბრძოლის მდგომარეობას.

უკანასკნელ თვეების განმავლობაში რამოდენიმეჯერ ჩატარდა ლეგიონიდან არჩეულ თბილისის საბჭოს დეპუტატების მოხსენებები საბჭოს მუშაობის შესახებ.

უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი მოხსენებები მუდამ იწვევდნენ დიდ ინტერესს წითელ-არმიელებში, განსაკუთრებით საკითხები თბილისის საბჭოს მუშაობის შესახებ სოფლად. ამავე დროს წითელ-არმიელები მოითხოვენ თბილისის საბჭოს ხელმძღვანელ მოღვაწეების დასწრებას ასეთ მოხსენებებზე—მრავალ შეკითხვებზე პასუხის გასაცემათ.

განსაკუთრებით კი წითელ-არმიელები დაინტერესებული არიან საბჭოების სოფლად მუშაობის საკითხებით მაგრამ, უნდა აღინიშნოს, რომ ამ საკითხებზე ძნელათ მოიპოვება პოპულარული ლიტერატურა ქართულ ენაზე, რაც ძალიან აძნელებს მათ შორის ახსნა-განმარტებითი მუშაობის გაფართოებას ხსენებულ საკითხებზე. სწორეთ ამ მიზეზით ვერ მოხერხდა საბჭოების გადარჩევებთან დაკავშირებით წრების სპეციალურ [illegible] მოწყობა.

ამჟამად ყველა ბატარეებში ჩამოყალიბებულია ჯგუფები სადაც წითელ-არმიელები ნებაყოფლობითი წესით აწარმოებენ თბილისის საბჭოს საანგარიშო პერიოდში ჩატარებულ მუშაობის შესწავლას აქვე მათ შემოაქვთ მრავალი საქმიანი წინადადებები ქალაქის საბჭოს მუშაობის გარშემო.

ი. რუდოვსკი.

სად შესდგება დღეს საანგარიშო კრებები

ლენინის რაიონში

თბილისის საქონლის სადგურის წითელ კუთხეში საღამოს 6 საათზე. სამშენებლო ტექნიკუმში საღ. 8 საათზე. მაუდის ფაბრიკაში დღის 3 ს. რკინის გზის [illegible] საღამოს 5 ს. „დორპროფობრში" საღ. 6 ს. აგურის ქარხანაში დღის 3 საათ.

26 კომუნარის რაიონში

მეზვების ქარხანაში საღ. 6 საათზე. მომხსენებელი ამხ. აზარაშვილი ვერის აგურის ქარხანაში საღ. 6 ს. მომხსენებელი ამხ. ოგანოვი და ხარიბეგოვი. ნავთლუღის კლუბში „ზაკოგრუზის" მუშების კრება, მომხსენებელი ამხ. ანთიძე, ტრიკოტაჟის ფაბრიკაში, მომხსენებელი ამხ. შალამიანი მარიამ.

მფრინავი მიტინგები ლენინის რაიონში

საბჭოთა საარჩევნო კამპანიასთან დაკავშირებით, ლენინის რაიონის მთელ რიგ მსხვილ საწარმოებში ჩატარებული იქნება მფრინავი მიტინგები. მიტინგები შესდგება: თუთუნის ქარხანა „პროლეტარი"-ში დღის 2 საათზე. როზა ლუქსემბურგის სახ. თუთუნის ქარხანაში ხვალ 12 იანვარს დღის პირველ საათზე. თბ. დეპოში 12 იანვ. 1 საათ. 26 კომუნარის მექანიკურ ქარხანაში 12 იანვ. 1 საათ. სავაგონო პარკში ხვალ პირველ საათზე და ორთქლმავალთა და ვაგონების შემკეთებელ ქარხანაში 12 იანვარს დღის პირველ საათზე.

ქალაქის რაიონში

დღეს ნაშუადღევის 4 საათზე შესდგება პოლიგრაფტრესტის მეორე სტამბის მუშა-მოსამსახურეთა კრება. კრება მოწვეულია იმავე სტამბის შენობაში (ლენინის ქუჩა № 8). მოხსენებას გააკეთებს ამხ. ციკორიძე და მეფისაშვილი.

საღამოს 6 საათზე ცეკავშირის შენობაში შესდგება ცეკავშირის მუშა-მოსამსახურეთა კრება, რომელზედაც თბილისის საბჭოს მუშაობის შესახებ მოხსენებას გააკეთებს ამხ. ბიბილაშვილი.

პოლიგრაფტრესტის საქარხნო-საფაბრიკო სკოლაში (განოვის ქ.) შესდგება ამავე სკოლის და წითელი ჯვარის სტამბის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება. მოხსენებას წაიკითხავს ამხ. საჯეილოვი და გიორგაძე.

ცენტრალურ პარტსკოლაში საანგარიშო კრება შესდგება საღამოს 7 საათზე სკოლის შენობაში (ბებუთოვის ქ. 85) მოხსენებას წაიკითხავს ამხ. კოგოსოვი.

მე-6 სტამბაში (კეცხოველის ქუჩა № 8) დღეს საღამოს 6 საათზე შესდგება ამავე სტამბის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება, რომელზედაც მოხსენებას წაიკითხავს ამხ. კამალოვი.

მუშკოოპის მუშა-მოსამსახურეთა კრება შესდგება საღამოს 7 ს. მუშკოოპის კლუბში.

ქალაქის მთავარ საავადმყოფოში საღამოს 6 ს. შესდგება ამავე საავადმყოფოს, სადეზინფექციო კამერის და კამოს სახელობის საავადმყოფოს თანამშრომელთა საერთო კრება. მოხსენებას წაიკითხავს ამხ. ხანუმიანი.

საღამოს 5 საათზე შესდგება მუშკოოპის ტრანსპორტზე მომუშავეთა კრება რომელზედაც მოხსენებას წაიკითხავს ამხ. სტუპკოვი (კამოს ქ. № 65).

მე-8 სტამბაში (კალოუბნის ქუჩა № 5) შესდგება ამავე სტამბის მუშა-მოსამსახურეთა კრება.

საბინაო-საიჯარო ამხანაგობათა გამგეობების თათბირი

პარასკევს საღამოს 6 ს. პროფსაბჭოს დიდ დარბაზში შესდგება ქალაქის რაიონში შემავალ საბინაო-საიჯარო კოოპერატიულ ამხანაგობათა გამგეობებისა და სარევიზიო კომისიების თათბირი, რომელზედაც აგრეთვე უნდა დაესწრონ ამხანაგობებში გაერთიანებულ სახლებიდან თითო რწმუნებული. თათბირზე ამხ. ვ. მესხი წაიკითხავს მოხსენებას საბინაო ამხანაგობების სახლების მდგმურთა მონაწილეობის შესახებ საბჭოთა არჩევნებში.

თბილისის მაზრაში

(დუშეთის თემი)

5 იანვრამდე ჩატარდა საანგარიშო კრება ორ პუნქტზე—სოფ. ყვავილაში და კობიანთკარში.

სოფ. ყვავილაში ამომრჩევლები არიან 182, აქედან ქალები 63.

კრებას დაესწრო სულ 71 (54 პროც.), მათ შორის ქალები 22, (81 პროც.).

თემსაბჭოს მუშაობის გარშემო შემოვიდა 18 შეკითხვა, კამათში მონაწილეობა მიიღო 11 კაცმა, რომლებიც უმთავრესად ეხებოდნენ მიწათმოწყობას, ღარიბთა აღრიცხვას, სათესლე მასალის მომარაგებას, თვითდაბეგვრის გატარებას, სასამართლოს აღმასრულებლის გულგრილობას და სხვ. კრება საერთოდ აქტიურად ჩატარდა.

კობიანთკარი—ამ პუნქტზე ირიცხება 183 ამომრჩეველი აქედან ქალები 67. საანგარიშო კრებას დაესწრო 66 (50 პროც.), აქედან ქალები 12 (18 პროც.). ქალების დასწრება ამ პუნქტზე სუსტი იყო, რაც გამოწვეულია უმთავრესად ცუდი ამინდით.

თემსაბჭოს მოხსენების გარშემო შემოვიდა 22 შეკითხვა. კამათში მონაწილეობა მიიღო 5 კაცმა, რომლებიც ეხებოდნენ საგზაო ბეგარის გატარებას, კოლმეურნეობას, დუშეთის მაზრის გაუქმებას და სხვ.

აქტივობა ამ პუნქტზე მოისუსტებდა.

გორის მაზრაში საარჩევნო სამზადისი წარმატებით მიმდინარეობს

გორის მაზრიდან გუშინ დაბრუნდა საქართველოს ცაკის საორგანიზაციო განყოფილების ინსტრუქტორი ამხ. გრ. კიზირია, რომელმაც გორის მაზრაში ჩატარებულ მოსამზადებელ მუშაობისა და მიმდინარე საანგარიშო კამპანიის შესახებ ჩვენი გაზეთის თანამშრომელს შემდეგი აცნობა:

მოსამზადებელ მუშაობის შედეგები

8 იანვარს გორში შესდგა გორის სამაზრო საარჩევნო კომისიის გაფართოებული სხდომა, რომელზედაც მოხსენებები გააკეთეს თემებზე მიმაგრებულმა ამხანაგებმა, როგორც მოხსენებიდან გამოირკვა, მთელს მაზრაში თავის დროზე დამთავრდა მოსამზადებელი მუშაობა. მაზრა დაყოფილია 500 საარჩევნო უბნად (შარშან იყო—450). ყველა თემსა და სოფლებში ჩატარებული იქნა უღარიბეს გლეხთა, მოჯამაგირეების და ქალთა აქტივის კრებები წინასწარ ახსნა-განმარტებითი მუშაობის ჩატარების საშუალებით მთელს მაზრაში ღარიბი გლეხობა საშუალო გლეხობასთან ერთად დარაზმულია კულაკებისა და საბჭოთა ხელისუფლებისადმი მტრულად განწყობილ ელემენტების წინააღმდეგ. უღარიბეს გლეხთა აქტივობა იმდენად გაიზარდა, რომ ისინი არ ერიდებიან საბჭოს ზოგიერთ წევრთა მხილებას და დაუნდობლად აშკარავებენ, როგორც საბჭოების, ისე საბჭოების ცალკე წევრთა მუშაობის უარყოფით მხარეებს. მაგალითად ტყვიავის თემში ღარიბთა ერთ-ერთ კრებაზე საბჭოს წევრს წაუყენეს ბრალდება, რომ მან სასოფლო-სამეურნეო გადასახადი გაუნახევრა ცნობილ კულაკს და შემდეგ სამიკიტნოში იქეიფა იმ კულაკის ხარჯზე. საბჭოს მეორე წევრის—კომკავშირელის შესახებ თქვეს, რომ ის სუსტად მუშაობს მას შემდეგ, რაც ხელში ჩაიგდო კარგი მიწის ნაკვეთი და სხვ.

ღარიბთა კრებებს ესწრებოდნენ ქალებიც, რომლებიც აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ არჩევნებთან დაკავშირებულ საკითხების გარჩევაში. იყო შემთხვევები, როცა კულაკებმა სცადეს ჩაეშალათ ღარიბთა კრებები. მაგრამ ისინი უკუგდებულნი იქნენ თვით კრების მონაწილეთა მიერ. საერთოდ მოსამზადებელი მუშაობა მაზრაში [illegible] იქნა ჩატარებული.

სამაზრო საარჩევნო კომისიამ დაადგინა კიდევ გაადიდოს საარჩევნო უბნების რიცხვი მაზრაში.

საანგარიშო კამპანია

საანგარიშო კამპანია მაზრაში დაიწყო 1-ლ იანვრიდან და დამთავრდება 20 იანვრამდე. აღსანიშნავია, რომ საანგარიშო კამპანიას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა, როგორც სამაზრო ცენტრის, ისე ადგილობრივ ორგანიზაციების მხრივ. კამპანიაში აქტიურ მონაწილეობას იღებულობს ყველა საზოგადოებრივი, სახელმწიფო და კოოპერატიული ორგანიზაცია. საანგარიშო კრებებს საშუალოდ ესწრება ამომრჩეველთა 70 პროცენტი. ამავე რაოდენობით ესწრებიან კრებებს ქალებიც. ზოგიერთ თემებში დამსწრეთა რიცხვი უდრის 80—85 პროცენტს.

ჯერ-ჯერობით გორის მაზრა ერთად-ერთი მაზრაა, სადაც ასე დიდია საერთოდ საარჩევნო კრებებზე დამსწრეთა რიცხვი, და კერძოთ ქალების მონაწილეობა კრებებზე. ქალების აქტივობის გაზრდა უნდა მიეწეროს იმ გარემოებას, რომ ყოველ საარჩევნო უბანში გამოყოფილია ქალთა აქტივი, რომელსაც დავალებული აქვს ამრჩეველ ქალების მოწვევა საანგარიშო კრებებზე. ამ წესმა გამოიღო დიდი ნაყოფი. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ ადგილებს წინადადება მიეცათ საანგარიშო კრებები არ მოიწვიონ საღამოობით. საანგარიშო კრებების უფრო წარმატებით ჩატარებას ხელს უშლის უგზობა, რის გამო ზოგ ადგილებში კრებები სდგება ბოსლებში. საანგარიშო კრებებზე საბჭოს წევრები ანგარიშს აბარებენ არა მარტო საბჭოს, არამედ თავიანთი მუშაობის შესახებაც. საანგარიშო კრებებზე დიდ აქტივობას იჩენენ ღარიბი გლეხები, მოჯამაგირეები, ყოფ. წითელ-არმიელები და ქალები. კამათში გამოსულები უმთავრესად ეხებიან გზების და ხიდების გაყვანა-შეკეთების საჭიროებას, სასკოლო ქსელის გაფართოებას, სახელმწიფო დაზღვევის საქმეს, სასოფლო სამეურნეო გადასახადის არასწორად გაწერას და სხ. ყველგან, სადაც შესდგა საანგარიშო კრებები, 3 უბნის გამოკლებით, საბჭოების მუშაობა ცნობილი იქნა დამაკმაყოფილებლად. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ნაკაზების შედგენას. მართალია, კულაკობა არ გამოდის ორგანიზაციულად, მაგრამ ისინი მუშაობას აწარმოებენ ჯგუფურად. ხაშურის თემის ერთ-ერთ უბანში კრების თავმჯდომარედ „თავის კაცებმა" დაასახელეს ცნობილი კულაკი, მაგრამ მისი კანდიდატურა უარყოფილი იქნა კრების უმრავლესობის მიერ. იმავე თემში მეორე კულაკმა სცემა თემზე მიმაგრებულ პარტიულ ამხანაგს, კულაკები ეწევიან აგიტაციასაც თემის აქტიურ მუშაკების წინააღმდეგ, ავრცელებენ მათზე ათასგვარ ჭორებს და სხ საერთოდ ღარიბ და საშუალო გლეხების მჭიდრო კავშირის გამო კულაკები ვერ ბედავენ აქტიურად გამოსვლას.

ყველგან გამოვიდა კედლის გაზეთები, რომლებშიაც გაშუქებულია საბჭოების მუშაობა და მოთავსებულია წერილები არჩევნების მნიშვნელობის შესახებ.

კერძოდ ქარელის თემში, კამპანია დიდი წარმატებით მიმდინარეობს. ქარელის თემის სოფ. სამწევრისის საარჩევნო კრებამ, რომელსაც პირადად დაესწრო, ამრჩეველთა აქტივობამ მოლოდინს გადააჭარბა. ამ უბნის ამრჩეველთა საერთო რაოდენობა უდრის 151. კრებას დაესწრო 102. მათ შორის 77 ქალი. კამათში მონაწილეობა მიიღო 26 კაცმა, რომელთა ნახევარზე მეტი ქალები იყვნენ.

მოსამზადებელ მუშაობის ასე წარმატებით ჩატარება იმის მაჩვენებელია, რომ არჩევნები გორის მაზრაში ჩატარებული იქნება სავსებით დამაკმაყოფილებლად.

აღსანიშნავია, რომ გორის მაზრამ მთელი საარჩევნო კამპანიის საუკეთესოდ ჩატარებაზე გამოიწვია ქუთაისის მაზრა. გარდა ამისა თვით გორის მაზრაში თემები იწვევენ ერთი-მეორეს შეჯიბრებაში კამპანიის უკეთესად ჩატარებაზე.

გამოამჟღავნეს კულაკების ოინები

კიცხის თემი, შორაპნის მაზრა

საბჭოს საანგარიშო კამპანია დაიწყო 4 იანვრიდან. კიცხის თემი შორაპნის მაზრაში ცნობილია, როგორც ძველი მემამულე-აზნაურების თემი. გაზ. „კომუნისტი"-ს ფურცლებში მოთავსებული იყო წერილები, თუ როგორ იერიშზე გადმოდის დღეს ეს ყოფილი ხალხი ჩვენს წინააღმდეგ.

6 იანვარს, თემის ცენტრში მოწვეული იყო უღარიბეს, ღარიბ, შვებულ წითელ არმიელთა და მოჯამაგირეთა კრება, რომელზედაც დასმული იყო საანგარიშო მოხსენება. კრებაზე მოწვეული გლეხობა მთელი 100 პროცენტით გამოცხადდა. სკოლის შენობაში, სადაც განზრახული იყო კრების ჩატარება, დამსწრეთა მესამედიც არ დაეტევოდა. საჭირო გახდა შევსულიყავით ადგილობრივ თეატრში, რომელიც ჯერ მოუწყობელია, აქაც არ დაეტია ხალხი: სცენა, კულისები მთლიანად გაივსო. ხალხი ფეხზე იდგა, რომ უფრო მეტი დატეულიყო. კრებამ ხუთ საათს გასტანა. ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ ხსენებული კრება წარმოადგენდა ჩვენი თემის მშრომელი გლეხობის დარაზმულობის სურათს, გაერთიანებას იმათ წინააღმდეგ, ვინც ჩხირკედელაობას კიდევ არ ანებებს თავს. კრებამ სრულიად ნათელყო, თუ როგორ შემოტევას აწარმოებს ყოფილი აზნაურობის ნაწილი და კულაკობა.

რა გამოირკვა კრებაზე? მოვიყვანოთ ზოგიერთ გლეხის სიტყვას. კიმოთე სარალიძე (ს. ხიდრიდან): „ჩვენ, ზოგიერთებს ძველი დრო დაგვავიწყდა, კოწია წულუკიძე და მისი დამქაშები რკინის მათრახით გვცემდა. მას [illegible] ცხენი ყავდა. დაურევდა ძნელი იყო. წულუკიძე არ მოეშვა გლეხ კვარაცხელიძეს—მიდი დაურევეო, ეს გლეხი წულუკიძის ცხენმა მოკლა. ორი ავადმყოფი შვილი ყავდა სახლში. [illegible] ხე ჩავიტანე, ექვსი აბაზი ავიღე, სიმინდი და წამალი უნდა მეყიდა, შემხვდა ვანო ყოფიანი და ოთხი აბაზი ბაჟი გადამახდევინა. დათიკო მაჭავარიანმა—ძველმა ჯაშუშმა, [illegible], წისქვილში გაგვლახა მე და ჩემი ძმა სრულიად უმიზეზოდ. გლეხებო, განა ჩვენ ის უნდა დავივიწყოთ? დღეს ერთი ასეთი ვაჟბატონი მიწყინებოდა: კრებაზე რატომ მე არ დამიპატიჟესო, რა უნდა მათ ჩვენთან. ფხიზლად უნდა ვიყოთ ასეთების წინააღმდეგ, მათ არაფერი არ უნდა დავაცადოთ.

80 წლის გლეხი—ნიკო მაჩიტაძე—იგონებს, თუ როგორი გაჭირვება გამოსცადა მან ნიკოლოზისა და მენშევიკების დროს. ღორი მომიკლა ბატონმა, რატომ არ მომეხმარეო. სამი კვირა სახლში არ გამომიშვა, დღე ყურძენს მაკრეფინებდა, ღამით საწნახელზე წყალს მაზიდინებდა. მთელის [illegible] 4 ქათამი წამართვეს. მენშევიკების დროს ყოველ დღე ჩემს კარებზე იდგნენ მათი აგენტები—შენი შვილი ჯარში უნდა წავიდესო. [illegible], ამ დროს ხომ შევესწარი. გამარჯვების ჩვენს მთავრობას, მთელი გლეხობა ერთსულოვნად უკრავს ტაშს.

კიცხში მცხოვრებ ილიკო მაჭავარიანს იარაღი ჰქონდა დამალული, აღმოუჩინეს და პასუხისგებაში მისცეს. სანამ დაიჭერდნენ, მოუწყვეტია გლეხები—მისი ყოფილი ყმები, კრება გაუმართავს, მოუწერინებია ხელი ქაღალდზე, რომ ის პატიოსანი კაცია, და სხვ. ამით დაიძვრინა თავი მან პასუხისმგებლობიდან. „ახალ სოფელში" გასწერეს: ტყავს აძრობს გლეხებსო. ილიკო მაჭავარიანს წაუყვანია თბილისში გლეხი, შეუყვანია რედაქციაში და უთქმევინებია: ამაზე პატიოსანი კაცი თემში არ არისო.

ს. ხონში კულაკი ვანო ქოჩიაშვილი თავის გავლენის ქვეშ აქცევს მეზობელ ღარიბ გლეხს, სიმინდს აძლევს მას, ეხმარება, თურმე იმ მიზნით, რომ ამ გლეხთან თოფი დამალოს—ეჭვს ვერ აიღებენ შენზეო.

იაკინთე წერეთელს და იაკინთე [illegible]ლაძეს (ს. ხორის და ხონის მცხოვრებნი, ყოფილი აზნაურები) შეცდომით შეუყვანეს საბჭოს წევრები და ხელს აწერინებენ ყალბ ქაღალდზე, თითქოს მათ ცოტა მიწა აქვთ და სხვ.

დაქირავებულ შრომით მოსარგებლეებმა როცა გაიგეს, რომ მოჯამაგირეებს დიდ ყურადღებას აქცევს ხელისუფლება, საბჭოში ირიცხევენ მათ და სხვა. ამის შემდეგ მოჯამაგირეთ აყავთ ისეთები, რომლებსაც საარჩევნო უფლება მცირე წლოვანობის გამო არა აქვთ.

თემში ბევრი ყოფილა ეგრედ წოდებული „ურა ხალხი". ჩვენი დროის ტარიელ მქლავაძეები. ეს ვაჟბატონები გაურბიან საზაო ბეგარას, „შენ გლეხი ხარ და უნდა იმუშაოო"—მიმართავენ გლეხობას, ეწევიან [illegible], აი ამისი ერთი მაგალითი: ჭუტა პავლეს ძე [illegible] და ლადიკო მაჭავარიანი ხვდებიან გლეხ—ბოგვერაძეს და ეუბნებიან: „თუმანს მოგცემთ, ხოშზე ვართ, ერთად გავყვარტყმეყვენიო".

აი ასეთი სურათი გადაიშალა კრებაზე თავად-აზნაურულ და კულაკურ შემოტევის. ისინი ჭორიკანაობენ, ავრცელებენ და ეუბნებიან გლეხობას, რომ სიმინდი და მანუფაქტურა არ იქნება. ინგლისი ომს აცხადებს, მალე ჩხუბი დაიწყებაო.

ღარიბმა გლეხობამ გამოამჟღავნა მათი „მუშაობა" და ერთხმოვნად მოითხოვა გაძევებულ იქნან ასეთი ელემენტები კიცხის თემიდან.

საანგარიშო მოხსენების ირგვლივ 40-მდე შეკითხვა იყო. ილაპარაკა შვიდმა გლეხმა.

თემ-საბჭოს მუშაობა დამაკმაყოფილებლად იქნა ცნობილი.

მართლაც ეს კრება [illegible] გაკვეთილი იყო იმ ხალხისათვის, ვინც ჩხირკედელაობას კიდევ ვერ იშლის.

8 იანვრიდან საანგარიშო მოხსენებები დაიწყო უბნებშიაც.

დ. ყიფშიძე.

როგორ ჩატარდა მოსამზადებელი მუშაობა ბორჩალოს მაზრაში

(საქ. ცაკის საორგანიზაციო განყოფილების ცნობებით)

ბორჩალოში სამაზრო-საარჩევნო კომისია დაარსდა გასული წლის 24 ნოემბერს, 11 წევრის შემადგენლობით. ამავე დროს თემებში ჩამოყალიბებული იქნა სათემო საარჩევნო კომისიები, ასეთი კომისიები სულ დაარსებულია 18. ზოგიერთ სათემო კომისიებში ქალები არ იყვნენ არჩეული.

სამაზრო კომისიამ თავიდანვე შეიმუშავა მოსამზადებელი მუშაობის გეგმა, რომლის მიხედვით საზოგადოებრივ, სახელმწიფო და პროფესიონალურ ორგანიზაციებმა შეადგინეს არჩევნებში თავიანთი მონაწილეობის გეგმები. თემკომისიებს მიმაგრებულ ამხანაგებთან ერთად წინადადება მიეცათ შეედგინათ სრული კალენდარული ცხრილი საარჩევნო კამპანიის ჩასატარებლად. თემკომისიების გეგმებს შემდეგ ამტკიცებდა სამაზრო საარჩევნო კომისია.

ნოემბრის ბოლო რიცხვებში ქ. შაუმიანში შესდგა სამაზრო ალმასკომის გაფართოებული პლენუმი, რომელზედაც გარჩეულ იქნა არჩევნებთან დაკავშირებული საკითხები. ამავე მიზნით მაზრის ოთხ რაიონში მოწვეულ იქნა თემკომისიების თავმჯდომარეთა და მდივნების თათბირი.

არჩევნებში ქალთა და უღარიბეს გლეხთა აქტივობის გაზრდის მიზნით მოწვეულ იქნა ქალთა და მოჯამაგირეთა სამაზრო თათბირები და უღარიბეს გლეხთა ჯგუფების კონფერენცია, რომლებზედაც განხილულ იქნა საბჭოთა არჩევნების პოლიტიკური მნიშვნელობის საკითხები და საარჩევნო ინსტრუქცია.

ამავე დროს თემებში ტარდებოდა სათემო აქტივის წინასწარ კრებები, ხოლო სოფლებში ჩატარებულ იქნა ახსნა-განმარტებითი მუშაობა.

სხვადასხვა მიზეზების გამო ზოგიერთ თემებში მოსამზადებელი მუშაობა დაიწყო დაგვიანებით. საერთოდ მოსამზადებელ მუშაობაში აქტიურ მონაწილეობას ღებულობდნენ პროფესიონალური და ზოგიერთი სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები, სკოლების, სამკითხველოების და გლეხკომების მონაწილეობა სუსტი იყო. ამასთანავე კედლის გაზეთები არა საკმარისათ აშუქებდნენ არჩევნებთან დაკავშირებულ საკითხებს.

მოსამზადებელ მუშაობის პირველ ხანებშივე კულაკებმა დაიწყეს აქტიურათ გამოსვლა, ისინი ცდილობდნენ ხან აშკარათ, ხან კი ფარულად ხელი შეეშალათ წინასწარ კრებების წარმატებით ჩატარებისათვის. ზოგიერთ შემთხვევაში მიმართავდნენ ძალასაც. მაგალითად, ამამლოს თემში სამმა ძმამ, რომლებსაც ჩამორთმეული აქვთ საარჩევნო ხმის უფლება, სცემეს უღარიბეს გლეხს, რომელმაც ისინი არ შეუშვა უღარიბეს გლეხთა კრებაზე. სარვანში ერთი ღარიბი გლეხი, რომელიც მეზობელ კულაკის გავლენის ქვეშ იყო, ყოველმხრივ ცდილობდა არ წართმეოდა საარჩევნო ხმის უფლება მის მეზობელ კულაკს. გომარეთის თემში კულაკებმა სცადეს ჩაეშალათ უღარიბეს გლეხთა კრება, რისთვისაც ასტეხეს ჩხუბი, ხმაურობა, სტვენა და სხვ. მაგრამ ისინი გაძევებულნი იქნენ კრებიდან თვით უღარიბეს გლეხების მიერ. აშაგა-სერალში კულაკებმა თემკომისიის წევრს დაუწვეს თივის ზვინები. ყველგან კულაკების ცდა—ხელი შეეშალათ მოსამზადებელ მუშაობისათვის მარცხით დამთავრდა.

25 დეკემბერს სამაზრო საარჩევნო კომისიამ მოიწვია მიმაგრებულ ამხანაგების თათბირი, რომელზედაც მოსმენილ იქნა ინფორმაციული მოხსენებები ადგილებზე მუშაობის მიმდინარეობის შესახებ.

ხმის უფლებას მოკლებულთა რიცხვის რაოდენობა წელს შარშანდელთან შედარებით, ზოგიერთ ადგილებში, გაიზარდა 10 პროცენტით, რაც უნდა მიეწეროს უღარიბეს გლეხთა ჯგუფების აქტივობას. წინასწარი ცნობებით წელს საარჩევნო ხმის უფლებამოკლებულთა რაოდენობა შეადგენს 3.197, გასულ წელს იყო—2.200 კაცი. შავი სიების შედგენის დროს დაშვებულ იქნა ზოგიერთი შეცდომები, რომლებიც უკვე გამოსწორებულია. ამრჩეველთა არჩევნებში მონაწილეობის გასაადვილებლად მაზრაში დაარსებულია 270 საარჩევნო უბანი, შარშან იყო 166.

ახსნა-განმარტებითი კამპანია ჩატარებულია იმ ენაზე, რომელზედაც ლაპარაკობენ მცხოვრებნი უმრავლესობაში.

საკავშირო პარტიული თათბირისათვის

სახალხო განათლების საკითხების შესახებ*)

მიმდინარე წლის თებერვალში საკ. კ. პ. (ბ) ც. კ. იწვევს პარტიულ თათბირს სახალხო განათლების საკითხების შესახებ. თათბირზე იქნება განხილული შემდეგი საკითხები:

ა) სახალხო განათლების დარგში პარტიის დირექტივების გატარების შედეგები და პერსპექტივები; ბ) დაწყებითი სკოლის მდგომარეობა და საყოველთაო სავალდებულო სწავლის შემოღება; გ) საშუალო სკოლის მდგომარეობა პროფტექნიკურ განათლებასთან ერთად; დ) სახალხო განათლების სისტემა და ე) პრაქტიკული ღონისძიებანი ნაციონალური პოლიტიკის გასატარებლად სახალხო განათლების დარგში.

ეს საკითხები ჩვენი სახალხო განათლების ძირითადი საკითხებია. აქედან ცხადია, თუ რა დიდი მნიშვნელობა ექნება ამ თათბირს მთელი ჩვენი სახალხო განათლების საქმისათვის.

სახალხო განათლების საკითხი ჩვენი სოციალისტური მშენებლობის ერთ-ერთი მთავარი საკითხია. ძველ რუსეთში ფეოდალური და კაპიტალისტური წესწყობილება ემყარებოდა მასსების უვიცობას, უცოდინარობას, უკულტურობას. ამიტომ ჩვენ მემკვიდრეობით გადმოგვეცა წერა-კითხვის უცოდინარი და კულტურულად ძალზე ჩამორჩენილი ქვეყანა. სოციალისტური წესწყობილების საფუძვლების განმტკიცება შეუძლებელია გარეშე წერა-კითხვის ცოდნისა, მასსების მომზადებისა და მაღალი კულტურისა. ლენინს არა ერთხელ უთქვამს, რომ „გამარჯვების მოპოვება წერა-კითხვის უცოდინარი ხალხით, უკულტურო ხალხით შეუძლებელია"... რომ „წერა-კითხვის უცოდინარ ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების აშენება შეუძლებელია... რომ „უიმისოდ, თუ ყველას წერა-კითხვა არ ეცოდინება, თუ ყველას გაგების უნარი არ ექნება, თუ მცხოვრებნი არ მიეჩვევიან წიგნებით სარგებლობას,... ჩვენ ჩვენს მიზანს ვერ მივაღწევთ".

მაგრამ მარტო წერა-კითხვის ცოდნა როდი მიაჩნდა ლენინს საკმარისად სოციალისტური ქვეყნის ასაშენებლად.

„კულტურის ამაღლების ამოცანა ერთ-ერთი მორიგი ამოცანათაგანია... ჩვენ გვჭირია კულტურის დიდი ამაღლება.. უნდა ვებრძოლოთ წერა-კითხვის უცოდინარობას, მაგრამ მარტო წერა-კითხვის ცოდნა არ კმარა",— ამბობდა ლენინი საბჭოების მერვე ყრილობაზე.

როგორც სამეურნეო, ისე კოოპერატიული მშენებლობაც ვერ წარმოუდგენია ლენინს გარეშე ხალხის განათლებისა: „სიმართლე რომ ვსთქვათ, ჩვენ დაგვრჩენია მხოლოდ ერთი რამ: „გავანათლოთ" ჩვენი ხალხი იმდენად, რომ იგი მიხვდეს საყოველთაო მონაწილეობის სარგებლობას კოოპერაციაში და მოაგვაროს იგი",—ამბობს ლენინი თავის წერილში „კოოპერაციაზე".

ვერც ჩვენი სახელმწიფო აპარატის (რომელსაც ხშირად ახასიათებს ბიუროკრატიზმი) განახლება, ნამდვილ სოციალისტურ აპარატად გარდაქმნა ვერ წარმოედგინა ლენინს გარეშე სწავლა-განათლებისა: „მუშებს სურვილი აქვთ მოაწყონ საუკეთესო აპარატი; მაგრამ არ იციან, როგორ მოახერხონ და არ შეუძლიათ ამ სურვილის განხორციელება. მათ ვერ მიაღწიეს დღემდე ისეთ განვითარებას, ისეთ კულტურას, რომელიც აუცილებელია ამისათვის. ამისათვის კი სწორედ კულტურაა საჭირო... სახელმწიფო აპარატის განახლებისათვის. რაც არ უნდა დაგვიჯდეს, მიზნად უნდა დავისახოთ: პირველი — სწავლა, მეორე — სწავლა და მესამე — კიდევ სწავლა". (წერილი „უმჯობესია ცოტა, მაგრამ უკეთესი").

ამიტომ საბჭოთა ხელისუფლება განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა სახალხო განათლების საქმეს. მიღწევები ამ დარგში კიდევაც დიდი გვაქვს. კულტურული მშენებლობა ჩვენში შეადგენს სამეურნეო სოციალისტური მშენებლობის განუყოფელ ნაწილს. ჩვენი სამეურნეო მშენებლობის მიზანია მთელი მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნა მაღალი ტექნიკის საფუძველზე. ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაცია, ელექტროფიკაცია, სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია, მსხვილ საბჭოთა მეურნეობების მშენებლობა, მოსახლეობის სრული კოოპერატიული გაერთიანება და სხვა,—აი პირდაპირი გზები ქვეყნის სოციალისტური გარდაქმნისაკენ.

ასეთი გრანდიოზული სამეურნეო პროგრამა მეტად მწვავედ აყენებს ჩვენს წინაშე ახალი ადამიანის პრობლემას. ამ პროგრამის შესასრულებლად საჭიროა სრულიად ახალი ადამიანი, ადამიანი კულტურული, შეგნებული, მომზადებული ტექნიკურად და პოლიტიკურად, ადამიანი—სოციალისტი - კოლექტივისტი - რევოლიუციონერი, კომუნისტური დისციპლინის ადამიანი.

მთელი ჩვენი პოლიტიკურ-განმანათლებელი და კულტურულ აღმზრდელობითი მუშაობა მიმართულია იქითკენ, რომ დღევანდელ ადამიანთა საზოგადოება გარდაიქმნათ ასეთი ადამიანების საზოგადოებად.

მთავარი ლაბორატორია, სადაც იქმნება ეს ახალი ადამიანი, სოციალისტური ქვეყნის მშენებელი და ამ მშენებლობის ხელმძღვანელი, არის სკოლა.

რევოლიუციის წინადროიდან ჩვენ მივიღეთ მემკვიდრეობით ძველი სკოლა, აგებული ჰუმანიტარიზმის, რელიგიის, იდეალიზმის, მისტიციზმის, მორჩილების და ინდივიდუალიზმის საფუძვლებზე, სკოლა სქოლასტიური და მოწყვეტილი მეურნეობას, სკოლა, რომელიც ამზადებდა ბურჟუაზიულ-ფეოდალურ და ბიუროკრატიულ სახელმწიფოს მონებს და უსულო მოხელეებს. ცხადია, რომ ასეთი სკოლა გამოუსადეგარი იყო ახალი რევოლიუციონური დროისათვის. საჭირო იყო ამ ძველი სკოლის გარდაქმნა ახალ სკოლად, რომლის საფუძველი იქნებოდა შრომის პრინციპი და რომელიც აღზრდიდა ადამიანს - კოლექტივისტს, მეურნეს, სოციალისტს, რევოლიუციონერს, ადამიანს მატერიალისტური მსოფლმხედველობით და სავსებით მომზადებულს სოციალისტური მშენებლობაში აქტიური მონაწილეობისა და მისი ხელმძღვანელობისათვის.

თუ რანაირად უნდა გარდაქმნილიყო ჩვენი სკოლა და როგორი უნდა ყოფილიყო მისი დანიშნულება, ამაზე გადაჭრილ პასუხს იძლევა მე-VIII ყრილობაზე მიღებული ჩვენი პარტიის პროგრამა:

„სახალხო განათლების დარგში რ. კ. პ. თავის ამოცანად ისახავს მიყვანილ იქნეს ბოლომდე 1917 წლის ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ დაწყებული საქმე—სკოლის გადაქცევა ბურჟუაზიის კლასობრივ ბატონობის იარაღიდან საზოგადოების კომუნისტურად გარდაქმნის იარაღად.

პროლეტარიატის დიქტატურის პერიოდში, ე. ი. ისეთ პირობების მომზადების პერიოდში, რომლებიც შესაძლებელს ხდიან კომუნიზმის სრულ განხორციელებას, სკოლა უნდა იყოს არა მხოლოდ საერთოდ კომუნიზმის პრინციპების გამტარებელი, არამედ პროლეტარიატის იდეურ, ორგანიზაციულ აღმზრდელობითი გავლენის გამტარებელი მშრომელთა ნახევრად პროლეტარულ და არაპროლეტარულ მასებზე იმ მიზნით, რათა აღიზარდოს ისეთი თაობა, რომელიც შესძლებს კომუნიზმის საბოლოოდ დამყარებას. ამჟამად, უახლოეს ამოცანას ამ მიმართულებით წარმოადგენს საბჭოთა ხელისუფლების მიერ უკვე დაწესებულ სასკოლო და საგანმანათლებლო საქმის შემდეგი საფუძვლების კიდევ უფრო განვითარება:

მთლიან შრომის სკოლის პრინციპების სრული განხორციელება, დედა - ენაზე სწავლით და ორთავე სქესის ბავშვთა ერთად სწავლებით; ამასთანავე სკოლა უნდა იყოს აუცილებლად თავისუფალი ყოველგვარ რელიგიურ გავლენიდან, მჭიდრო კავშირის გამტარებელი სწავლისა და საზოგადოებრივ - ნაყოფიერ შრომას შორის და კომუნისტურ საზოგადოების ყოველმხრივ განვითარებულ წევრების მომამზადებელი.

კომუნიზმის იდეებით გამსჭვალულ განათლების მუშაკთა ახალ კადრების მომზადება.

მშრომელი მასების მიზიდვა განათლების საქმეში მონაწილეობის მისაღებად.

პროფესიონალურ განათლების ფართოდ დაყენება 17 წლის ასაკ გადაცილებულ პირთათვის საერთო პოლიტიკურ ცოდნასთან დაკავშირებით".

ჩვენი პარტიის მთელი რიგი დადგენილებანი შემდეგში ანვითარებენ ამ პროგრამაში მოცემულ დედა აზრს ჩვენი სკოლის და სახალხო განათლების შესახებ.

თითქმის 10 წელია, რაც ამ პროგრამის მიღების შემდეგ მუშაობს ჩვენი სკოლა. დიდი ნაწილი, $^4/_5$ ამ მუშაობისა ეკუთვნის ჩვენი მეურნეობის აღდგენით პერიოდს. ჩვენი სკოლა საერთოდ დამაკმაყოფილებლად ასრულებდა ამ პერიოდის მოთხოვნილებას. ორ წელზე მეტია, რაც ჩვენ დავამთავრეთ აღდგენითი პერიოდი და შევუდექით მთელი მეურნეობის რეკონსტრუქციას მაღალი ტექნიკის და სოციალისტური ურთიერთობის საფუძველზე.

ჩვენი პარტიის მე-15 ყრილობამ, რომელმაც მიიღო ჩვენი მეურნეობის რეკონსტრუქციის გაშლილი პროგრამა, აღიარა ჩვენი კულტურული განვითარების ჩამორჩენილობა სამეურნეო განვითარებასთან შედარებით. მან სთქვა, რომ იმ კულტურის საფუძველზე, რომელიც ახლა ჩვენ გვაქვს, შეუძლებელია ჩვენი შემდეგი სამეურნეო განვითარება, ჩვენი კულტურული ჩამორჩენილობა აფერხებს სამეურნეო განვითარებას და სხვა. „ჩვენში კულტურული განვითარება მნიშვნელოვნად ჩამორჩება ჩვენს სამეურნეო განვითარებას.. საჭიროა, რომ ყველასათვის გახდეს აბსოლუტურად გასაგები, რომ კულტურა ჩვენი განვითარების ახლანდელ ეტაპზე წარმოადგენს სამეურნეო მშენებლობის წარმატებით საწარმოებლად იმასვე, რასაც საომარი მოწყობილება ომის დროს. გარეშე ჩქარი კულტურული ზრდისა ჩვენ ვერ შევსძლებთ, როგორც საჭიროა ისე გარდავქმნათ ჩვენი მეურნეობა", — ამბობდა მე-15 ყრილობაზე ამხ. რიკოვი.

ჩვენი უკულტურობის ფაქტიდან, ერთის მხრით, და კულტურის ასეთი საჭიროებიდან, მეორეს მხრით, გამომდინარეობს ჩვენი პარტიის ერთ - ერთი მთავარი ლოზუნგი კულტურული რევოლიუციის შესახებ.

კულტურული რევოლიუციის საჭიროებას მოითხოვს ის სამეურნეო რევოლიუცია, რომელსაც ჩვენ ვახდენთ. კულტურული რევოლიუციის ლოზუნგის წამოყენებით ჩვენი პარტია აყენებს კულტურული მშენებლობის ტემპის და რეკონსტრუქციის საკითხს. ამიერიდან ეს ტემპი უნდა იქნეს უფრო ჩქარი, ვინემ იყო დღემდი, და შეფარდებული ჩვენი სამეურნეო მშენებლობის ტემპთან; ამიერიდან ჩვენი კულტურული მშენებლობა უნდა იქნეს გარდაქმნილი ისე, როგორც ამას მოითხოვს ჩვენი მეურნეობის სოციალისტური მშენებლობის ინტერესები მისი რეკონსტრუქციის პერიოდში.

ამიტომაა, რომ ჩვენი პარტია ჩვენი განვითარების ამ ახალი პერიოდის პირველ საფეხურზე აყენებს გასარჩევად სახალხო განათლების თითქმის ყველა ძირითად საკითხებს. პარტიამ უნდა გაიგოს, თუ რამდენად ტარდებოდა დღემდი პრაქტიკულად მისი დადგენილებები სახალხო განათლების საკითხების შესახებ; პარტიამ უნდა გაეცნოს ჩვენი მასიური და საშუალო სკოლის მდგომარეობას; პარტიამ უნდა გაეცნოს ჩვენი ნაციონალური პოლიტიკის გატარების პრაქტიკას სკოლაში; პარტიამ უნდა გადაათვალიეროს სახალხო განათლების არსებული სისტემა იმ ახალი ამოცანების თვალსაზრისით, რომელნიც სდგანან ჩვენს წინაშე ჩვენი სამეურნეო სოციალისტური მშენებლობის მიმდინარე პერიოდში; პარტიამ უნდა გაიგოს, თუ რა მდგომარეობაშია ის ლაბორატორია, სადაც იქმნება ახალი, სოციალიზმის მშენებელი ადამიანი; პარტიამ უნდა გაიგოს, თუ რა სჭირია ამ ლაბორატორიას, რომ მან მასზე დაკისრებული დიდი ისტორიული მისია პირნათლად შეასრულოს.

პარტიას უნდა ყველაფერი ეს იმისათვის, რომ არსებულ მდგომარეობაში მან შეიტანოს ყველა საჭირო შესწორებანი და სახალხო განათლების საქმე წარმართოს ისე, როგორც ამას მოითხოვს ჩვენი გაშლილი სოციალისტური მშენებლობის ინტერესები.

პარტია ამას შესძლებს მაშინ, როდესაც მას ამ საქმეში ენერგიულ დახმარებას გაუწევენ პარტიის და კომკავშირის ორგანიზაციები, ყველა პროფკავშირები, საბჭოები, ალმასკომები, განათლების მუშაკები და მთელი მშრომელი მასა.

პარტია დიადი სამეურნეო სოციალისტური მშენებლობის ფრონტის გაშლის პირველ საფეხურზე ახდენს კულტურული ფრონტის გენერალურ დათვალიერებას. პარტია ვერ გაიმარჯვებს სამეურნეო სოციალისტური მშენებლობის ფრონტზე, თუ ყველაფერი რიგზე ვერაა კულტურულ ფრონტზე, თუ იქ სისუსტეს ექნება ადგილი.

ეს დათვალიერება მიზანს მიაღწევს მაშინ, თუ პარტია აღმოაჩენს ყოველ დიდსა და პატარა ნაკლს ამ ფრონტზე და მიიღებს საჭირო ზომებს მის გამოსასწორებლად.

ამიტომ მთელი მშრომელი მასის, ყოველი ჩვენგანის, განსაკუთრებით კი — მასწავლებლების და ყველა იმათი, ვინც მუშაობს კულტურულ ფრონტზე, ვალია დავეხმაროთ პარტიას კულტურულ ფრონტზე ყველა არსებულ ნაკლთა აღმოჩენაში და მათ გამოსასწორებლად საჭირო საშუალებათა გამონახვაში. ცხადია, მუშ - გლეხ - აბ-პიკორების ყურადღების გარეშეც არ უნდა დარჩენ დასმული საკითხები.

გავამახვილოთ თვითკრიტიკის ქირურგიული დანა, მოვიმარჯვოთ ის ხელში და შევიხედოთ სახალხო განათლების საქმის ყოველ კუნჭულში. არც ერთი სკოლა, არც ერთი პროგრამა, არც ერთი სახელმძღვანელო არ უნდა დაგვრჩეს დაუთვალიერებელი და გაუსინჯავი. არ მოვერიდოთ არავის— არც საბჭოს, არც ალმასკომს, არც განათლების ორგანოებს და არც სახალხო განათლების კომისარიატს. გავატაროთ ბოლშევიკურად თვითკრიტიკა „მიუხედავად პიროვნებისა" და მიუხედავად დაწესებულებისა. ასეთია ნება იმ პარტიისა, რომელიც ერთად - ერთი ხელმძღვანელობს პროლეტარიატის დიქტატურას, ჯერ - ჯერობით დედა - მიწის ზურგის ერთ მეექვსედ ნაწილზე.

არსებული მდგომარეობის გაკრიტიკების და საკითხების განხილვის დროს უნდა გამოვიდეთ იმ ძირითადი დებულებებიდან, რომლებიც მოცემულია ჩვენი პარტიის პროგრამაში სახალხო განათლების დარგში.

ს. მამულია.

---

*) ეს წერილი დაწერილი იყო, როცა ამხ. ვ. აფხაძის ორი წერილი გამოქვეყნდა გაზ. „კომუნისტ"-ში (№ № 3—4). ამხ. ვ. აფხაძის წერილები პასუხია იმ კითხვების ნაწილზე, რომელსაც ჩვენ ვაყენებთ სახალხო განათლების საკითხების შესახებ თათბირთან დაკავშირებით. მეტად საჭიროა, რომ ამხ. აფხაძემ განაგრძოს ამ მიმართულებით მუშაობა და საკითხის მცოდნე სხვა ამხანაგებმაც წამოჭრან მას. ს. მ.

პარტიაში

ლენინის გარდაცვალების 5 წლის თავისათვის

საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტს, ყველა საოლქო და სამაზრო კომიტეტებს

საქართველოს კომპარტიის (ბ) ცეკა, საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას იმ ცირკულიარის განსავითარებლად, რომელიც გამოქვეყნებული იყო გაზეთ „კომუნისტ"-ისა და „ზარია ვოსტოკა"-ს ა. წ. 8 იანვრის ნომერში, წინადადებას იძლევა ლენინის დღეები ჩატარდეს იმ ნიშნით, რომ მოხდეს მშრომელთა ფართო მასების ყურადღების მობილიზაცია სოციალისტური მშენებლობის ამოცანების ირგვლივ და ეს ამოცანები დაუკავშირდეს საბჭოების გადარჩევის კამპანიას.

მასიური მუშაობა ლენინის დღეებში ჩატარებულ იქნას. შემდეგი წესით:

1) 18—22 იანვარს ქალაქებში გაიმართოს მუშათა კრებები, რომლებზედაც უნდა დაისვას პარტუჯრედების მოხსენებები წარმოების პოლიტიკური და ეკონომიური ძლიერების განმტკიცებისათვის წარმოებული მუშაობისა და წარმოების შემდგომი პერსპექტივების შესახებ მოხსენებებში უნდა გაირკვეს, თუ რამდენად იქნა შესრულებული პარტიის ძირითადი გადაწყვეტილებანი სამეურნეო და კულტურული მშენებლობის შესახებ და ფართოდ გაშუქდეს ისეთი საკითხები, როგორიც არის წარმოების რაციონალიზაცია, შრომის დისციპლინის აწევა და შრომის ნაყოფიერების გადიდება, მუშათა გამომგონებლობის განვითარება, მუშების ჩაბმა პარტიაში, კომპარტიის და კომკავშირის წევრთა ლენინური აღზრდა, ბიუროკრატიზმთან ბრძოლა, მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის განმტკიცება, შეფობის ხაზით სოფლად მუშაობის გაძლიერება და სხვ.

2) სოფლებში ლენინის დღეებში ფართოდ უნდა განვითარდეს ახსნა-განმარტებითი კამპანია პარტიის პოლიტიკის საკითხებისა და იმ ღონისძიებათა ირგვლივ, რომლებსაც პარტია ახორციელებს სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციისათვის, ნათესი სივრცის გაფართოებისთვის, სოფლის მეურნეობაში მოსავლიანობისა და საქონლიანობის გადიდებისთვის, გლეხობის ფართო მასების კოოპერაციაში შეკავშირებისთვის და სხვ.

3) მასიური მუშაობა უნდა სწარმოებდეს იმ მიმართულებით რომ პარტიაში მიზიდულ და ჩაბმულ იქნან საუკეთესო მუშები და მოჯამაგირეები.

4) მასიური მუშაობის სისტემაში ჯეროვანი ყურადღება მიექცეს ინდივიდუალურ და ჯგუფურ აგიტაციას მუშებსა და გლეხებს შორის.

5) პარტიის და კომკავშირის მთელ საპროპაგანდო ქსელში ლენინის გარდაცვალებიდან ხუთი წლის თავს უნდა მიეძღვნას თითო მეცადინეობა.

6) წარმოებულ იქნას ახსნა-განმარტებითი კამპანია პერიოდულ პრესასა და კედლის გაზეთებში; შეძლებისდაგვარად მოეწყოს კედლის გაზეთების სპეციალური ნომრების გამოცემა; ეს ნომრები მიეძღვნება ლენინის გარდაცვალებიდან ხუთი წლის თავს. ამავე ნომრებში მოთავსებული იქნება მუშების მოგონებანი ლენინის შესახებ.

7) მოეწყოს რადიო-გადაცემა პარტიის პოლიტიკის ძირითად საკითხების შესახებ.

8) შრომის სკოლებსა და ტეხნ.-ში ჩატარდეს მოხსენებანი, რომლებიც მიძღვნილი იქნება ლენინის გარდაცვალებიდან ხუთი წლის თავისათვის; ამასთან განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს კულტურული მშენებლობის საკითხებს; სკოლებში მოხსენებებზე მოწვეულ იქნან აგრეთვე მოსწავლეთა მშობლები.

9) ლენინის დღეებში მოხდეს სხვადასხვა კულტურული კერების გახსნა და აგრეთვე მოეწყოს მიღწევათა გამოფენა.

10) ქალაქისა და სოფლის კავშირის საზოგადოების თბილისის საბჭოს დაევალოს შეფების გაგზავნა სოფლად.

11) ქალაქებში—თბილისსა, ბათომსა, ქუთაისსა, სოხუმსა, ფოთში და სხ. 21 იანვარს გაიმართოს ქალაქის საბჭოების სხდომები პარტიული, პროფესიონალური და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების მონაწილეობით. ამ სხდომებზე უნდა დაისვას მოხსენებები შემდეგ თემაზე: „სოციალისტური მიღწევების შედეგები 5 წლის განმავლობაში."

საქართველოს კომპარტიის (ბ) ცეკას მდივანი **მ. კახიანი.**

ცეკას საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფ. გამგე **ს. მამულია.**

კომინტერნის მე-6 კონგრესის შედეგების განხილვა

სახმედვაჭრობის უჯრედში

4 იანვარს შესდგა სახმედვაჭრობის უჯრედის ღია სხდომა, სადაც კომინტერნის მე-6 მსოფლიო კონგრესის შედეგების შესახებ ვრცელი მოხსენება გააკეთა ამხ. ჩაჩვაძემ. მოხსენების ირგვლივ გაიმართა ცხოველებული კამათი, რომელშიაც მოკამათენი აღნიშნავდნენ კომინტერნის მე-6 კონგრესის უდიდეს მნიშვნელობას მსოფლიო მუშათა კლასის დარაზმვისა და შეკავშირების საქმეში იმპერიალიზმისა და კაპიტალიზმის დასამხობად.

ერთხმად მიღებულ რეზოლუციაში სხვათა შორის ნათქვამია. „მე-6 კონგრესის მიერ მიღებული კომუნისტური ინტერნაციონალის პროგრამა წარმოადგენს უდიდეს ისტორიულ ფაქტორს საერთაშორისო მუშათა მოძრაობაში. პროგრამა, რომელიც აგებულია მეცნიერულ საფუძვლებზე და მასში ნათლად გათვალისწინებულია პროლეტარიატის საერთაშორისო რევოლუციონური მოძრაობის გამოცდილება წარმოადგენს ბრძოლის უდიდეს იარაღს როგორც მძარცველი კაპიტალიზმის, ისე ოპორტუნიზმის წინააღმდეგ".

უნდა აღინიშნოს, რომ უჯრედის სხდომა ჩატარდა გაცხოველებული ინტერესით დღის წესრიგში დასმული საკითხისადმი.

ნ. შნაიდერმანი.

კომკავშირში

კომკავშირის რაჭა-ლეჩხუმის სამაზრო კონფერენცია

ამ დღეებში დამთავრა მუშაობა ა. ლ. კ. კ. რაჭა-ლეჩხუმის სამაზრო პირველმა კონფერენციამ, რომელზედაც დაესწრო 179 დელეგატი. კონფერენციამ მიიღო შემდეგი დღის წესრიგი: 1. ცენტრალური კომიტეტის მოხსენება საქ. მუშაობის ახალ ფორმების და მეთოდებთან დაკავშირებით. 2 სამაზრო კომიტეტის ანგარიში. 3. კომიტეტის და მისი სარევიზიო კომისიის არჩევნები.

დღის წესრიგის პირველ საკითხზე მოხსენებით გამოვიდა ცეკას წარმომადგენელი ამხ. მახათაძე, რომელიც ვრცლად შეეხო ცეკას მიერ წარმოდგენილ მუშაობას.

ცეკას მოხსენების ირგვლივ გაიმართა კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო 15 კაცმა; კამათში გამოსული ამხანაგები ეხებოდენ კომკავშირის წინაშე მდგარი ამოცანების შესრულების გზებისა და საშუალებების გამონახვის საკითხებს, იმას თუ რა ტიპის კოლექტიურ მეურნეობანი უნდა იქნას ჩვენში ჩამოყალიბებული, აღნიშნავდნენ ლიტერატურის თავის დროზე მიუღებლობას, რაც აფერხებს პოლიტ-განათლების საქმეს, იხიბოდენ პარტიაში გადარიცხვის საკითხებს და სხვა.

განსაკუთრებით საგულისხმოა პარტიის ცეკას წარმომადგენლის საბჭოთა არჩევნების ჩასატარებლად მოვლინებულ ამხ. ელისაბედაშვილის სიტყვა, რომელიც მიესალმა კონფერენციას და ხაზგასმით აღნიშნა საბჭოთა არჩევნების პოლიტიკური მნიშვნელობა. დასახა პრაქტიკული წინადადებები ა. კ. მონაწილეობის შესახებ საბჭოთა არჩევნებში.

სამაზრო კომიტეტის მუშაობის შესახებ საანგარიშო მოხსენება გააკეთა ამხ. ბითაძემ. მომხსენებელი ვრცლად შეეხო, როგორც მიღწევებს ისე განსაკუთრებით შეჩერდა ნაკლზე.

ამხ. ბითაძის მოხსენების შემდეგ სამაზრო კომიტეტის მოხსენების ირგვლივ გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღო 40 კაცმა. აღსანიშნავია, რომ კამათი ატარებდა ზედმიწევნით საქმიან ხასიათს. ყველა გამოსული ამხანაგები მსჯელობდენ იმ საჭირბოროტო საკითხების და რჩევებს, რომლებიც სდგანან ორგანიზაციის წინაშე გადასაწყვეტათ.

კამათის დასრულების შემდეგ გამოვიდა ამხ. ბითაძე, რომელმაც პასუხი გასცა ყველა შეკითხვებს და კამათში გამოსულ ამხანაგებს

საბოლოო სიტყვის შემდეგ გამოყოფილი იქნა კომისიები ცეკასა და სამაზრო კომიტეტის მოხსენების ირგვლივ რეზოლიუციების დასამუშავებლად. დაბოლოს არჩეული იქნა სამაზრო კომიტეტი და მისი სარევიზიო კომისია.

პრაქტიკულ მომუშავეებათ არჩეული არიან მდივნად ამხ. ბითაძე, ორგორგანიზატორი გუნიავა, აგიტპროპორგანიზატორი ნადირაშვილი შრომის და განათლების ორგანიზატორი გუგავა ნ. პ. ბიუროს თავმჯდომარე ხეცურიანი.

პ. ნადირაშვილი.

კომკავშირის ლენ. რაიონის მე-12 კონფერენცია

მერვე სხდომა

კონფერენციის მერვე სხდომა გაიხსნა ამხ. ოსიპოვის თავმჯდომარეობით. გაგრძელდა კამათი ამხ. სპირიდონოვის მოხსენების გარშემო.

კამათში გამოვიდა ამხ. ცოცხაძე, რუხაძე, ვალიევი, სალუქვაძე, ღლონტი, გრიგორიანი კოზიაშვილი; ჩიჟი; მანუკოვი; მოროზოვი, ბერეზოვსკი; მიხაილოვი; სიხარულიძე, კერვალიძე, დევძე, რუსაძე, და სხვ.

კამათში გამოსული ორატორები აღნიშნავდენ: რაიონში ადგილი აქვს სტუდენტების ჯგუფების გამოცოცხლების ცდებს; თამბაქოს წევის წინააღმდეგ ბრძოლას ნაკლები ყურადღება ექცევა; მუშაობის ახალ ფორმებზე და მეთოდებზე გადასვლის დროს, რაიკომს უნდა დაეხმარონ აქტიური ამხანაგები; ადგილებზე ფიზკულტურის მუშაობას ნაკლები ყურადღება ექცევა და სხვ.

კამათის დასრულების შემდეგ ამხ. სპირიდონოვმა თავის საბოლოო სიტყვაში ამომწურავი პასუხი გასცა კამათში გამოსულ ამხანაგების მიერ აღძრულ საკითხებს.

დასასრულ რეზოლუციის შესამუშავებლად არჩეულ იქნა კომისია რის შემდეგ კონფერენციის მე-8 სხდომა დაიხურა.

წითელ არმიაში

კავკასიის წითელ-დროშოვან არმიის მე-7 პარტ-კონფერენცია

მეორე სხდომა

მეორე სხდომაზე გაიხსნა კამათი ამხ. შ. ელიავას მოხსენების გარშემო. სულ კამათში გამოვიდა 24 კაცი.

სოფლად მუშაობის მტკივნეული საკითხები

ამხ. სურმავა (მე-4 ქართ. მსრ. ლეგიონი) აღნიშნავს, რომ სოფლად ძალიან სუსტი მუშაობა სწარმოებს ღარიბ გლეხებსა და მოჯამაგირეებს შორის, რაც სჩანს თუ გინდ იქიდან, რომ ამ ფენიდან ჯარში გაწვეულებს არ აქვთ წარმოდგენა ღარიბ გლეხების და მოჯამაგირეთა ორგანიზაციების მნიშვნელობის შესახებ სოფლად. ამავე დროს კულაკური ელემენტები ზოგ შემთხვევაში ახერხებენ სხვადასხვა ხრიკებით შესვლას პარტიაში.

ამხ. ოსიპოვი ეხება კოლმეურნეობების ჩამოყალიბების საკითხს და ამბობს, რომ კოლექტივებს ზოგჯერ სათავეში ექცევიან შეძლებული და საშუალო გლეხები, რომელნიც უარს უბნებიან ღარიბ გლეხებს კოლმეურნეობაში წევრად მიღებაზე. ღარიბ გლეხთა შორის მუშაობა ორატორის სიტყვით სწარმოებს მხოლოდ სხვადასხვა კამპანიების ჩატარების დროს. დანარჩენ დროს ღარიბი გლეხები და მოჯამაგირეები მივიწყებული არიან.

ამხ. ფერაძეს მოყავს ცოცხალ ხელმძღვანელობის მაგალითი ქუთაისის მაზრიდან. „მოვა სოფელში რაიონიდან ან მაზრიდან მომუშავე, წაიკითხავს მოხსენებას, რომელიც უფრო ლექციას წააგავს, ჩაჯდება ეტლში და წავა".

განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ მოკამათეები ჩვენი საგადასახადო პოლიტიკის საკითხს. ყველა აღნიშნავდა, რომ წელს უფრო მეტი ეტყობა კლასიური მიდგომა ამ საკითხისადმი გაძლიერდა შეტევა კაპიტალისტურ ელემენტებზე სოფლათ. მაგრამ როგორც შენიშნა ამხ. სურმავამ, ჯერ კიდევ გვყავს სოფლის აპარატში ძველი მწერლები, ღვდლის შვილები და სხვ., რომელნიც აბრკოლებენ ჩვენ მუშაობას სოფლის სოციალისტურ გარდაქმნისათვის. მხოლოდ საბჭოთა აპარატის გამუშრებითაა შესაძლებელი ჩვენი საგადასახადო პოლიტიკის საბოლოოდ გაჯანსაღება. ამასთან ერთად უნდა მიექცეს ყურადღება საგადასახადო დარგში მომუშავეთა გადამზადებას და ცოცხალ ინსტრუქტაჟის საქმეს.

კავშირი წითელ-არმიასთან არ არის საკმაო

თითქმის ყველა მოკამათენი ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ კავშირი წითელ-არმიასთან სამოქალაქო ორგანიზაციების მხრით არ არის დამაკმაყოფილებელი.

უკვე სამი წელიწადია ლეგიონში ვარ —ამბობს ამხ. ნეშკო (ქუთაისი). მაგრამ ადგილობრივი სამოქალაქო ორგანიზაციის წარმომადგენელი ლეგიონში მხოლოდ ერთხელ, და ისიც ორ წელიწად-ნახევრის წინედ ვნახე. ადგილობრივი მომუშავეები გამოჩნდებიან ყაზარმაში მხოლოდ დღესასწაულებზე, ან სხვადასხვა კამპანიის ჩატარების დროს. იშვიათად ისმება ნაწილის სამხედრო კომისიების მოხსენებები პარტიულ კომიტეტებში. ვერ მიიპყრო სამოქალაქო ფართე ორგანიზაციების ყურადღება აგრეთვე „წითელ ყაზარმის დათვალიერების" კამპანიამაც. „დათვალიერება" გულისხმობს უფროსთა შემადგენლობის საბინაო მდგომარეობის გაუმჯობესებას, სინამდვილეში კი ეს საკითხი თითქმის არსად არ არის დამაკმაყოფილებლად მოგვარებული. ამასთან ერთად ცხოვრებაში არ ტარდება საკავშირო რევსაბჭოს დადგენილება ყველა ახლად აშენებულ სახლებში საბინაო ფონდის 10 პროცენტის დათმობის შესახებ წითელ-არმიის მეთაურთა შემადგენლობისათვის.

ინტერნაციონალური აღზრდის საკითხები

ამიერ-კავკასიაში ძმურ რესპუბლიკების შორის ურთიერთ ცოცხალ კავშირის განმტკიცების მიზნით, ამხ. მუშნეტიანს შემოაქვს წინადადება მუშათა დელეგაციების გაგზავნის შესახებ ერთ რესპუბლიკიდან მეორეში განსაკუთრებით დღესასწაულების დღეებში. უნდა მიექცეს აგრეთვე ყურადღება ამიერ-კავკასიაში მდგომ ნაწილების გაცნობას ადგილობრივ მხარის ისტორიულ, პოლიტიკურ და ეკონომიურ პირობებთან.

გარდა ამისა, გამოსული ამხანაგები სვამდნენ საკითხებს პარტხელმძღვანელობის გაძლიერების შესახებ. ჩვენ სამეურნეო მშენებლობაზე, სასტიკი ბრძოლის გამოცხადების შესახებ ლოთობის წინააღმდეგ და სხვა.

საჭიროა აგრეთვე დიდი ახსნა-განმარტებითი მუშაობის წარმოება იმის შესახებ, თუ სახელდობრ რაში უნდა გამოიხატებოდეს ფართო მასების მონაწილეობა ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის საქმეში.

ამხ. შ. ელიავას საბოლოო სიტყვის შემდეგ კონფერენციამ დაადგინა მისასალმებელი დეპეშები გაეგზავნოს ს. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს, ამიერ-კავკ. საოლქო კომიტეტს, საქ. კომპარტიის ცეკას, საკავშირო რევსაბჭოს თავმჯდომარეს ამხ. ვოროშილოვს, წითელ-არმიის პოლიტსამმართველოს უფროსს ამხ. ბუბნოვს და ლენინგრადის და ბელორუსიის სამხედრო ოლქების პარტიულ კონფერენციებს.

წითელი ყაზარმის დათვალიერება

ჩვენც მზად ვხვდებით

1-ლი ცალკე საკავშირო ასეული

ამ რამდენიმე დღის წინად ჩვენი ნაწილიც შეუდგა გაცხოველებულ მუშაობას, რომ ჩვენც დავხვდეთ სხვა ნაწილებთან ერთად სათანადოთ მომზადებული მომავალ ყაზარმების დათვალიერებას.

რა გაკეთდა ამ მიმართულებით? პირველ ყოვლისა ჩვენმა უფ. შემადგენლობამ მთავარი ყურადღება მიაქცია წ.-არმიელთა საცხოვრებელი ბინების მოწყობას, მის მოწესრიგებას. გასულ წლებში წვიმების დროს ყაზარმებში ჩამოდიოდა წყალი სახურავის უვარგისობის გამო და ფუჭდებოდა როგორც ხის მასალა, ისე წითელ არმიელების საწოლებიც. ეს ნაკლი დღის გამოსწორებულია. ამასთან ერთად შიგ შენობა, სადაც ცხოვრობენ წითელ არმიელები ხელმეორედ იქნა შეკეთებული. მოვაწყვეთ ფანჯრებზე ჩამოსაფარებლები („ზანავესკები"), მოწყობილია თითო ოცეულებში შინელების დასაკიდებლები, ფეხსაწმენდავები, შეძენილია ჩოთქები მაზით და სხვა. წინედაც გვქონდა შინელების დასაკიდებლები, მაგრამ არ იყო საკმარისი.

აგრეთვე მოვაწყვეთ საუკეთესოთ თვით წ.-არმ. საწოლები. გამოვაკარით საბნებს ჩიხოლები და სხვა მრავალი ასეთი, ამასთან ერთად გავაკეთეთ საუკეთესოდ სამზარეულო, სასადილო თავისი მოწყობილობით, შევიძინეთ ახალი მოწყობილობა: როგორიცაა ჩაის ემალის ფინჯნები, ჩაის კოვზები, ჩაინიკები, გრაფინკები, მინის წყლის სტაქნები, მოვაწყვეთ სასადილოში პურთლებისათვის საუკეთესო შკაფები. ასე რომ ამ მხრივ წ.-არმიელთა მოთხოვნილება დაკმაყოფილებულია. როგორც საჭმელით, ისე საცხოვრებელი ბინებით და საწოლებით.

აგრეთვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ წინეთ ჩვენს ნაწილში არ იყო მოწყობილი საპარიკმახერო და არც ხელსაწყოები ქონდათ, რასაც ყურადღება მიაქცია ჩვენმა უფ. შემადგენლობამ და სამეო ნაწილის დახმარებით საპარიკმახეროს ყოველგვარი მოწყობილობა შეძენილ იქნა

ამასთან ერთად მოწყობილია კლუბი, რომელიც წინად არ ქონია ნაწილს, შეძენილია სხვადასხვა სამუსიკო ინსტრუმენტები, როგორიცაა მანდალინები, გიტარები, დოლი, დუდუკები, სალამური და სხვა. კლუბში მოეწყო რადიო, სადაც ვისმენთ სხვადასხვა მხარეებიდან, როგორც მოხსენებებს, ისე კონცერტებს, კლუბი თბება სათანადოთ, რომ ხელი არ შეეშალოს სკოლის გარეშე მუშაობას ე. ი. წრეების და ჯგუფების მეცადინეობას. ასე რომ წ.-არმ. შეუძლია თავისუფალი წუთებიც არ დაკარგოს და მოახმაროს თვითგანვითარებას. აგრეთვე აშენებული იქნა ახალი სახურავი ლეგიონის ტრანსპორტისათვის, რომლებიც წინეთ წვიმაში ეყარა. აქვე შეიძლება აგრეთვე მოთავსებული იქნას ცხენებისათვის ფურაჟი—თივა, ქერი და სხვა. მოვაწყვეთ ცხენების საცხოვრებელი ბინა, საუკეთესოდ შეკეთებულია სამრეცხველო და სხვა მრავალი ასეთები. ასე რომ ამჟამად ყოველგვარი ნაკლი გამოსწორებულია. ამგვარად მოწყობილი ვხვდებით ჩვენ ყაზარმების მომავალ დათვალიერებას და ვიწვევთ მეორე საკ. ასეულს, რომ ისინიც მომზადებული შეხვდნენ ყაზარმის დათვალიერებას.

ხ. თორაძე.

სათადარიგო მეთაურთა გადამზადება

ამიერ-კავკ. თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოება მიმდინარე წელს პირველად აწარმოებს საშუალო და უმცროს სათადარიგო მეთაურთა გადამზადებას. ამ მიზნით 1 იანვრიდან ბაქოში, განჯაში, თბილისში, ქუთაისში, შორაპანში, ერივანში, დილიჟანში და ამიერ-კავკასიის ფედერაციის სხვა პუნქტებში გაიხსნა სპეციალური კურსები.

ზამთრის მეცადინეობის პერიოდი დამთავრდება პირველ მაისს, რის შემდეგაც დაიწყება მეთაურების პრაქტიკული საბანაკო მუშაობა.

იმ სათადარიგო მეთაურებს, რომელნიც თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოების კურსებს დაამთავრებენ, არმიაში გადასამზადებლად აღარ გაიწვევენ. განსაკუთრებულ შემთხვევებში კურსდამთავრებულნი შეიძლება გაწვეულ იქნან არმიაში გადასამზადებლად 3 კვირის ვადით 6 კვირის ნაცვლად.

კურსებზე მეცადინეობა ისე მოეწყობა, რომ მან ხელი არ შეუშალოს სათადარიგო მეთაურთა მუშაობას სამსახურში.

მუშკორზე თავდამსხმელთა გასამართლება

სასამართლოს დარბაზიდან

10 იანვარია. დღეს საღამოს ექვსი საათიდან უნდა დაიწყოს იმათი საჯარო გასამართლება, რომელთაც სცადეს მუშა-კორესპონდენტთან ანგარიშის გასწორება იარაღით.

საღამოს ექვსი საათი სრულდება. ვუახლოვდები ავტო-კლუბს. ზღვა ხალხს უკვე ალყა შემოურტყამს კლუბის შენობისათვის. თბილისის მუშათა რაიონებიდან დღეს ბევრს ავტო-კლუბისაკენ მიეჩქარება.

მუშებს მყუდროება დაურღვევიათ, ისინი აღშფოთებულნი არიან მუშა კორესპონდენტზე თავდასხმით.

ავტო-კლუბისაკენ მიეჩქარებათ აგრეთვე გულისწყრომით აღსავსე მუშა-კორესპონდენტებს.

დარბაზში რაზმიც ვერ შეატანს. გარეთ სდგას დამსწრეთა მეტი ნაწილი, შესვლის იმედი არ არის.

საწყენია, რომ ავტო-კლუბის შენობა ასე პატარაა. ეს შენობა იმოდენა უნდა იყოს, რომ არც ერთი აქ მოსული გარეთ არ დარჩეს. გინდა გაირღვეს კედლები, რომ ამ მოზღვავებულმა ხალხმა თავისი თვალით ნახოს მისი მშვიდობიანი შრომის მტრები და ამფორიაქებლები.

კულისებს გზას მივაგნე და დიდი წვალებით სცენაზე ამოვყავ თავი.

დარბაზში ხალხის ორი მესამედი ფეხზე დგას, გასავლელები გაჭედილია, ნემსი, რომ გადააგდოთ ძირს არ დავარდება, ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით.

კარებთან ისმის ხმები: „გამატარეთ", „გაიწ-გამოიწით". ტყუილია! დარბაზ გარედ დარჩენილი ხალხი პროცესს ვერ დაესწრება.

— გთხოვთ აბრძანდეთ! სასამართლო მოდის, გაისმის გამწესრიგებლის ხმა,

ხალხი ისედაც „აბრძანებულია".

— გთხოვთ დაბრძანდეთ!

ხალხის მეტი ნაწილი უადგილობის გამო ისევ ფეხზე სდგას.

საღამოს სრულ 7 საათზე თავმჯდომარე ამხ. ბერიშვილი სხდომას გახსნილად აცხადებს.

სცენის ერთ კუთხეში სხედან პროცესის „რაინდები": არქიპო ბახტაძე, მისი „ნაგანოსანი" დეიდაშვილი ივანე ბრეგაძე და უკანასკნელის მეგობრობაში ჩამწყვარი ისაი ლეიბმანი.

ბახტაძე და ბრეგაძე ისე მშვიდად და ურცხვად გამოიყურებიან, თითქოს რაღაც სასახელო საქმე ჩაედინოთ. ისინი „ლოთი-ფოთური ყმაწვილების" შთაბეჭდილებას სტოვებენ.

სცნობთ თავს დამნაშავედ?—ეკითხება თავმჯდომარე ბრალდებულ ბახტაძეს.

— არა, უპასუხებს უტიფრად ბახტაძე.

— თქვენ თუ სცნობთ თავს დამნაშავედ?—

— სრულებითაც არა,—კიდევ მეტი უტიფრობით აცხადებს ბრეგაძე. არც ლეიბმანი სცნობს, რასაკვირველია, თავს დამნაშავედ!

სულ ყველას უდანაშაულოდ მოაქვთ თავი. გიკვირს, თუ რატომ შეიკრიბა ამდენი ხალხი და რაზეა ამდენი თავის მტვრევა!

დარბაზში ჩოჩქოლია.., წესრიგის დაცვა შეუძლებელი ხდება. თავმჯდომარე ზარს აწკარუნებს. მოუწოდებს ხალხს წესრიგისაკენ. მაგრამ დარბაზში ისეთი სივიწროვეა, რომ სრული წესრიგის დაცვა შეუძლებელი ხდება.

სასამართლოს თავმჯდომარე იწყებს საბრალმდებლო დასკვნის კითხვას.

თავმჯდომარე იძულებულია რამდენიმეჯერ შესწყვიტოს კითხვა.

შეუძლებელი ხდება პროცესის გაგრძელება. საბრალმდებლო დასკვნის წაკითხვის შემდეგ სხდომა წყდება რამდენიმე წუთით.

კლუბის კარებს აწვება გარედ დარჩენილი ხალხი, ისმის დაუსრულებელი ბრახუნი და ხმები: „შემოგვიშვით".

სასამართლო მიდის იმ დასკვნამდე, რომ აუცილებელია უფრო დიდი დარბაზის არჩევა და ადგენს: საქმის განხილვა შესწყდეს და ხვალისათვის სხდომა დაინიშნოს მელითონეთა კლუბში (პლეხანოვის პრ. № 128).

ბერ.

პროცესის პირველი დღე

გუშინ საღამოს დაიწყო გაზ. „კომუნისტი"-ს მუშკორ ამხ. ვაჩეიშვილზე შეიარაღებულ თავდამსხმელთა საჩვენებელი გასამართლება. პროცესის პირველი სხდომა გაიხსნა ავტო-კლუბის დარბაზში. საღამოს სრულ 7 საათზე იხდება ფარდა. კლუბის პატარა სცენა მთლიანად გაჭედილია.

შუა სცენაზე მაგიდას წინ უსხედან სასამართლოს თავმჯდომარე ამხ. ბერიშვილი და სახალხო მსაჯულნი ამხ. წულუკიძე და მამაჯანაშვილი. მარცხენა ავანსცენაზე კუთხეში მაგიდის წინ მოთავსებულნი არიან სახელმწიფო ბრალმდებელი ამხ. ძაძამიძე და საზოგადოებრივი ბრალმდებელნი ამხ. ჟუღენია (გაზ. „კომუნისტი"), ამხ. რახმანი (გაზ. „ზარია ვოსტოკა"), ამხ. გალკინი („რაბოჩაია პრავდა") და ამხ. ბარბაქაძე (მუშკორთა ბიურო). მარჯვენა კუთხეში, ავანსცენაზე სხედან ბრალდებულნი — ბახტაძე, ბრეგაძე და ლეიბმანი. ბრალდებულთა გვერდით დგანან წითელარმიელნი, ხოლო წინ მაგიდას უსხედან დამცველთა კოლეგიის წევრები: ა. ბარათაშვილი (ბახტაძის დამცველი), ჯაფარიძე (ბრეგაძის დამცველი) და ამირაღოვი (ლეიბმანის დამცველი).

იწყება მოწმეთა გამოძახება. ხალხით სავსე დარბაზიდან პირველად სცენაზე გამოდის მუშკორი ამხ. ვაჩეიშვილი, იგი მეტად წყნარი და მორიდებული კაცის შთაბეჭდილებას სტოვებს, მას მოჰყვებიან დანარჩენი მოწმეებიც. სხდომაზე არ გამოცხადებულა 12-დან 8 მოწმე.

როგორც ბრალმდებელნი, ისე დამცველნი სასამართლოს სთხოვენ, რომ ბრალდებულთა პიროვნების დასახასიათებლად და მომხდარ ბოროტმოქმედების ზოგიერთი მომენტების გასაშუქებლად გამოწვეული იქნენ კიდევ დამატებითი მოწმეები. სასამართლო აკმაყოფილებს შუამდგომლობას ნაწილობრივ, — ადგენს გამოწვეულ იქნენ მხოლოდ ის მოწმეები, რომელთაც შეუძლიათ სასამართლოს მისცენ ახალი არსებითი ცნობები ბოროტმოქმედების ზოგიერთი მომენტების გასაშუქებლად და ბრალდებულთა პიროვნების დასახასიათებლად.

ამის შემდეგ იწყება საბრალმდებლო დასკვნის კითხვა. მთელი დარბაზი გულისყურით ისმენს ოქმს. დამსწრეთა სიჭარბის გამო შეუძლებელი ხდება სიწყნარის დაცვა. თავმჯდომარე იძულებულია რამდენიმეჯერ შეაჩეროს ოქმის კითხვა.

ჩვენი გაზეთის მკითხველებმა უკვე დაწვრილებით იციან, თუ რა ედებათ ბრალად დამნაშავეთა სკამზე მსხდომთ.

თავის თანამდებობის ბოროტათ გამოყენება, თანამდებობით ყოყოჩობა, თვითნებობა, თავაშვებულება, საზარტო თამაშობა, როსკიპებთან დროს ტარება — აი, როგორ არის დახასიათებული მოწმეთა მიერ საბრალდებულო ოქმში ბახტაძე.

არც ბრალდებული ბრეგაძე არის უკეთეს ფერებით შემკული მოწმეთა მიერ: ალვირახსნილობა, თანამდებობის ბოროტათ გამოყენება, თავის გამოდება მისი დეიდაშვილის „შეურაცხმყოფელ" მუშკორის შურის ძიებისათვის. ყოველგვარ პასუხისმგებლობას მოკლებული. ნამდვილი მკლავაძე, მუშტი-კრივის და რევოლვერის ტრიალის მოყვარული — ასეთია მეორე ბრალდებული ბრეგაძე.

დაკისრებულ მოვალეობისადმი გულგრილობა, ძმა-ბიჭური მიდგომა საქმისადმი, სურვილი — არ აწყენინოს თავის უწყებაში მომუშავე თანამოსამსახურეს — აი რამ დააჯინა საბრალდებულო სკამზე მესამე ბრალდებული ლეიბმანი.

ბახტაძისა და ბრეგაძის დანაშაული გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კანონთა კოდექსის მე-17, მე-19 და მე-58 მუხლით, ხოლო ლეიბმანის დანაშაული ამავე კოდექსის 116 მუხლით.

უტიფარი უარი

ნახევარ საათს მოუნდა თავმჯდომარე საბრალდებულო ოქმის წაკითხვას.

შემდეგ ის ეკითხება პირველ ბრალდებულს —ბახტაძეს:

— იცით, ალბად, რაში ედებათ ბრალი? სცნობ თუ არა თავს დამნაშავედ?

ბრალდ. ბახტაძე — არა.

თავმჯდომარე — როდის გსურთ ჩვენების მიცემა: ეხლა თუ მოწმეების დაკითხვის შემდეგ?

ბახტაძე—მოწმეების დაკითხვის შემდეგ.

თავმჯდომარე — (ბრალდებულ ბრეგაძეს); სცნობ თუ არა თავს დამნაშავედ?

ბრალდ. ბრეგაძე (მედიდურათ) სრულიად არაფერში.

თავმჯდომარე — როდის გსურთ ჩვენების მოცემა; ეხლა თუ მოწმეების დაკითხვის შემდეგ?

ბრეგაძე — მოწმეების შემდეგ.

თავმჯდომარე — (ლეიბმანს) თქვენ ალბათ იცნობთ საქმის ვითარებას. სცნობთ თუ არა თავს დამნაშავეთ?

ლეიბმანი — არ ვსცნობ.

ბრალდებული ლეიბმანიც სთხოვს სასამართლოს ჩვენება ჩამოართვას მოწმეების დაკითხვის შემდეგ.

მუშკორი შ. ვაჩეიშვილი

ბრალდებულთა დაკითხვის შესახებ

პროკურორი ამხ. ძაძამიძე და საზოგადოებრივი ბრალმდებელი ამხ. ჟუღენია შუამდგომლობენ სასამართლოს წინაშე, რომ ბრალდებულთა დაკითხვა მოხდეს მოწმეების დაკითხვამდე ცალ-ცალკე იმ მოსაზრებით, რომ სასამართლოს საშუალება მიეცეს მოწმეების ყურადღება დაკითხვის დროს შეაჩეროს ისეთ მომენტებზე, რომელნიც ბრალდებულთა ჩვენების ჩამორთმევის შემდეგ სასამართლოსათვის გაურკვეველნი, ან წინააღმდეგობის შემცველი იქნებიან.

სასამართლო აკმაყოფილებს ბრალდებულთა შუამდგომლობას.

ვინაიდან დარბაზში აყარებული ხალხის მოგროვების გამო ნორმალური მუშაობა შეუძლებელი ხდება, სასამართლო ადგენს, რომ სხდომა გადადებულ იქნეს მეორე დღისათვის უფრო მოზრდილ შენობაში.

მუშკორები მოითხოვენ დამნაშავეთა სასტიკად დასჯას

მუშკორთა დევნას არავის შევარჩენთ

გაზ. „კომუნისტი"-ს მუშკორთა საერთო კრებამ, რომელიც შესდგა 9 იანვარს, მოისმინა ამხ. აკ. ჟუღენიას საინფორმაციო ცნობა მუშკორ ვაჩეიშვილზე თავდასხმის შესახებ. კრებამ მიიღო შემდეგი რეზოლიუცია:

„ჩვენ, გაზ. „კომუნისტი"-ს მუშკორები გამოვსთქვამთ დიდ აღშფოთებას მუშკორთა მდევნელების წინააღმდეგ. უნდა იცოდენ ბახტაძეებმა და ბრეგაძეებმა, რომ თავიანთი ხულიგნური გამოსვლებით, მუშკორებზე თავდასხმით და სხვ. ვერ შეასუსტებენ მუშკორთა ბრძოლას, საბჭოთა ხელისუფლების გამტკიცებისათვის. პირიქით ისინი უფრო გაათკეცებული ენერგიით და უმსგავსოებისწინააღმდეგ, იმ ბოროტების და უმსგავსოების წინააღმდეგ, რომელიც შემჩნეული იქნება სოციალისტურ მშენებლობაში.

ჩვენ, გაზ. „კომუნისტი"-ს მუშკორები მოვითხოვთ, რათა შესაფერი სასჯელი მიესაჯოს ბახტაძე და ბრეგაძეს, რომლებმაც სცადეს მუშკორის მოკვლა.

მუშკორი.

26 კომ. რაიონის მუშკორთა ხმა

26 კომუნარის რაიონის მუშკორთა გაერთიანებული კრება, რომელმაც მოისმინა ამხ. მკერვალის საინფორმაციო მოხსენება გაზ. „კომუნისტი"-ს მუშკორ ვაჩეიშვილზე შეიარაღებული თავდასხმის შესახებ, არქიპო ბახტაძეს და ივანე ბრეგაძეს მიერ, უერთდება თბილისის მუშკორთა ხმას და მოითხოვს ბახტაძის და ბრეგაძის სასტიკად დასჯას.

ნ. ი.

მარელისის ფაბრიკის მუშკორების დეპეშა

მარელისის ფაბრიკის მუშკორები მოითხოვენ ბრეგაძის და ბახტაძის სასტიკად დასჯას.

მუშკორთა ბიურო.

მოვითხოვთ უსასტიკეს სასჯელს

9 იანვარს, თამბაქოს ტრესტის კედლის გაზეთის „ტრესტის ხმა"-ს სარედაქციო კოლეგიის სხდომამ, რომელსაც დაესწრო მუშკორები და ადგილკომის და კულტკომისიის წევრები, მოისმინა ამხ. ვ. მთვრალაშვილის საინფორმაციო ცნობა მუშკორ ვაჩეიშვილზე შეიარაღებულ თავდასხმის შესახებ. კრებამ გამოიტანა შემდეგი რეზოლიუცია:

„მოვისმინეთ რა საინფორმაციო ცნობა, ჩვენ თამბაქოს ტრესტის მუშკორები და ადგილკომის და კულტკომისიის წევრები გამოვსთქვამთ დიდ აღშფოთებას შეიარაღებულ თავდასხმის გამო მუშკორ ვაჩეიშვილზე ბახტაძის და ბრეგაძის მიერ და მოვითხოვთ ბოროტმოქმედების სასტიკად დასჯას

ჩვენ, საბჭოთა ხელისუფლების მშრომელნი, რომლებიც ვდგევართ პროლეტარულ ინტერესების სადარაჯოზე, დიდის ენერგიით ვმუშაობთ და შემდეგშიც ვიმუშავებთ სოციალისტურ მშენებლობის განმტკიცებისათვის და ძირფესვიანად აღმოფხვრით ისეთ მავნე ელემენტებს, როგორიც არიან ბახტაძე და ბრეგაძეები.

დამსწრე.

მუშკორთა მტრები უნდა დაისაჯონ

თბილისის ტრამვაის მუშა-კორესპონდენტებმა მოისმინეს საინფორმაციო ცნობა გაზ. „კომუნისტი"-ს მუშკორ ი. ვაჩეიშვილზე შეიარაღებულ თავდასხმის შესახებ ვინმე ბახტაძისა და ბრეგაძის მიერ.

ტრამვაის მუშკორები დიდ აღშფოთებას გამოსთქვამენ ბახტაძისა და ბრეგაძის საქციელის გამო და მოითხოვენ მათ სასტიკად დასჯას. დე, იცოდენ მუშკორთა მოძრაობისა და სოციალისტური მშენებლობის მტრებმა,—ნათქვამია რეზოლუციაში—მუშკორთა კალამი ხვდება პირდაპირ ნიშანში და ებრძვის ყოველგვარ ბოროტმოქმედებას. ასეთი თავდასხმელები მუშკორს ვერ გააგდებინებს ხელიდან კალამს.

მუშკორ ვაჩეიშვილზე შეიარაღებულ თავდამსხმელთა საჩვენებელი გასამართლება გადატანილია ავტო-კლუბის დარბაზიდან მელითონეთა კლუბის (უოფ. მუშათა ცენტრალური კლუბი, პლეხანოვის პროსპექტი, № 123) შენობაში.

სასამართლოს მუშაობა დაიწყება მელითონეთა კლუბის სათეატრო დარბაზში, საღამოს სრულ ექვს საათზე.

სასამართლოს დარბაზში შესვლა — ბილეთებით, რომლებიც დარიგებულ იქნება დღის 5 საათიდან შესავალ კარებთან.

გაზაფხულის თესვისათვის

საქართველოს კომპარტიის ცეკას მიმართვა

პარტიულ ორგანიზაციებს და საბჭოთა, კოოპერატიულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციათა ფრაქციებს

მომავალი გაზაფხულის თესვის კამპანიას უდიდესი სამეურნეო და პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს. სოფლის მეურნეობის კერძოდ მისი მარცვლეულის სექტორის მეტის-მეტი ჩამორჩენილობა და განვითარების ნელი ტემპი, აქედან წარმოშობილი ჩვენი ქვეყნის სასურსათო და სანედლეულო ბალანსის დაძაბვა, დიდ სიძნელეს უქმნის სოციალისტურ მშენებლობას.

მწვავე კლასობრივი ბრძოლის დროს სოფლად, ყოველივე ეს პარტიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს და სადღეისო ამოცანად ხდის ნათესი სივრცის მაქსიმალურ გაფართოვებას, მარცვლეულ და ტეხნიკურ კულტურათა მოსავლიანობის გადიდებას რომლის საფუძველსაც უნდა შეადგენდეს სოფლის მეურნეობის შემდგომი რეკონსტრუქცია. მისი ტეხნიკური დონის ამაღლება, საბჭოთა და კოლექტიურ მეურნეობათა მშენებლობის გაშლა-განვითარება, გლეხობის ღარიბი და ხელმოკლე ფენების ფართოდ გაერთიანება კოოპერაციაში და მათი დახმარება. ამავე დროს შეუნელებელი შეტევის წარმოება კაპიტალისტურ ელემენტებზე.

ამ ძირითადი ამოცანის გადაჭრა საფუძვლად უნდა დაედოს გაზაფხულის თესვის კამპანიის მომზადების და ჩატარებისათვის საჭირო მუშაობას. ამიტომ 1929 წლის გაზაფხულის თესვის კამპანიის რესპუბლიკანური გეგმა ითვალისწინებს მარცვლეულ კულტურათა ნათესი სივრცის გაფართოვებას 8 პროცენტით და მოსავლიანობის გადიდებას 8 პროცენტით. ამ დირექტივის სავსებით შესრულება მთავარ ამოცანას წარმოადგენს პარტიულ, საბჭოთა და სოფელთან დაკავშირებულ ყველა სხვა ორგანიზაციისათვის.

საქართველოს სოფლის მეურნეობაში, მარცვლეულ კულტურასთან ერთად, თვალსაჩინო ადგილი უჭირავთ ტეხნიკურ სანედლეულო კულტურებს და მესაქონლეობას რომელთა განვითარებას სერიოზული მნიშვნელობა აქვს მრეწველობის სანედლეულო ბაზის განმტკიცებისა და სოფლის მეურნეობის შემოსავლიანობის გადიდების საქმეში. ამიტომ საჭიროა, რაც შეიძლება მაქსიმალურად გაფართოვდეს ტეხნიკურ სანედლეულო კულტურათა (ბამბა, თამბაქო და სხვ) ნათესები და გადიდდეს მათი მოსავლიანობა, კერძოდ გაძლიერდეს მესაქონლეობისათვის საჭირო საკვები ბაზა და ამ მიზნით გაფართოვდეს გაზაფხულის ბალახეულის თესვა 20 პროცენტით მაინც.

გაზაფხულის თესვის წარმატებით ჩატარებისა და დასახული ამოცანების შესრულების მთავარ პირობას წარმოადგენს კამპანიის დაწყებამდე დროით მომზადება. მის ჩატარებაში ყველა პარტიულ, კომკავშირელთა, საბჭოთა, განსაკუთრებით კი კოოპერატიულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციების აქტიური მონაწილეობა. აგრეთვე ამ საქმეში მთელი საბჭოთა საზოგადოებრიობის, სოფლის კულტურული, კერძოდ, აგრონომიული ძალების ფართოდ ჩაბმა. ამიტომ საჭიროა ახლავე შევუდგეთ გაზაფხულის თესვის კამპანიის თვითეული გეგმებისა და ღონისძიებების შემუშავებას, რომლებმაც უნდა გაითვალისწინონ პირველი ნაბიჯები საბჭოთა კავშირის ცენტრ. აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილების („ღონისძიებანი მოსავლიანობის გადიდებისათვის") პრაქტიკულად განხორციელების საქმეში. ეს მუშაობა უნდა დასრულდეს ერთი თვის განმავლობაში და დროით იქნას დაწყებული კამპანიის გაშლა-განვითარება.

ნათესი სივრცის გაფართოვებისა და მოსავლიანობის გადიდების საქმეში გადამწყვეტ როლს შეასრულებს მიწის დამუშავების წესის გაუმჯობესება, უმარტივეს აგრონომიულ ღონისძიებათა ფართოდ გამოყენება, არსებულ სასოფლო-სამეურნეო მანქანების და ინვენტარის უფრო რაციონალურად მოხმარება და გლეხთა შორის ელემენტარული აგრონომიული ცოდნის გავრცელება.

ამ თვალსაზრისით საჭიროა ზომების მიღება თესლეულის გაწმენდისა და დახარისხების მასიური მოწესრიგებისათვის. ხოლო საამისოდ უნდა მოხდეს მარცვლეულის საწმენდი პუნქტებისა და ტრიერების სრული დატვირთვა. ამასთან ტრიერი ჩამოტარებულ უნდა იქნან სოფელ-სოფელ და კარ-და-კარ. მეტი ყურადღება უნდა მიექცეს და დახმარება გაეწიოს კოლექტიურ მეურნეობებსა და გლეხობის ხელმოკლე ფენებს სარისხოვანი თესლეულის განვითარების საქმეში, ყოველნაირად შეეწყოს ხელი თესლეულის დამამზადებელ ამხანაგობათა შექმნას.

ამასთან სრულად უნდა იქნან გამოყენებულნი არსებული სასოფლო-სამეურნეო მანქანები და ინვენტარი მეტადრე საბჭოთა და კოლექტიურ მეურნეობათა ტრაქტორები. საჭიროა გუთნის გავრცელება სოფლის მეურნეობაში, განსაკუთრებით ისეთ ადგილებში, სადაც სახნისია გავრცელებული. უნდა მოწესრიგდეს არსებული გამქირავებელი პუნქტებისა და შემკეთებელი სახელოსნოების შეუფერხებელი მუშაობა. ამავე დროს ყოველნაირად ხელი უნდა შეეწყოს მათი ქსელის შემდგომ გაფართოვებას.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მარცვლეულ და ტეხნიკურ კულტურათა კონტრაქტაციას. საჭიროა თვალყურის დევნა, რომ ნათესის კონტრაქტაცია ნამდვილად დაუკავშირდეს აგრიკულტურულ ამოცანებს პირველ ყოვლისა, მწკრივად თესვას და სასუქ ნივთიერებათა უფრო ფართოდ გავრცელებას, აგრეთვე იმ ღონისძიებათა სისტემას, რომელიც საჭიროა სოფლის მეურნეობის მავნებლებთან საბრძოლველად. ამ მიზნებისათვის გამოყენებულ უნდა იქნან სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის საშუალებანი და თვით გლეხობის შესაძლებლობანი.

მოსავლიანობის გადიდებისათვის და ნათესის გაფართოვებისათვის დასახულ ამოცანათა განხორციელებას უნდა მხარი დაუჭირონ და მასში უშუალო მონაწილეობა მიიღონ ღარიბ და საშუალო გლეხთა მასებმა. ამისთვის საჭიროა, რომ, ახსნა-განმარტების გარდა საბჭოებთან მოეწყოს მოწინავე ღარიბი და საშუალო გლეხების, კოლექტიურ და საბჭოთა მეურნეობების წარმომადგენელთა საწარმოო სათემო სასოფლო-სამეურნეო თათბირები აგრონომიული ძალების მონაწილეობით. ამ თათბირებმა უნდა დაამუშაონ კონკრეტული ღონისძიებანი, რომლებიც საჭიროა მარტივ აგრიკულტურულ ფორმათა მასიური გამოყენებისათვის გაზაფხულის თესვის კამპანიის საუკეთესოდ მოწყობისათვის და მისი გეგმის შესრულებისათვის.

გაზაფხულის თესვის კამპანიის დროს გამოყენებულ უნდა იქნას კოლექტიურ მეურნეობათა მშენებლობის შემდგომი გაძლიერებისათვის, რადგან იგი დაქუცმაცებული გლეხური მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის უმნიშვნელოვანესი ფაქტორია, ღარიბი და საშუალო გლეხობა უფრო ფართოდ უნდა ჩაება როგორც არსებულ, ისე ახალ კოლექტიურ მეურნეობებში. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს საბჭოთა და კოლექტიურ მეურნეობათა მუშაობის ღირსების გაუმჯობესებას და მოწესრიგდეს მათი სამეურნეო და ორგანიზაციული საჭიროებათა დროზე დაკმაყოფილება. კოლექტიურმა და საბჭოთა მეურნეობებმა მჭიდრო კავშირი უნდა დაამყარონ გლეხობასთან; მათ მეურნეობის კულტურული გაძღოლის მაგალითი უნდა მისცენ და საწარმოო და აგრიკულტურული დახმარება გაუწიონ გლეხობას. რადგან გაიზარდა კულაკების აქტივობა და წინააღმდეგობა სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის ღონისძიებათა მიმართ. რადგან კულაკები უეჭველად გამოვლენ ნათესი სივრცის გაფართოვებისა და მოსავლიანობის გადიდების წინააღმდეგ, ამიტომ საჭიროა წინასწარ მომზადება კულაკების ასეთი მოქმედების დასაძლევად. ამ მიზნით უფრო ფართოდ უნდა ჩაებან თესვის კამპანიაში გლეხობის ღარიბი და საშუალო ფენები. ამავე დროს უნდა მოისპოს კლასობრივი ხაზის დამახინჯების შემთხვევები სასოფლო-სამეურნეო მანქანების სათესლე მასალის, კრედიტების განაწილების დროს და უზრუნველყოფილ იქნას თესვის კამპანიის მთელი პერიოდი მტკიცე პარტიული ხელმძღვანელობით.

ც. კ. ყველა პარტიული, საბჭოთა, კოოპერატიული და სხვა ორგანიზაციების ყურადღებას მიაქცევს ამ დირექტივის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე და ავალებს, რომ მაქსიმალური ენერგიით განახორციელონ ის ღონისძიებანი რომლებიც დაკავშირებულნი არიან გაზაფხულის თესვის კამპანიის ჩატარებასთან.

საქართვ. კომპარტიის (ბ) ც. კ.-ის მდივანი
კახიანი.

სოფლად მუშაობის განყოფილების გამგე
არუთინოვი.

ტყვარჩელის ქვანახშირი

სპეციალისტების გაგზავნა უცხოეთში

ს.მ.უ. საბჭოსთან არსებულ ტყვარჩელის სამუშაოთა ხელისშემწყობ კომისიაში მიღებული ცნობებით, ტყვარჩელის ქვანახშირის ფენები თავის გეოლოგიური წყობის ხასიათით არ ჰგავს საბჭოთა კავშირში ცნობილი საქვანახშირო რაიონების ფენათა წყობას. ტყვარჩელში ნახშირის თითოეული ფენის სისქე უდრის 4 მეტრს და ზოგან აჭარბებს 10 მეტრსაც. დონბასში კი თითოეული ფენის სისქე არ აღემატება 1,5—2 მეტრს.

ქვანახშირის ფენების ასეთი დიდი სისქე აძნელებს მათ ექსპლოატაციას ძველი ტეხნიკური საშუალებებით. ამიტომ ტყვარჩელის სამუშაოთა საორგანიზაციო ბიურომ გადასწყვიტა ტყვარჩელის ქვანახშირის საექსპლოატაციო სამუშაოები მოაწყოს ახალი სისტემით და ახალი ტეხნიკური საშუალებებით.

ტყვარჩელის სამუშაოთა საორგანიზაციო ბიუროს გადაწყვეტილებით საზღვარგარედ გაიგზავნენ საორგანიზაციო ბიუროს თავმჯდომარე ამხ. გორბაჩოვი და ქვანახშირის მრეწველობის რამოდენიმე სპეციალისტი. მათ დავალებული აქვთ უცხოეთის საქვანახშირო მრეწველობის რაიონებში შეისწავლონ მაღაროების ახალი სისტემით გაყვანის საქმე.

მუშა-ხელის მომზადება

თბილისის მაუდის ფაბრიკისათვის

თბილისის მაუდის ფაბრიკა გაიხსნება 1929 წლის 1 ოქტომბერს. ფაბრიკაში იმუშავებს—1.200 მუშა. მუშაობა იწარმოებს სამ წყებად, თითო წყებაში იმუშავებს 400 კაცი.

საქართველოს საბჭოთა და სავაჭრო მოსამსახურეთა კავშირის ცენტრალურმა გამგეობამ დაადგინა, მოახდინოს კავშირის უმუშევარ წევრთა გადამზადება მაუდის ფაბრიკაში სამუშაოდ. საქართველოს ს.მ.უ. საბჭომ გარანტია მისცა საბჭოთა და სავაჭრო მოსამსახურეთა კავშირს, რომ ფაბრიკის გახსნის დღის ყველა გადამზადებული მუშა მიღებული იქნება ფაბრიკაში, გარდა ამისა, ს.მ.უ. საბჭომ იკისრა აწარმოოს მოლაპარაკება იმის შესახებ, რომ საბჭოთა და სავაჭრო მოსამსახურეთა კავშირის გადამზადებულ წევრებს პრაქტიკული და თეორეტიული მეცადინეობის საშუალება მიეცეთ სათანადო ფაბრიკებში

საბჭოთა და სავაჭრო მოსამსახურეთა კავშირმა დაადგინა, ყოველი ზომა მიიღოს იმისათვის, რომ გადასამზადებლად შერჩეულ იქნან კავშირის დიდი ხნის უმუშევარი წევრები, რომლებიც დახმარებას იღებენ კავშირის ფონდიდან.

საქართველოს საბჭოთა და სავაჭრო მოსამსახურეთა კავშირის ცენტრალურმა გამგეობამ შუამდგომლობა აღძრა კავშირის ცენტრალური კომიტეტის წინაშე, რომ ამ საქმისათვის გადადებულ იქნას 29.250 მანეთი. სულ მომზადებული იქნება 100 საბჭოთა და სავაჭრო მოსამსახურე, რაც შეადგენს კავშირის უმუშევარ წევრთა 2 პროცენტს. გადასამზადებლად შერჩეულთა მეცადინეობა იწარმოებს მოსკოვის, ტამბოვის და სხვა გუბერნიების შალეულისა და მაუდის ფაბრიკებში, უმთავრესად შალეულის პირველ ტრესტში და სამი მაუდის ტრესტში. გადასამზადებლად გაგზავნილთა 50 პროცენტმა უნდა შეისწავლოს ფეიქრის ხელობა. სულ გაიგზავნება 50 კაცი და 50 ქალი. მეცადინეობის მინიმალური ვადა იქნება სამი თვე, ერთ კაცზე თვეში დაიხარჯება 72 მან. 50 კაპ. 100 კაცის სამგზავრო ხარჯებისთვის საჭირო იქნება 5.500 მანეთი.

„ზაკავტოპრომტორგის" ხუთი წლის თავი

დღეს, 11 იანვარს, სრულდება ხუთი წელიწადი სააქციო საზოგადოება „ზაკავტოპრომტორგის" დაარსებიდან, ამ ორგანიზაციამ გააერთიანა მანამდე დაქსაქსული საავტომობილო ტრანსპორტი ამიერ - კავკასიაში და საფუძველი დაუდვა მის ფართოდ განვითარებას.

ხუთი წლის განმავლობაში (ე. ი. 1924 წლიდან 1929 წლამდე) იმ ხაზების სიგრძე, რომელსაც ემსახურება „ზაკავტოპრომტორგი", გაიზარდა 550 კილომეტრიდან 2.115 კილომეტრამდე.

1925 წელს „ზაკავტოპრომტორგის" მანქანებით სხვადასხვა ხაზებზე გადაყვანილი იყო 18 ათასი მგზავრი.

1928 წელს (9 თვის განმავლობაში), გადაყვანილ მგზავრთა რაოდენობა 1.024.000 მიაღწია.

უახლოეს ხუთი წლის განმავლობაში „ზაკავტოპრომტორგ"-ს განზრახული აქვს საავტომობილო ტრანსპორტის განვითარებაზე ა.-კავკ.-ში დახარჯოს 12 მილიონი მანეთი.

თბილისის აღმასკომის პრეზიდიუმში

ქალაქის კეთილმოწყობა

თბილისის აღმასკომის პრეზიდიუმმა დაამტკიცა ქალაქის კეთილმოწყობის 4 წლიანი გეგმა. ამ გეგმის მიხედვით უახლოეს 5 წლის განმავლობაში ქალაქის კეთილმოსაწყობათ მიღებული იქნება შემდეგი ღონისძიებები:

თბილისის დაგეგმვა და ქუჩების შეკეთება

თბილისის და მისი გარეუბნების გადასაღებათ და დასაგეგმავათ დაიხარჯება 357.000 მან.; გარეუბნებში ქუჩების მოსაკირწყლავად და შესაკეთებლად გადადებული იქნება 1 მილიონი მანეთი. ვინაიდან გარეუბნებში ქუჩები მოითხოვენ ხანგრძლივ შეკეთებას, ამიტომ მათი შეკეთება იწარმოებს 10 წლის განმავლობაში. მიმდინარე და მომავალ წელს ამ საქმეზე დაიხარჯება 100.000 მ. ქალაქის ცენტრში მდებარე ქუჩები განზრახულია მოკირწყლული იქნას კუბიკური ქვებით. და ასფალტით, რისთვისაც ყოველწლიურად დაიხარჯება 50.000-დან 180.000 მანეთამდე. პირველ რიგში კუბიკებით მოკირწყლული იქნება კამოს, ჟორესის, კლარა-ცეტკინის, კალინინის, ორჯონიკიძის და სხ. ქუჩები. ამასთანავე გარეუბნებში უსწორმასწორო ქუჩების გადასაკეთებლად ყოველწლიურად დაიხარჯება 30.000 მან.

ახალი ხიდი

ამჟამად საბურთალო და ვაკე სრულებით მოწყვეტილია სადგურის რაიონს და მიმოსვლა სწარმოებს მხოლოდ ბორანის საშუალებით. გეგმის მიხედვით უახლოეს 5 წლის განმავლობაში ბორანის ზევით აგებული იქნება ხიდი, რომლის მოწყობა დაჯდება 550.000 მ.

გვირაბის გაფართოება

გაფართოებული იქნება ბოტანიკური ბაღის გვირაბი, იმ ანგარიშით, რომ მასში შეიძლებოდეს გადაზიდვის საშუალებათა მოძრაობა. გვირაბის გაფართოების შემდეგ ბოტანიკურ ბაღამდე გაყვანილი იქნება ტრამვაის ხაზი.

ზოოლოგიური ბაღი

თბილისის ზოოლოგიური ბაღის მოსაწყობად უახლოეს 5 წლის განმავლობაში თბილისის აღმასკომი დახარჯავს ნახევარ მილიონ მანეთს.

ბაღების გაშენება

ამჟამად თბილისში არსებულ ბაღებს უჭირავთ 30 ჰექტარი სივრცე, რაც შეადგენს ქალაქის მთელი ფართობის 11 პრ. ასე რომ ეს სივრცე უნდა ჩაითვალოს მეტად მცირედ. უახლოეს ხუთი წლის განმავლობაში განზრახულია კიდევ გაშენებულ იქნას ბაღები 30 ჰექტარზე. წელს ახალი ბაღების გაშენების საქმეზე დაიხარჯება 20.000 მანეთი უახლოეს 5 წლის განმავლობაში კი სულ 55.000 მ. ვინაიდან გარეუბნებში ახალი სახლების აგება სწარმოებს უგეგმოთ, პრეზიდიუმმა დაადგინა ამიერიდან დაშალოს უგეგმოთ აგებული სახლები.

სანაპირო ქუჩა

მტკვრის მარჯვენა მხარეზე (ვერის ხიდიდან) გაყვანილი სანაპირო ქუჩა გაგრძელებული იქნება კარლ მარქსის ხიდამდე.

ამავე დროს დაიწყება მადათოვის კუნძულზე ჭაობების ამოშრობა და მისი კეთილმოწყობა.

კრემატორიუმი

ქალაქის სასაფლაოები ძალიან იტვირთებიან მიცვალებულებს რის გამო ზოგიერთი სასაფლაო უკვე დაიხურა. ამის გამო განზრახულია მოწყობილი იქნეს კრემატორიუმი, ხოლო არსებული სასაფლაოები გადაკეთდეს ბაღებათ. კრემატორიუმის მოსაწყობად გადადებულია 120.000 მან.

საზოგადო საპირფარეშოები და კომუნალურ ქუჩის გაფართოება

ქალაქში ახალ საზოგადო საპირფარეშოების მოსაწყობად გადადებულია 50.000 მან. სულ მოეწყობა 18 ახალი საპირფარეშო. 5 წლის განმავლობაში გაფართოებული იქნება კომუნალური ქუჩა, რისთვისაც დაიხარჯება 400.000 მან.

ახალი გვირაბი და ხრამების ამოვსება

საბურთალოში და ვაკეში ჭაობების ამოსაშრობად გაყვანილი იქნება სპეციალური გვირაბი, რომლის მოწყობა დაჯდება 45.000 მ. გარდა ამისა იერიევის ხრამის ამოსავსებად დაიხარჯება 35.000 მან. ვარაზის ხევის ამოსავსებად და მასში ნიაღვრებისათვის მილების გასაყვანად მუშაობა დაიწყება წელსვე.

აგრეთვე განზრახულია კალიაევის აღმართზე მდებარე კლდის ჩამოქცევის თავიდან ასაცილებლად აგებულ იქნას სპეციალური კედელი. ამავე დროს გაფართოებული იქნება კალიაევის აღმართი. კალიაევის აღმართის კეთილმოსაწყობად უკანასკნელ ორი წლის განმავლობაში დაიხარჯება 250.000 მან.

დახურული ბაზარი და ახალი ხიდი მაიდანში

განზრახულია „დეზერტირკა"-ს ადგილზე აგებული იქნეს დახურული ბაზარი, რაც დაჯდება 300.000 მ. მაიდანში აგებული იქნება მდ. მტკვარზე ახალი ხიდი. ხიდის მოსაწყობად გადადებულია 120.000 მ.

კოლხელშეკრულებათა დადების წინასწარი შედეგები ა.-კავკასიაში

(საუბარი ა.-კ. პროფსაბჭოს სატარიფო-ეკონომ. განყოფილების გამგე ამხ. ოდილავაძესთან)

— კოლექტიურ ხელშეკრულებათა ხელახლა დადების კამპანია,—განაცხადა ამხ. ოდილავაძემ.—მთელ ამიერ-კავკასიაში ვერ იქნება დამთავრებული 15 იანვრის ადრე. კამპანია შედარებით უკეთ მიმდინარეობს აზერბეიჯანში, სადაც მოსალოდნელია, რომ 15 იანვრისათვის 90 პროცენტით დასრულდეს ახალ კოლხელშეკრულებათა დადება.

მეორე ადგილი, აზერბეიჯანის შემდეგ, უკავია საქართველოს, ხოლო სომხეთში კამპანია უფრო მოისუსტებს. კამპანიის სისუსტე სომხეთში აიხსნება იმ გარემოებით, რომ იქ პროფკავშირებმა ძალიან დაგვიანებით დაიწყეს მუშაობა კამპანიის ჩასატარებლად და თავიდანვე ის მუშაობა ვერ გაშალეს სათანადო მასშტაბით, ხოლო მეორეს მხრივ, ზოგიერთი სამეურნეო ორგანიზაციების ხელმძღვანელებმაც ხელის შეწყობის მაგიერ დაბრკოლებები შეუქმნეს კამპანიის მსვლელობას.

მუშათა მასის აქტიობა გასულ წლებთან შედარებით შესამჩნევათაა გაზრდილი. იმ კრებებზე, სადაც კოლექტიურ ხელშეკრულებების დადებასთან დაკავშირებით საკითხებს არჩევდენ, კამათში საშუალოდ მონაწილეობას ღებულობდა დამსწრეთა 10—12 პროცენტი.

კრებებზე მუშებს თითქმის არსად არ მოუთხოვიათ ხელფასის ხელაღებით მომატება.

იმის საილუსტრაციოთ, თუ როგორ უშლიან ხელს ზოგიერთი სამეურნეო მუშაკები ახალი კოლექტიური ხელშეკრულებების დადებას, საკმაო იქნება მოვიყვანოთ შემდეგი მაგალითი: ა.-კავკასიის სავაჭრო-სატრანსპორტო-სამომხმარებლო საზოგადოებამ 18 დღე გააჭიანურა მოლაპარაკება ახალი კოლხელშეკრულების დადების შესახებ საბჭოთა-სავაჭრო მუშაკების კავშირთან. შემდეგ კი თითქმის ყველა საკითხები გადასწყდა კონფლიქტების წესით. ამიერ-კავკასიის რკინისგზათა სამმართველომ, მიუხედავად მრავალგვარი მოთხოვნებისა, არ გაგზავნა თავისი წარმომადგენელი ბაქოში, ადგილობრივი ტრანსპორტის პროფკავშირთან მოსალაპარაკებლათ და შესათანხმებლად.

ა.-კ. სას.-სამ. ბანკში

150.000 მან. მუშა საქონლის შესაძენად

ამიერ-კავკასიის სასოფ. სამ. ბანკმა რესპუბლიკანურ სასოფლო-სამეურნეო ბანკებს გაუხსნა 150.000 მანეთის კრედიტი მუშა საქონლის შესაძენად. ამ თანხიდან საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ბანკს მიეცემა—24.000 მანეთი.

219.000 მან ჩაის მეურნეობისათვის

ამიერ-კავკასიის სასოფლო-სამეურნეო ბანკმა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ბანკს გაუხსნა 219.000 მანეთის კრედიტი ჩაის მეურნეობისათვის თანხების მისაწოდებლად.

თავდაცვა-ავიაქიმის მესამე ლატარია

საბჭოთა კავშირის თავდაცვის და საავიაციო-ქიმიური აღმშენებლობის ხელისშემწყობი საზოგადოება მიმდინარე წელს იწყებს ახალ (მესამე) ლატარიას. პირველ ორ ლატარიაში შეგროვილი ფულით საზოგადოებამ ააგო რამოდენიმე ათეული სამხედრო თვითმფრინავი, რომლებიც გადაეცა წითელ საჰაერო ფლოტს. მესამე ლატარიაში სულ გამოშვებულია 4 მილიონი ბილეთი. ამ ლატარიაში გათამაშებული იქნება 16.000 მოგება — 300.000 მანეთის რაოდენობით. მოგებათა შორის არის ბევრი მოგზაურობა როგორც დედამიწის გარშემო, ისე სხვადასხვა ქვეყნებში და საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხეში. გარდა ამისა გათამაშებული იქნება მრავალი ნივთი—მოტოციკლეტები, ველოსიპედები, რადიო, მოტორიანი ნავები, ჭადრაკი და სხვა. მომგებს შეუძლია მოგებული მოგზაურობის ან ნივთის ნაცვლად მიიღოს ფული.

ლატარიის ბილეთი ღირს თითო 50 კაპიკი. სახელმწიფო ბანკის თბილისის განყოფილებაში ლატარიის ბილეთების რეალიზაცია დაიწყო 9 იანვრიდან. ბილეთების რეალიზაცია წარმოებს სხვა საკრედიტო დაწესებულებებშიაც.

1929 წლის 15 იანვარს
საქ. ს. ს. რესპუბლიკის სახ. კომისართა საბჭოსთან
შესდგება

თათბირი ჩაის კულტურის შესახებ

თათბირის დღის წესრიგი:

1) სააქციო საზოგადოება „საქართველოს ჩაი"-ს მუშაობა 1928 წლის განმავლობაში (სააქციო საზოგადოება „საქართველოს ჩაი"-ს მოხსენება).
2) საქართველოს ს.ს. რესპუბლიკაში ჩაის კულტურის და მრეწველობის განვითარების ხუთწლიანი გეგმა (სააქციო საზოგადოება „საქართველოს ჩაის" მოხსენება).
3) კოლექტიურ მეურნეობების მშენებლობა ჩაის კულტურის რაიონებში (საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის და კოლმეურნეობათა ცენტრის მოხსენება).
4) სააქციო საზოგადოება „საქართველოს ჩაის" საოპერაციო გეგმა 1929 წლისთვის (სააქციო საზოგადოება „საქართველოს ჩაის" მოხსენება).
5) ჩაის კულტურისა და ტეხნოლოგიის საცდელი საქმე (სააქციო საზოგადოება „საქართველოს ჩაის" და საქართველოს მიწათმოქმედების სახ. კომისარიატის მოხსენება)

თათბირზე მოწვეულ არიან: 1) საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის, აფხაზეთის და აჭარისტანის მიწათმოქმედების სახ. კომისარიატების წარმომადგენელნი: 2) გალის, კოდორის (აფხაზეთი), ბათომის, ქობულეთის (აჭარისტანი), ოზურგეთის, სენაკის და ზუგდიდის სამაზრო აღმასკომების საადგილ-მამულო განყოფილებათა წარმომადგენლები.. ბათომის, ქობულეთის, გალის, ოჩამჩირის, ოზურგეთის, სენაკის და ზუგდიდის მაზრების სამაზრო აგრონომები. 4) გალის, ოჩემჩირის, ბათომის, ქობულეთის, ოზურგეთის, აცანის, მიქელ-გაბრიელის, სენაკის, ჩოხატაურის, ზუგდიდის, წალენჯიხის და კიწის საკრედიტო ამხანაგობათა წარმომადგენლები. 5) კოლექტივების წარმომადგენლები: აჭარისტანიდან — ერთი (ბათომის მაზრა), აფხაზეთიდან — ერთი (გალის მაზრა), გურიიდან — სამი (ოზურგეთიდან — ორი და აცანიდან 1), ზუგდიდის მაზრიდან—3 ზუგ.-დან 2 და წალენჯიხიდან—1), სენ. მაზ.-დან—2. 6) ჩაის მეურნე გლეხების წარმომადგენლები: აფხაზეთიდან — ორი (გალის და კოდორის მაზრები), აჭარისტანიდან ორი (ბათომის და ქობულეთის მაზრები), გურიიდან სამი (ოზურგეთის რაიონი —ერთი, აცანის რაიონი — ერთი) 7) ჩაის კულტურის ინსტრუქტორები: აჭარისტანიდან ორი (ბათომის და ქობულეთის მაზრები), გურიიდან — 4 (ოზურგეთის, აცანის, მიქელ-გაბრიელის და ჩოხატაურის რაიონები), აფხაზეთიდან — ორი (გალის და კოდორის მაზრები); ზუგდიდის მაზრიდან — ორი (ზუგდიდის და წალენჯიხის რაიონები), სენაკის მაზრიდან— ერთი (ტამაკოვსკი); 8) ჩაის კულტურის ტეხნიკოსები თითო-თითო: აჭარისტანიდან, აფხაზეთიდან, გურიიდან, ზუგდიდის და სენაკის მაზრებიდან; 9) ოზურგეთის, ჩაქვის და ზუგდიდის საცდელ სადგურების წარმომადგენლები; 10) ჩაქვის და სალიბაურის საბჭოთა მეურნეობის გამგეები.

კოლექტივების, ჩაის მეურნე გლეხების და სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობათა წარმომადგენლების ხარჯებს კისრულობს სააქციო საზოგადოება „საქართველოს ჩაი"-ს გამგეობა.

ყოველგვარ ცნობების მიღება შეიძლება საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომისიაში (სასახლე ოთახი № 60).

ნ. 2036 4—3

ქუთაისი

დაზღვევის სალაროს მდგომარეობა

უკანასკნელ წლებში ქუთაისის დამზღვევმა სალარომ როგორც დაზღვეულ მუშა-მოსამსახურეთა რიცხვი, ისე მათზე სოციალური დახმარების საქმე საგრძნობლად გააფართოვა. მაგალ. 1927 წ. ოქტომბრისათვის დაზღვეულ მუშა-მოსამსახურეთა რიცხვი უდრიდა 10.390 კაცს, ხოლო 28 წლის ოქტომბრისათვის ეს რიცხვი გაიზარდა 41 პროცენტით და ავიდა 14,690 კაცამდე. აქედან დროებითი შრომის უუნარობისათვის დახმარების სახით გაცემულია 251,250 მანეთი, სამშობიარო დახმარება მუშა-მოსამსახურეთა ოჯახებისათვის—3.414 მან. ბავშვთათვის საკვები მასალით დახმარება 59.898 მან. გარდაცვლილ ოჯახებისათვის 11,569 მანეთი, საპენსიო დახმარება—173,972 მან. დაზღვეულ უმუშევართათვის—54.428 მან. და სოციალური დაზღვევის, ერთდროული დახმარება, კულტურული მუშაობის და სხვა ხარჯების—75.714 მანეთი. სულ ყველა დახმარებებზე გაღებული თანხების ჯამი უდრის 651.078 მან.

ახალი ქარხანა

ქუთაისის უმუშევრობასთან მებრძოლმა კოლექტივების გამგეობამ 1928 წ. დეკემბრიდან ქუთაისში გახსნა მარილის დამამზადებელი ქარხანა. ქარხნის მოსაწყობად გამგეობამ გაიღო—18.000 მან. ქარხანა ყოველ წლიურად დაამზადებს 54.750 ფუთ მარილს. ქარხანაში ამჟამად მუშაობს 65 კაცი.

დახმარება ღარიბ გლეხთა ჯგუფებს

ქუთაისის სამაზრო აღმასკომის პრეზიდიუმის დადგენილებით, ღარიბ გლეხთა ჯგუფის მატერიალური დახმარებისათვის მაზრაში, დაევალა სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობას გაიღოს 12.480 მანეთი. აქედან ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობამ უნდა გაიღოს 4630 მანეთი, გამოჩინებულის თემის—2160 მან., გორდის—1322 მან. კურსების—2320 მანეთი და ხრესილის—2048 მანეთი.

საგაზაფხულო თესვის კამპანიის გეგმა

ქუთაისი, 9 იანვარი. ქუთაისის მაზრის აგრონომებმა თავიანთ თათბირზე შეიმუშავეს გაზაფხულის თესვის კამპანიის გეგმა.

1929 წლის გეგმით, სულ დათესილი იქნება 74.750 ჰექტარი, აქედან სიმინდზე მოდის 72.000 ჰექტარი, ბამბაზე—1.500 ჰექტარი, საკვებ ბალახზე—850 ჰექტარი, ფეტვზე—350 ჰექტარი, კანაფზე—50 ჰექტარი. შარშან დათესილი იყო 72.000 ჰექტარი, ხოლო ომამდე გაზაფხულის ნათესები უდრიდა 57.000 ჰექტარს.

გეგმის თანახმად, გაზაფხულის თესვის კამპანიისათვის შემოტანილი იქნება 5 ტრაქტორი და 355 სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანა და იარაღი.

მუშა-საქონლის რაოდენობა გადიდებული იქნება 1000 სულით, აქედან კოლმეურნეობათა წილად მოდის 200 სული დანარჩენი 800 სული განაწილებულ იქნება ღარიბებს შორის (ადს).

ახალი საცივარი

დამთავრდა ახალი საცივარის აგება ქალ. ფოთში. საცივარი ააგო საზ. „ხლადო ექსპორტ“-მა, რომელმაც საცივრის აგება დაიწყო გასული წლის აპრილის პირველ რიცხვებში. საცივრის აგება დამთავრდა უფრო ადრე, ვიდრე ამას საკალენდარო გეგმა ითვალისწინებდა. საცივარი დაჯდა სულ 1350000 მანეთი,—იმაზე ნაკლები, ვიდრე ნავარაუდევი იყო. საცივარი მოწყობილია ტეხნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით. საცივრის კამერებს ერთდროულად შეუძლია დაიტიოს 1,000 ტონაზე მეტი სხვადასხვა მალე გასაფუჭებელი ტვირთი. საცივრის შენობა აგებულია გემთმისადგომის ახლოს და რკინის გზის შტოთი შეერთებულია რკინის გზის მთავარ მაგისტრალთან. ელექტრო-ენერგიას საცივარი ღებულობს აბაშის ელ-სადგურიდან, რომელიც ჯერ-ჯერობით მხოლოდ ნაწილობრივ აკმაყოფილებს საცივარის საჭიროებას. მარტიდან, როცა აბაშის ელ-სადგურზე დაიდგმება ახალი აგრეგატი, საცივარი სავსებით აბაშის ელდენზე გადავა. საცივართან მოწყობილია საყინულე ქარხანა, რომელსაც შეუძლია ყოველდღიურად დაამზადოს 13 ტონა ყინული და გამოუშვას ბაზარზე ორ კაპიკად კილო. დატვირთვის მხრივ საცივარი უზრუნველყოფილია: ბაქოდან იგი მიიღებს ნედლ თევზს და ხიზილალას, ერევნიდან ხილეულობას, და სამტრედიის რაიონიდან—ხილეულობას, კვერცხებსა და დაკლულ შინაურ ფრინველს.

ქრონიკა

კავშირი უცხოეთის ბიბლიოთეკებთან

საქართველოს სამეცნიერო ბიბლიოთეკებს უფლება მიეცათ უშუალოდ აწარმოონ უცხოეთის ბიბლიოთეკებთან ყოველგვარი ნაბეჭდი და ხელნაწერი მასალის გაცვლა-გამოცვლა.

საქართველოს სამეცნიერო ბიბლიოთეკებმა უნდა აცნობონ სამეცნიერო დაწესებულებათა მთავარ სამმართველოს, თუ რა შეთანხმებას მიაღწევენ უცხოეთის ბიბლიოთეკებთან წიგნებისა და ხელნაწერების ერთმანეთისათვის მიწოდების შესახებ.

დროებითი საცხოვრებელი სადგომები მუშებისათვის

ამიერ-კავკასიის შრომის სახალხო კომისარიატმა ამიერ-კავკ. ტერიტორიაზე შემოიღო მსუბუქი ტიპის დროებითი საცხოვრებელი სადგომების აგების წესები მშენებელი მუშებისათვის, აგრეთვე იმ სამრეწველო-საწარმოთა მუშებისათვის, რომელნიც საშენებელ მასალას ამზადებენ. ეს მუშები წინასწარ უზრუნველყოფილ უნდა იქნან დროებითი საცხოვრებელი სადგომებით. საცხოვრებელი სადგომი სამ კილომეტრზე უფრო შორს არ უნდა იყოს იმ ადგილიდან, სადაც მუშაობა სწარმოებს. სადაც ადგილისა და ჰავის მიხედვით შესაძლებელია, დასაშვებია მუშების მოთავსება ფიცრულ ბარაკებში ან საზაფხულო ტიპის კარვებში. აკრძალულია მუშებისათვის დროებით საცხოვრებლების მოთავსება მიწაში. თვითეულ მუშაზე უნდა მოდიოდეს არა ნაკლებ სამი მეტრი საცხოვრებელი მოედნისა. მალარიან და ჭაობიან ადგილებში საცხოვრებელ სადგომებს უნდა გაუკეთდეს ხშირ-ბადიანი ფანჯრები.

ახალი თურქული ანბანის შემოღება სკოლებში

1929 წლის 1-ლი იანვრიდან საქართველოში არსებულ ყველა თურქულ სკოლებში შემოღებულია ახალი თურქული (ლათინური) ანბანი. მიმდინარე სასწავლო წლის დასაწყისიდან ახალი თურქული ანბანი შემოღებული იქნა რესპუბლიკის ყველა თურქულ ოთხწლედებში და შვიდწლედებში.

მიმდინარე წლის 1-ლი იანვრიდან კი ახალი თურქული ანბანი შემოიღეს აგრეთვე თბილისის თურქულ პედაგოგიურ ინსტიტუტშიც.

ახალი სამკურნალო საშუალება

ქუთაისის მაზრაში საქართველოს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის ორგანოების მიერ გამორკვეულ იქნა, რომ ჭრილობისა, კანის ავადმყოფობისა, ქეციანობისა და სხვა ასეთ შემთხვევებში ადგ. მოსახლეობა ხმარობს მალამოს, რომელიც საოცარ შედეგებს იძლევა და რომელსაც კონკურენციას ვერ გაუწევს ვერც ერთი დღემდე ცნობილი საექიმო საშუალება. საქართველოს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის ქიმიკოსის თანდასწრებით ექსპერიმენტით ავადმყოფი მალამოს ხმარების შემდეგ მორჩა ორი დღის განმავლობაში.

პროფ. მუხაძის აზრით, მალამოს მეტად დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია ჯარში.

როგორც ეტყობა, ამ მალამოს ამზადებენ ადგილობრივი მცენარეულობიდან. (ადს).

ა.-კ. საბინაო საბჭოს პლენუმი

ამიერ-კავკასიის შრომის სახალხო კომისარიატთან გაიხსნა ამიერ-კავკასიის საბინაო საბჭოს პლენუმი. პლენუმის მუშაობაში მონაწილეობას იღებენ აზერბეიჯანის, სომხეთის და საქართველოს წარმომადგენლები.

პლენუმზე გარჩეული იქნება გასული წლის განმავლობაში მუშათა საბინაო მშენებლობის შედეგებთან დაკავშირებული საკითხები და მუშათა საბინაო მშენებლობის ახალი პროგრამა.

ბრძოლა წულის მოშლასთან

ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის დადგენილებით დედათა და ბავშვთა საკონსულტაციო ბიუროებს დაურიგდათ ახალი წამლეულობა ბავშვის ჩასახვის თავიდან ასაცილებლად. საკონსულტაციო ბიუროები მიმსვლელ ქალებს აძლევენ აღნიშნულ წამლეულობას უფასოდ.

ამავე დროს ჯანსახკომმა საჭიროდ ცნო, რომ აღნიშნული წამლეულობა ფართოდ იქნეს გავრცელებული მოსახლეობაში მათი თავისუფლად გაყიდვის საშუალებით.

◆ დახურული ბაზარი. ავლაბარში აღმასკომი აწყობს დახურულ ბაზარს.

◆ ელმავლის აღმართის გასაფართოვებლად გადადეს 75.000 მანეთი.

◆ მუშკოოპს ზედმეტი გადასახადის გადაუხდელათ მიეცა გვიან ვაჭრობის უფლება.

სხვადასხვა

◆ სოცუზრუნველყოფის თბილისის განყოფილება გადავიდა ახალ ბინაზე რუსთაველის პრ. № 39, შესავალი ეზოდან. განცხადებების მიღება და ცნობების გაცემა იწარმოებს ორშაბათს, ოთხშაბათს და შაბათობით დილის 10 ს. 3 საათამდე.

◆ ჩაუბარებელი დეპეშები. ბაქოდან—ლინჩინოვს, ბათომიდან—აბხაზოვს, ერევნიდან—ზარზოიანს მოსკოვიდან—სერგეევს.

«НА РУБЕЖЕ ВОСТОКА».

გამოვიდა ამიერ-კავკასიის პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის ყოველთვიური ლიტერატურული ორგანო „ნა რუბეჟე ვოსტოკა“-ს № 8, რომელშიაც მოთავსებულია შემდეგი მასალები: ნ. ასლამაზაშვილი—„მადალადიდის არწივები“; გ. კრეიტან—„საგზაო შენიშვნები“; დ. დემირჩიანი—„კაფე“; ა. ტაჟი.—„საწარმოო საიდუმლოება“; ნაზიმ-ხიკმეტ—„ახალი ხელოვნება“ —ლექსი; კ. ლორთქიფანიძე—„ფესვები“—ლექსი; ა. ახვერდოვი—„შეიხ შაბანი“; შ. ნავთლუღელი—„ბაქო“—ლექსი; ხ. ბაგლოვი—„ცეხოეთში“; გ. სარიანი—„მეტქსე აბკეტა“; მ. იფრინი—„მეზღვაური ქალი“—ლექსი; ვ. ლანტე—„დათკა დუდუკი“—ლექსი; სერებრიაკოვი—„პირველი გაფრენა“—ლექსი; მარტინი—„მენავეთი სიმონა“.

ლიტერატურული მემკვიდრეობა. ე. ნინოშვილი—„ტარიელ მკლავაძე“.

წარსულიდან. ბ. კოველიანინი—„მიდის, მიდის, თითონ მიდის“.

თეორია და კრიტიკა. ბ. ბუაჩიძე—მემარჯვენე გადახრა ქართულ ლიტერატურაში; გ. თათულოვი—მემარჯვენე ტენდენციები და იდეოლოგიური ფრონტი; მ. მაზმანიანი—ნაციონალური არქიტექტურის შესახებ; მ. კულიევი—თურქი ქალის ტრაგედია; რ. კალაძე—ეგნატე ნინოშვილი.

საქ. მეურნეობის მუშაკთა კლუბში

9 იანვარს შედგა ახლად გახსნილ, სახალხო მეურნეობის მუშაკთა კლუბის გამგეობის პლენუმი, რომელზედაც არჩეულ იქნა კლუბის გამგეობის პრეზიდიუმი 5 წევრის შემადგენლობით.

კლუბის თავმჯდომარედ არჩეულია ამხ. ვ. ავაქოვი, პრეზიდიუმის წევრებად — ამხ. ი. ბეგალოვი, ს. გოგაბერიძე, პროფ. ა. ბაზოვი და ინჟ. გრ: ჩხეიძე. პლენუმმა მიიღო და დაამტკიცა კლუბის საორიენტაციო ხარჯთ-აღრიცხვა მიმდინარე წლისათვის 45.000 მან. რაოდენობით.

პლენუმის, დადგენილებით კლუბთან ჩამოყალიბდება 5 სექცია: სამეცნიერო-სატეხნიკო, სამშენებლო-სამრეწველო, სავაჭრო-საფინანსო, კულტურულ-განმანათლებელი და საზოგადოებრივ-პოლიტიკური.

სექციები უკვე შეუდგნენ თავიანთ სამუშაო პროგრამის დამუშავებას.

პლენუმმა მიიღო დადგენილება სამეურნეო მუშაკთა გადასამზადებელი მოკლევადიანი კურსების გახსნის შესახებ. კურსები უნდა მოეწყოს უახლოეს ხანში. კურსების პროგრამის, დამუშავება და სათანადო ლექტორთა კადრის შეკრება მიენდო კლუბის პრეზიდიუმს.

რკინის გზეზე

ქარბუქი რკინის გზეზე

9 იანვარს ა.-კ. რკინის გზების დასავლეთ უბანზე, პირველად ამ წელში ადგილი ჰქონდა ძლიერ ქარბუქს.

მთელი დღის განმავლობაში სურამის უღელტეხილზე თოვდა და ჰქროდა ძლიერი ქარი. დროგამოშვებით სადგურებს შორის წყდებოდა სატელეგრაფო კავშირი. კავშირის გაწყვეტა საგრძნობ გავლენას ახდენდა მატარებლების წესიერ მიმოსვლაზე.

ქარბუქს ადგილი ჰქონდა გზის აღმოსავლეთ უბანზეც, მაგრამ იგი აქ არ ყოფილა ისე ძლიერი, როგორც დასავლეთ უბანზე. ქარბუქმა უმთავრესად შეაფერხა მუშაობა სადგ. ლიაკვში. აქ თოვლმა დაფარა ისრები და შეუძლებელი შეიქნა მათი გაწმენდა. სადგურის ადმინისტრაცია იძულებული გახდა ისრების გადაყვანა ეწარმოებინა ხელით. (ლიაკვში ცენტრალიზაციაშემოღებული ისრებია).

10 იანვარს დილით ქარბუქი მიწყნარდა და მდგომარეობა გზებზე გამოკეთდა.

ორთქლმავლების დაჯახება

სადგ. ცილკანიდან ბორჯომ-ბაკურიანისაკენ უნდა გაეგზავნათ ორთქლმავალი. მემანქანე დოლიძე-ტიტვიამ მიიღო თუ არა ნებართვა წასვლის შესახებ, დაიძრა არა ბორჯომ-ბაკურიანისაკენ, არამედ ნავთლუღისაკენ.

ამ მხარეზე კი იმავე ხაზზე რომელზედაც ორთქლმავალი მიდიოდა, იდგა მეორე ორთქლმავალი. მოხდა დაჯახება. დაჯახების გამო ლიანდაგიდან გადავარდა ერთი ორთქლმავალი და გასკდა რელსი.

შემთხვევამ გამოიწვია გზაში მთელი რიგ მატარებლების დაგვიანება.

შემთხვევის მიზეზს იკვლევს შემთხვევასთან ბრძოლის საგზაო კომისია.

ორთქლმავლის გადავარდნა

სადგ. ალაბაშლოში ლიანდაგიდან გადავარდა ორთქლმავალი, რომელმაც დაიკავა სადგურში შესასვლელი ისრები.

მოძრაობა ლიანდაგის გაწმენდამდე გაგზავნილმა დამხმარე მატარებელმა.

პირდაპირი მიმოსვლა

ამიერ-კავკასიის რკინის გზების გამგეობამ ჯულფა-ბაქოს რკინის გზასთან დასდო ხელშეკრულება, რომლის თანახმად უნდა დაწესდეს პირდაპირი მიმოსვლა და ბარგების გადაზიდვა ამიერ-კავკასიისა და ჯულფა-ბაქოს რკინის გზათა შორის.

„ავტოდორ“-ის ლატარია

ამჟამად მთელ საბჭოთა კავშირში ტარდება საგზაო მშენებლობის და საავტომობილო საქმის გაუმჯობესების დამხმარე საზოგადოების „ავტოდორი“-ს ავტო-ლატარიის გათამაშება. „ავტოდორი“-ს საქართველოს საზოგადოებაც შეუდგა აღნიშნულ ლატარიის ბილეთების გავრცელებას. ლატარიაში გათამაშებული იქნება სულ 205,500 მანეთის ნივთები: მსუბუქი ავტომობილი ან ტრაქტორი—ღირებული 10.000 მანეთად, 20 სხვადასხვა სისტემის ავტომობილი—ღირებული 30,000 მანეთად, 20 მოტოციკლეტი (საზღვარგარეთული) — ღირებული 16 ათას მანეთად, 500 ველოსიპედი—ღირებული 87.500 მან., 200 ნავის მოტორი—ღირებული 20.000 მან.; 5— ავტომობილით მოგზაურობა: მოსკოვი—ხარკოვი — როსტოვი—კავკასია—თბილისი, 5—ავტომობილით მოგზაურობა — თბილისი — კავკასია — ხარკოვი—მოსკოვი და სხვ.

შრომის სახ. კომისარიატის დადგენილებით ის ამხანაგები, რომელთაც ერგებათ სამოგზაურო ბილეთი, განთავისუფლებული იქნებიან სამსახურიდან ორი კვირით ჯამაგირის შენახვით.

აღნიშნული ლატარიის ბილეთების წარმატებით გასავრცელებლად საკავშირო „ავტოდორი“-ს სალატარიო კომიტეტმა ა.-კავკასიაში მოავლინა თავისი წარმომადგენელი.

ლატარიის ბილეთი ღირს 50 კაპეიკი და გაიყიდება ყველა საბჭოთა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში, ბანკებში, და საქართველოს „ავტოდორი“-ს საზოგადოებაში, მიხაილის ქუჩა № 8.

სასამართლო

ცოლის მკვლელი

კახეთის მაზრის სასამართლომ გაასამართლა სოფელ აკურის მცხოვრები ზაქარია საბას ძე ქურდღელაშვილი რომელმაც შურისძიების ნიადაგზე ხანჯლით მოკლა თავისი ყოფილი ცოლი ვარა ვასილის ასული ხატიაშვილი.

ქურდღელაშვილს უყვარდა ვარა ხატიაშვილი. მოციქულების საშუალებით ქურდღელაშვილმა მოახერხა ქალის მშობლებს მიეხრობა და ვარაზე დაქორწინდა.

ერთი თვე იცხოვრეს მშვიდად. შემდეგ კი მათი ცხოვრება აირია იმ გარემოებამ, რომ ქმარმა ეჭვიანობა დაიწყო. ეჭვიანობის საბუთიც ჰქონდა ქურდღელაშვილს, ვინაიდან მის ცოლს შეუყვარდა ვინმე ჩიტიძე, რომელთანაც მიწერ-მოწერაც ჰქონდა.

4 თვის ჩხუბისა და დავიდარაბის შემდეგ ცოლ-ქმარნი გაიყარნენ. მაგრამ შუაში ჩადგნენ ნათესავები და ისინი ისევ შეარიგეს.

ქურდღელაშვილმა ისევ დაიწყო ნერვიულობა და ჩხუბი (ცოლ—ქმარი ისევ გაიყარნენ.

ქალი, რომელიც დარწმუნდა, რომ მათი თანხმობით ცხოვრება შეუძლებელია, ცივ უარს უებნება შერიგებაზე.

ივლისის საღამოა. ვარა მეზობლად გადასულა და ქალებთან საუბრობს. უეცრად ვარას თავს წაადგა ხანჯალ ამოწვდილი ქურდღელაშვილი და შესძახა: „დამიბრუნდები თუ არაო“.

— ვეღარ გაიგე რომ აღარ მინდიხარ?— ცივად უპასუხებს ქალი.

ქურდღელაშვილი ხანჯალს შეატრიალებს ხელში და რამდენჯერმე მაგრად ჩასცემს ქალს გულში. ქალი იქვე კვდება.

ქურდღელაშვილი თავისი ფეხით მიდის მილიციაში და ითხოვს მის დაპატიმრებას.

სასამართლომ ქურდღელაშვილს მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა 7 წლით სასტიკი იზოლაციით.

ხარ-ირემის მკვლელი სათანადოთ დაისჯება

მკითხველები ამ რამდენიმე დღის წინ ჩვენი გაზეთის ქრონიკაში წაიკითხავდნენ ცნობას იმის შესახებ, რომ ბორჯომის მახლობლად „შაიი-სერის“ ტყეში მოკლეს ხარ-ირემი, რომელიც 10 ფუთს იწონიდა.

საქართველოს მონადირეთა კავშირმა სასწრაფოდ მიიღო ზომები ბოროტმოქმედთა აღმოსაჩენად და პასუხისგებაში მისაცემად. ბორჯომში გაიგზავნა საქართველოს მონადირეთა კავშირის რწმუნებული ვ. ეორდანია, რომელმაც ადგილობრივ ხელისუფლების წარმომადგენელთა დახმარებით გამოარკვია შემდეგი:

ხარ-ირემი მოუკლავს მონადირეთა კავშირის წევრს მიხა ჩაჩანიძეს, რომელსაც მინდობილი ჰქონდა ბორჯომის ხეობაში ირმების დაცვა და მოვლა მათი გამრავლების მიზნით, რისთვისაც მას გამგეობა სათანადო ხელფასს აძლევდა.

ირემი ჩაჩანიძეს მოუკლავს თარულად გაუტყავებია, ხორცი დაუკიდია ხეზე, რომ არავის შეემჩნია. ღამით ჩაჩანიძის წაუყვანია დამხმარე პირები: ვასილ ბადლავანიძე, ტადე ჩადუნელი და სანდრო ბატარიძე, რომელთაც ირმის ხორცი ჩამოუტანიათ ს. ფაშლოვანში. სადაც მომხდარა მისი განაწილება.

ბოროტმოქმედების კვალის დასაფარავად ტყავი და რქა ბოროტმოქმედთ შეუნახავთ ჩადუნელის ბინაზე იატაკს ქვეშ. კვლევა-ძიების დროს ტყავი და რქა აღმოჩენილ იქნა.

საქმე გადაეცა ბორჯომის სახალხო სასამართლოს რომელსაც დაევალა რიგს გარეშე საჯაროთ მოაწყოს ბოროტმოქმედთა გასამართლება.

გერ.

შემთხვევები

ავტომობილის დაჯახება ეტლზე

9 იანვარს, ავტო-მანქანა, რომელსაც მართავდა შოფერი სიროფ ვართანოვი, ლერმონტოვის და მაჩაბელის ქუჩის კუთხეში, დაეჯახა სერგო ოგანეზოვის ეტლს. ეტლი დამსხვრა. ადამიანის მსხვერპლი არ ყოფილა.

ხანძარი

გუშინწინ ღამით, ხანძარი გაჩნდა მე-5 უბნის სამილიციო კომისარიატის შენობას ხანძარი ჩააქრო ცეცხლის მქრობელმა რაზმმა. როგორც გამოირკვა, ცეცხლი გაჩნდა საკვამლე მილის გაუწმენდაობის გამო.

— 10 იანვარს, ლენინგრადის ქუჩაზე ცეცხლი გაჩნდა სახლს № 2. საჩქაროდ გამოიწვიეს სახანძრო რაზმი, რომელმაც ცეცხლი ჩააქრო 12 წუთის განმავლობაში.

ვისია ტყავეულობა?

სისხლის სამართლის მილიციამ აღმოაჩინა ნაქურდალი ტყავეულობა.

პატრონს შეუძლია ტყავეულობა მოიკითხოს ს. ს. მილიციაში ოთახი № 3.

ტრამვაის ვაგონის ქვეშ

გუშინ, დილით, კარლ მარქსის მოედანზე ტრამვაის ვაგონი (№ 184, მარშრუტი მე-14) დაეჯახა ქუჩაზე გადამავალ ხიბათ მიხეილის ძე პოლიაკოვს და მსუბუქად დაშავა. დაშავებული გაგზავნეს ქალაქის პირველ საავადმყოფოში.

როგორც გამოირკვა, დაჯახებაში ვატმანს ბრალი არ მიუძღვის.

ქურდობა

გაქურდეს ბეგლარ ამირახანოვის მაღაზია (პლეხანოვის პროსპ. № 23); წაიღეს 100 მანეთის საქონელი—რესპუბლიკის მთავარ საავადმყოფოდან მოიპარეს პალტო —ალექსანდრე ვარჩაპეტრიკოვს; ნეკრასოვის ქუჩაზე ჯიბიდან ამოაცალეს ფული და ძვირფასი ნივთები.—სადგურის მოედანზე სოსანა ზაზინჯავოვას რიდიკიულიდან მოპარეს 35 მანეთი.

ხელოვნება

თეატრალურ-დეკორატიული ხელოვნების გამოფენა

ოქტომბრის რევოლიუციამ როგორც ცხოვრების ყოველ დარგში, ისე თეატრალურ განვითარებაშიაც ძირეულად შეცვალა თბილისის პროვინციალური სახე. დღეს თბილისის თეატრებს ერთ-ერთი პირველი ადგილი უჭირავთ საბჭოთა კავშირში. ხსენებული გამოფენა ამის საუკეთესო დამამტკიცებელია.

ამ წერილში გამოფენას შევეხებით მხოლოდ როგორც დეკორატიულ ხელოვნების თანდათანობითი განვითარების დოკუმენტს.

ანარქიული ინდივიდუალიზმის განვითარების პერიოდში ფერითი წერის მხატვრობას დიდი ადგილი ეჭირა. მაშინდელ თეატრი მხატვრობის გარეშე წარმოუდგენელი იყო. იმ დროის დეკორაციები იგივე შეფერადებული ორგანზომილებიანი ტილო იყო, რომელნიც მხატვრულ სალონებიდან და გამოფენებიდან უფრო დიდი მასშტაბით იშლებოდნენ მაყურებლისათვის სცენაზე.

დღესაც ბევრს ჰგონია, რომ აქტიორს, რომელიც სამი განზომილებით მოქმედობს, ხელს არ უშლის სცენიური გარემოს არა გეომეტრიული შეხამება.

ამ გაგებით არის შესრულებული ნიჭიერი მხატვრების ლანსერეს და შარლემანის დეკორატიული ესკიზები. ეს ესკიზები ვარაყიან ჩარჩოს ითხოვენ, მაგრამ თანამედროვე თეატრის განვითარებამ უარჰყო ასეთი ჩარჩოების დამზადება.

ამ ნატურალისტურ გაგებას დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადა ძველი ყოფის წინააღმდეგ პირველად ამხედრებულმა ფუტურისტულმა მხატვრობამ.

ტატიშჩევის „სალომეიას“ ესკიზებში ნათლად მოსჩანს ეს ახალი გაგება. ყველაფერი მოძრაობს, ყველაფერი მიჰქრის, ყველაფერი სასწრაფოდ იცვლება. მის ესკიზებში არ არის ნატურალური ფორმა არც სახე, რადგან ის, რაც მოძრაობს, ათასჯერ მრავლდება და სახეს იცვლის სივრცის ფონზე.

ოქტომბრის რევოლიუციამდე ახალი თეატრი ამ გზით იბრძოდა ნატურალიზმის სტატიურ ფორმებს სცენაზე. ამ მიმართულებამ ცხოვრებისათვის მისაღები დეკორატიული ფორმა მაინც ვერ შექმნა. ნიადაგი—კი მოუმზადა ახალ იდეას—კონსტრუქტივიზმს.

როგორც ნატურალიზმიდან ფუტურიზმში გადასვლამ შექმნა მრავალი სიმბოლიური და მისტიური სახეობანი, ისე კონსტრუქტივიზმში გარდამავალი პერიოდი (თანამედროვეობა) იძლევა სრულიად ახალ სახეს, რომელიც უფრო სიმბოლიზმის და რეალიზმის შეერთებას წარმოადგენს.

ირ. გამრეკელის დეკორატიული შემოქმედება მთლიანად ამ რკალშია მოქცეული. მისი მაკეტები და ესკიზები დროისა და სივრცის გარეშე სდგას. აბსტრაქცია და იმავე დროს სცდილობს მოგვცეს ნივთის რეალური სახე. ეს უკვე გარდამავალი სახეა დეკორატიულ ხელოვნების განვითარებაში და მისი გაგრძელება თუნდაც ისეთი კარგი მიმდევრების მიერ როგორიც ლეხელი, რობერგი და ნაწილობრივ, თუმცა სხვა ხაზით, პეტროვკინი და ითანოვი, მიუღებლად მიგვაჩნია.

სულ სხვაა დავით კაკაბაძის მაკეტი და ესკიზები პიესისათვის „ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ“.

ვინც საბჭოთა საქმიანობას სალი თვალით უყურებს ხელოვნებისადმი მიდგომაში ის გაიგებს რომ ძირითადი პრინციპი ამ საქმიანობის არის არა ანარქიული ინდივიდუალიზმი, არამედ ორგანიზაციული კოლექტივიზმი ინდუსტრიის ფონზე. თეატრის ეს პრინციპი მხატვარიდან მოითხოვს ცოდნას, თუ „რას“ აკეთებს, „როგორ“ აკეთებს და „რად“ აკეთებს“. აქ ყველაფერი გამოზომილი და გამონაგარიშებული უნდა იქნეს წინასწარ. მხოლოდ ნამდვილ კონსტრუქტივიზმს შეუძლია დააკმაყოფილოს ეს მოთხოვნილება და საბჭოთა თეატრი დაუახლოვოს მასების ფსიხიკის ორგანიზატორის და ახალი ყოფის ტრიბუნას.

დ. კაკაბაძის მაკეტი ამ მხრივ თითქმის დამთავრებულ და სანიმუშო სახეს იძლევა. ამ მაკეტში მაქსიმალური ეკონომიით და მიზნობრიობით არის გამოყენებული ხაზი, ფერი და ფორმა.

თუ ცნობილმა ე. იაკულოვმა დეკორატიულ დარგში რევოლიუცია მოახდინა სცენის ზედაპირის შეცვლით დ. კაკაბაძე ამ რევოლიუციას ამთავრებს არა „რეფორმით“ ან „ნოვატორობით“, არამედ რევოლიუციონური გარდაქმნით.

ზ. ზ.

ხელოვნების ქრონიკა

სახელმწიფო ოპერაში

18 იანვარს სახელმწიფო ოპერაში პირველად თბილისში წარმოდგენილი იქნება პუჩინის ოპერა „პრინცესა ტურანდოტი“. ოპერა წავა ნ. ბოგოლიუბოვის დადგმით, პავლოდ-არბენინის დირიჟორობით და მხატვარ იოანოვის დეკორატიული გაფორმებით. ამ ოპერის 1-ლი წარმოდგენა მთლიანად შეისყიდა საქართველოს თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოებამ რომელიც ბილეთებს გაავრცელებს წარმოება-დაწესებულებებში ლატარიის წესით. ფართო საზოგადოებისათვის ოპერა დაიდგმება 20 იანვარს.

ოპერაში მთავარი პარტიები განაწილებულია ვარშავსკაიას დროზდოვის და სუხოდოლსკის შორის.

თბილისში ჩამოვიდა ცნობილი მომღერალი (ბანი) გ. პიროგოვი, რომლის გასტროლები ოპერის თეატრში დაიწყება კვირას, 13 იანვარს. მომღერალი გამოვა სულ 10 წარმოდგენაში. მისი მონაწილეობით წავა „სევილიელი დალაქი“, „ბორის გოდუნოვი“ (ახალი დადგმით) „ფაუსტი“, „კარმენი“ და სხვა. პიროგოვის თბილისში ყოფნის დროს ჩამოვა მოსკოვის დიდი თეატრის მსახიობები კოზლოვსკი (ლირიული ტენორი) და მიგაი (ბარიტონი).

◆ რუსთაველის თეატრის საკონცერტო დარბაზში დღეს გაიმართება დიდი საღამო-კონცერტი.

◆ „პიკის ქალი“. მე-3 აბონიმენტისათვის დღეს წარმოდგენილი იქნება „პიკის ქალი“.

ბიბლიოგრაფია

„საბჭოთა სამართალი“

იუსტიციის სახალხო კომისარიატის ორკვირეული ორგანო № 1, 1929 წ.

ჟურნალი „საბჭოთა სამართალი“ მეორე წელიწადია რაც სისტემატიურად გამოდის. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ხნის განმავლობაში ჟურნალმა საკმაოდ თვალსაჩინო ნაბიჯები გადადგა წინ, შემოიკრიბა თავის გარშემო თანამშრომელთა მუდმივი კადრი და შინაარსის მხრივ გასცდა უწყებრივი ხასიათის ფარგლებს და თანდათანობით ხდება სერიოზულ იურიდიულ ორგანოდ.

სარეცენზიო ნომერი იხსნება ამხ. თ. დოლიძის წერილით: „საბჭოთა არჩევნები და პროკურატურა სოფლად“. ავტორი არკვევს მაზრის პროკურორის ამოცანებს მიმდინარე საბჭოთა არჩევნების კამპანიის დროს—სოფლად სწორ კლასიურ პოლიტიკის გატარებასთან დაკავშირებით ასეთი ამოცანებია მაგალითად: არჩევნებში მონაწილეთა შემადგენლობის კანონიერების მხრივ, მოქალაქეთათვის უკანონოდ საარჩევნო ხმის უფლების ჩამორთმევის გამო პროტესტის აღძვრა, საარჩევნო კომისიათა მუშაობისათვის მეთვალყურეობის გაწევა და სხვა. შემდეგი წერილი: „სასამართლოს ამოცანები კულაკთან ბრძოლის ფრონტზე“ ეკუთვნის ამხ. ი. ტალახაძეს. ავტორი აღნიშნავს, რომ ზოგიერთი ჩვენი სასამართლოები ვერ სდგანან საჭირო სიმაღლეზე კულაკობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მოჯამაგირეთა ინტერესების დაცვის საქმეში. ამხ. ტალახაძე თავის აზრს ამტკიცებს (ციფრებით და ფაქტებით. 1927 წლის განმავლობაში ჩვენს სასამართლოებში გაიარა 70.000 სამოქალაქო საქმემ, რომელთა ძიების თანხა უდრიდა 4.000.000 მანეთს. თავისი შინაარსით ეს საქმეები უმეტესად შეეხება ფულის ან სათესლე მასალის გასესხება-დაბრუნებას, ან მუშა-საქონლის და მუშა ხელის დაქირავებას ან კიდევ იჯარისა და სხვა ქონებრივ გირავნობის დავას. ამ ნიადაგზე აღმოცენებულ ეკონომიურ ურთიერთობაში, დასკვნის ავტორი, „ადგილი იქნებოდა მოვებას, კაბალურ დამოკიდებულობას, მევახშეობას და სხვა კაპიტალისტურ ატრიბუტებს“. მიუხედავად ასეთი მდგომარეობისა, „ჩვენი რესპუბლიკის ფარგლებში აღძრულია 16 საქმე მევახშეობის შესახებ განა შეიძლება დავიჯეროთ, რომ 70.000 საქმიდან მხოლოდ 16 იყო მევახშეობის ნიშნებით?“. სამართლიანად კითხულობს წერილის ავტორი.

მოჯამაგირეთა საქმეების გარჩევის შესახებ ავტორი ამბობს: „გასაკვირველია ის გარემოება, რომ ერთი წლის განმავლობაში ჩვენ გვაქვს ორი შემთხვევა დამქირავებელ კულაკის გასამართლებისა, საქართველოში კი ითვლება 17.000 მოჯამაგირე“. ამის მიზეზად ავტორი იმ არანორმალურ და ფრიად მავნე გარემოებას სახავს, რომ ნაწილი ჩვენი სასამართლოებისა ვერ ამჩნევს კულაკობის როგორც კლასიური მტრის, არსებობის ფაქტს. „განა შეიძლება ლაპარაკი კულაკთან ბრძოლაზე, როდესაც ჩვენი სასამართლოები თვით კულაკის არსებობასაც კი ვერ ამჩნევს?“ (ამონაწერები სხვადასხვა მხარეების სახალხო მოსამართლეთა სამთვიან ანგარიშებიდან: „კულაკობა არ იზრდება, პირიქით ქრება“, „კულაკობისა და მევახშეობის ზრდას ადგილი არა აქვს“, „კულაკები და მევახშეები არა გვყავს“, და სხვა.). სასამართლო ხაზით კულაკობის წინააღმდეგ სწორ კლასიურ პოლიტიკის ღონისძიებათა შორის ავტორი მიუთითებს აგრეთვე კულაკების გასამართლების მოწყობას საჯარო-საჩვენებელ სხდომებზე.

ამხ. ი. რიონიშვილის წერილი ეხება ახალ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის პროექტის შემუშავების საკითხებს. ამ კოდექსის გამოცემა გამარტივებული სახით უახლოესი დროისათვის განზრახული აქვს საქართველოს იუსტიციის სახალხო კომისარიატს. რუსეთის 1927 და 28 წ. წ. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის პროექტზე დამყარებით, წერილის ავტორის აზრით საჭიროა მთელ რიგ ცვლილებათა შეტანა მოქმედ საპროცესო კოდექსის იმ ნორმებში, რომლებიც აფერხებენ სისხლის სამართლის აღძვრას, მოკვლევის და წინასწარ გამოძიებას, სასამართლოში მიცემას და საქმის მოსმენას და შეჩერებას და სხვას. „საბჭოთა სამართლის“ ამ ნომერში მოთავსებული წერილი იხილავს მხოლოდ პირველ ორ საკითხს და რედაქციის მიერ დისკუსიის წესითაა დაბეჭდილი.

ამხ. კ. მიქელაძის წერილი: „საოჯახო შრომითი მეურნეობა და მემკვიდრეობის საკითხი“ წერილში კითხვაზე „შეიძლება თუ არა გაიხსნას მემკვიდრეობა იმ კომლის [illegible], რაც [illegible] მემკვიდრეობა [illegible] კომლის უკანასკნელი წევრის სიკვდილის შემდეგ?“—დადებითად უპასუხებს. ჟურნალში მოთავსებულ დანარჩენ მასალებ შორის აღსანიშნავია ამხ. ე. ენუქიძისა და ს. ქავთარაძის წერილები. პირველის: „თემსაბჭოს პრეზიდიუმის უფლებათა შესახებ მმართველობის დარგში“. და მეორეს: „როგორია რევოლიუციონური კანონიერება აფხაზეთში და როგორ ტარდება ეს“. წერილის შინაარსს შეადგენს აფხაზეთის იუსტიციის სახალხო კომისარიატის და სასამართლოების მუშაობის გამოკვლევის შედეგები. კონსტიტუციის დარღვევის ფარგლების აღნიშვნის გარდა, ამხ. ქავთარაძე გადმოგვცემს მაგალითებს რევოლიუციონური კანონიერების დამახინჯებულად შეფასებისა და გატარების აფხაზეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

ამხ. დუმბაძის წერილი: „საბჭოთა კავშირის შრომა-გასწორების პოლიტიკის პრინციპები და მეთოდები“ სრულია ისეთი პრინციპიული საკითხები, როგორიცაა დამნაშავის პიროვნების კრიმინალურ-ფსიქოლოგიური შესწავლა, დანაშაულობის ფაქტორების ცნობა და სხვა ავტორს დილეტანტურათ აქვს დაყენებული მათ გადაჭრას რომ თავი დავანებოთ.

ჟურნალს თან დართული აქვს ა. კ. და საქართველოს მთავრობათა კანონმდებლობის მიმოხილვა ქართულ და რუსულ ენებზე და იურიდიული დახმარების განყოფილება.

აუცილებელია აღვნიშნოთ ზოგიერთი სუსტი მხარე ჟურნალის რედაქციის მუშაობაში. ჟურნალში მოთავსებული წერილების უმრავლესობა დისკუსიის წესითაა გამოცხადებული, მაშინ, როდესაც წერილის ავტორები არც ერთ დებულებას არ აყენებენ სადისკუსიოს. მაგალითისათვის ვიღებ ამხ. აფაქიძის წერილს, რომელიც სრულიად უბრალო და მარტივ კომენტარიას წარმოადგენს რუსეთის და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსების შეფარდებისას ბანდიტიზმისა და ყაჩაღობის შესახებ.

საჭიროა ენის სიწმინდისადმი მეტი ყურადღება და ახალ იურიდიულ ტერმინებისადმი ფრთხილი მიდგომა. ჟურნალში უნდა იღებდნენ მონაწილეობას არა მარტო იუსტიციის კომისარიატის მუშაკნი არამედ უნივერსიტეტის იურიდიული ძალებიც.

ი. ძაძამიძე.

რადიო-გადაცემა

პარასკევი, 11 იანვარი

დღეს, 11 იანვარს თბილისის 4 კილოვატიან რადიო-სადგურიდან 1075 მეტრიან ტალღაზე გადაცემული იქნება: საუბარი ციკლიდან—„ტეხნიკა მასებს“; ამხ. ჯაფარიძის მოხსენება „ქალების მონაწილეობა არჩევნებში“. თურქული რადიო გაზეთი; ტეხნიკური კონსულტაცია, საუბარი [illegible] ებთან ოსურ ენაზე; ჯანსახკომის [illegible] „გრიპი“; კონცერტი სტუდიიდან; ა.-კ. დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია; ამინდის ბიულეტენი 12 იანვრის პროგრამის გადაცემა.

წერილი რედ. მიმართ

ამხ. რედაქტორო!

შესაძლებელ გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად [illegible] „კომუნისტის“ საშუალებით [illegible]

პიესა „ხოჭოების დღეი“ დაწერილ იქნა ჩემ მიერ რუსთაველის თეატრის დავალებით. პიესის პირველი აქტი დაწერილია სავსებით დამოუკიდებლათ, ხოლო მეორე და მესამე აქტი გადმოკეთებულია პიესიდან „Блудливый директор“. ეს გარემოება უნდა ყოფილიყო აღნიშნული აფიშებში. თბილისში არ ყოფნის გამო, მე მოკლებული ვიყავი საშუალებას, მიმეღო ზომები აღნიშნულ ნაკლის თავის დროზე გამოსასწორებლად.

კომ. სალამით ხოზიკა.

მოსკოვი, 6 ინვარი.

პარტიული კალენდარი

კვირას, 13 იანვარს, დილის 11 საათზე საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტის აგიტპროპმუშაობის კაბინეტის ბინაზე მოწვეულია კაბინეტის ბიბლიოთეკის მკითხველთა კონფერენცია.

სავალდებულოა ბიბლიოთეკის ყველა მკითხველის დასწრება.

შაბათს, 12 იანვარს, 7 საათზე საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტის აგიტპროპმუშაობის ცენტრალურ კაბინეტში (რუსთაველის პროსპ. 21) შესდგება ჯგუფური კონსულტაცია თემაზე: კლასები და კლასობრივი ურთიერთობა საბჭოთა კავშირში. კონსულტანტი ამხ. ოიროვი.

უნდა დაესწრონ პარტიული და კომკავშირის აქტივი და პროპაგანდისტები.

სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიური ფაკულტეტის კომპარტიის ბიურო სხდომა ამავე ფაკულტეტის კომკავშირის ბიუროებთან ერთად შესდგება დღეს, პარასკევს, დილის სრულ 12 საათზე.

დღეს, 11 იანვარს, საღამოს 8 საათზე მეხუთე აუდიტორიაში, შესდგება საქ. სახელ. პოლიტეხნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკ. ახ. ლ. კ. კავშირის უჯრედის კრება. კომკავშირის წევრ-კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა.

საქართველოს კომპარტიის (ბ) ცეკას საორგანიზაციო განმანაწილებელი განყოფილება [illegible] სთხოვს ამხ. დავით ვლადიმირის ძე ლომაძეს ორი დღის განმავლობაში შეიაროს (ცეკაში ოთახი № 22.

ღრმად დამწუხრებულნი მშობლები ლალო და ბესარიონი, ძმები: ვასილი, აკაკი, დები: ზინა და ნატაშა, რძლები: მარიამ და თამარი, ძმისშვილები: ავთანდილი, გივი, კარლო, ეთერი და თინა კობახიძეები, დისშვილები: ზინა და ვალოდია, ბიძაშვილები: ნინა, აკაკი და გალაქტიონ ენუქიძეები თავის ცოლშვილით, ბიძაშვილები: თამარა და ვახტანგი კობახიძეები აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ 9 იანვარს, დილის 3 საათზე გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი

პეტრე (პეტო) ბესარიონის ძე კობახიძე

გამოსვენება მოხდება ქალაქის პირველ საავადმყოფოდან 11 იანვარს, ნაშუადღევის 4 საათზე. დაკრძალვა ავლაბრის სასაფლაოზე. (უ)

ღრმად დამწუხრებულნი ნატალია სირაძისა, კასანია და ვლადიმერ ძესხები შვილებით: ნატაშა, ნასტია, ვენედიქტე, საშა და ივდითი, სიძეები შალვა და მიხეილ ჩუბინიძეები, რძალი ელეონორა, შვილიშვილები: ცისანა და რევაზი აუწყებენ ნაცნობებს, მეგობრებს და ნათესავებს, რომ უდროოთ გარდაიცვალა

პეტრე ბესარიონის-ძე კობახიძე

გამოსვენება მოხდება დღეს, 4 საათზე პირველი საავადმყოფოდან (ყოფ. არამიანცის). დაკრძალვა ავლაბრის სასაფლაოზე. 77

9 იანვარს გარდაიცვალა

როსებ თადეოზის-ძე ამირეჯიბი,

რასაც მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ მეუღლე სალომე გიორგის ასული და შვილები გიორგი და ქაიხოსრო ოჯახობით გამოსვენება 12 იანვარს დღის 3 საათზე ვერის ახალ სასაფლაოზე საკუთარ ბინიდან. ვარდის ქ № 3. 8

მარი ირაკლი, შვილი ნათელა (ლილი) ცერცვაძეები; დები: აგრაფინა, ვერიკა და ქენია; ძმები: ვალიკო და ვახტანგი კეშელავები; სიძეები: ვალოდი ლომთათიძე სერგო მსხილაძე და გრიგოლ მაღულარია, დისშვილები: ოთიკო ლომთათიძე და ზინიკო მსხილაძე აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა უძვირფასესი

გულნინა თედორეს ას. ცერცვაძისა

სამოქალაქო პანაშვიდი 11 იანვარს ნაშუადღევის 4 საათზე. დაკრძალვა შაბათს, 12 იანვარს 3 საათზე. გამოსვენება ბინიდან (ნაძალადევი) რკინის გზის საცხოვრებელი სახლი № 6. 80

სახკინმრეწვის კინოები

ბანთიადი	ისტორიული სურათი ორ სერიათ დღეს პირველი სერია **ჯანყი** რეჟისორი—ა. წუწუნავა. ოპერატორი—ა. დიღმელოვი. საქართველოს სახკინმრეწვის ნაწარმოები.
არფასტო	
სოლეი	
აპოლო	
კოლხი	**ზვავი** ინა ლის, პერესტიანის და პანოვის მონაწილეობით
მინიონი	ცნობილი სურათი **მორალი** ელენ რიხტერის [illegible]
დარბაზი	უკანასკნელად თბილისში **მის-მენდ** 1 და 2 სერია
პროლეტარი (ავლაბარი)	დუგლას ფერბენქსის მონაწილეობ. **ალანის სიზმარი**

0—8

რუსთაველის თეატრი

შაბათს 12 [illegible] არს ფეიქართა და ხიზე მომუშავეთა კავშირების წევრთათვის

„ჯუმა-მაშიდ“ გ. ვენეციანოვის

დრამა 4 მოქ. და 6 სურათად თარგ. ს. შანშიაშვილის

დადგ. მ: ქ. პატარიძის მხატვარი: ირ. გამრეკელი

სამხატვრო ნაწილის გამგე და მთავარი რეჟისორი: ალ. ახმეტელი

დასაწყისი სრულ 8 საათზე

ბილეთები იყიდება თეატრის სალაროში და მუშათა ზოლის სალაროში. მუშათა სასახლე ოთახი № 1.

2—3 ნ. 2107

ექ. დ. ლ. თევზაძე

ყ ლის, ყ რის და ცხვირის ნეულებანი და ლუღლოგანი ხმის და მეტყველების ქვე სპეციალურად არის მოწყობილი ფიზიო-თერაპიული მეთოდებით მკურნალობა

ბოხუაძის ქ. № 9 (ყ. გუდოვიჩისა)

მიღება: დილით 12—1 საათ

საღამოს 7—8 საათ.

გარდა კვირა დღეებისა. 25—6

ცირკი კოლოსი

ტელეფ. № 8—64

გლადილშჩიკოვის გასტროლების უკანასკნელი 3 დღე

დღეს

სენსაციური სანახაობა გლადილშჩიკოვის ბრძოლა გუმბერაზ დათვთან, რომელიც იწონის 20 ფუთს. მონაწილეობს აგრეთვე მთელი დასი და ყველა გასტროლიორები

დასაწყისი საღამოს 8 ნახ. საათზე

კვირას 13 იანვარს დღის სანახაობა

მწვრთნელი გლადილშჩიკოვის უკანასკნელი გამოსვლა. ახალი გასტროლიორები და მთელი დასი

დასაწყისი ნაშუადღევის 2 საათზე

3—3 ნ. 2068

დღეს კინო პალასში

ზვავი

ინა ლის, ი. პერესტიანის და პანოვის მონაწილეობით.

რეჟისორი: პერესტიანი

„ვუფკუ“-ს ნაწარმ.

ნ.

სარეწაო კოოპერატიულ ამხ-ბის „ტრანსშენი“-ს გამგეობა

აცხადებს, რომ თბ. მსუბუქ ტრანსპორტზე მომუშავეთა ნადი „მეეტლე“, რომელიც მოქმედებდა შრომის ნადებისათვის არსებულ წესდების თანახმად, გადაკეთდა სარეწაო კოოპერაციის კავშირის მიერ მიღებულ წესდების საფუძვლებზე და ჩამოყალიბდა თბილისის გაერთიანებულ ტრანსპორტის სარეწაო კოოპერატიულ ამხ.-ბის „ტრანსშენი“-ს სახით. „მეეტლე“-ს მთელი აქტივი და პასივი მექანიკურად გადავიდა „ტრანსშენი“-ს განკარგულებაში

ნ. გამგეობა

ექიმი

ი. ი. ბერიშვილი

ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა

დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 ს. ქალებისათვის ცალკე შესავალი, სასტუმრო „ევროპას“ (ყოფ. „ნოეს“, პირდაპირ ჩოდრიშვილის და პლეხანოვის შესახვევი № 8. ნ. 10. 25—3

ექიმი

ქ. ს. ფონ-ირტელი

სპეციალურად მკურნალობს საშარდე, სქესობრივ (სქესობრივი უძლურება) ვენერიულ (ტრიპერი) ავადმყოფობას, სიფილისს და მის შედეგებს, კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობას (სიმსივნე. ბუასილი) ელექტრო-მკურნალობა და ოპერაციები. ავადმყოფების მიღება დილ. 8 ს. დღის 12 საათამდე და საღ. 4 ნახ. საათ.—7 საათამდე. ქალების მიღება დღის 10—12 საათამდე.

პლეხანოვის პროსპ. № 10

ქ. ქუთაისი

ექიმი

თ. ვ. აკოფაშვილი

შინაგან სნეულება—სპეციალ ფილტვების ავადმყოფობა.

ბროსეს ქ. № 7 (მესამე საბჭოთა აფთიაქის გვერდით.

ნ. 25—11

ექიმი

კ. ი. ჯალალოვი

(კანისა და ვენერიული სნეულებანი) სიფილისი, შეზხაპუნება „914“. ტრიპერისა და მისი შედეგების მკურნალობა.

მამაკაცთა მიღება: დილით—8—9 ს. საღამოს—6—9 საათ. ქალები და ბავშვების მიღება: 5—6 საათამდე.

მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 ყოფ. დიდი მთავრის ქ., კარლ მარქსის მოედნის მახლობლად. ტელეფონი 1—90. ნ. 25—19.

ექიმი—ვენეროლოგი

ნინო მირიანაშვილი

იღებს კანის და ვენერიულ ავადმყოფებს (ქალებს და ბავშვებს)

საღამოს 5—7 საათამდე მოსკოვის ქუჩ. № 4 ყოფ. ზემელის აფთიაქთან, ტელ. 14—23. 25—1

კბილის ექიმი

დ. ს. რიქინაშვილი

კბილების და პირის სნეულებათა მკურნალობა. პლომბები კბილების უმტკივნეულოდ ამოღება, ყოველგვარი ხელოვნური კბილების ჩასმა, ავადმყოფთა მიღება: 10—3 საათ. და 5—7 საათ. საღ.—მისამართი: გრიბოედოვის ქუჩა № 34 რუსთაველის გამზირის კუთხე.

ტელ. 10—14 ნ. 6 25—1

ი. პ. მჭედლიშვილი

შინაგანი ავადმყოფობა. სპეციალურად კუჭის და ნაწლავების სნეულებათა გამოკვლევა და მათი მკურნალობა. ღებულობს 5—6 ს. სანაპირო ქუჩა (ყოფილი ნაპერეჟნაია) № 7—ვერის ხიდთან. ტელეფონი

№ 15—02 ნ. 25—1

ექიმი

ი. ვ. ახმეტელი

იღებს ქირურგიულ ავადმყოფებს 5—6 საათ.

ლენინის (ყოფ. ოლღას) ქ. № 20, მესამე სართული.

6144 50—1

ლოგოპედი

ა. ა. პაიშაური

ყოფილი გამგე მოსკოვის მეორე უნივერსიტეტთან არსებულ ლოგოპედიის კაბინეტისა

ასწორებს

ლოგოპათებს: ენაბლუებს, ენაჩლუნგებს, იფატიკებს და მეტყველების ყოველგვარ დეფექტებს

იღებს: საღამოს, 5—7 საათ.

კლარა ცეტკინის ქ., № 132.

13—1 ნ. 1608

ექიმი

ი. ი. ქეიშვილი

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულ.

კამოს ქ. 72 (ყოფილი დიდი-მთავრის)

მიღება { დილ. 8 ს.—9 საათ. საღ. 6 ს.—8 საათ.

4598 5—12

თვალის ექიმი

მალაევი

ღებულობს ავადმყოფებს

დილით 8—9 საათ., საღ. 6—7 ს.

მისამართი: თვალის საავადმყოფო კლ. ცეტკინის ქ. (ყოფ. ელისაბედის № 47, ელსმენი № 5—90.

ХУДОЖЕСТВЕННЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ОБЩЕСТВЕННЫЙ, НАУЧНО-ПОПУЛЯРНЫЙ ЖУРНАЛ

ДАЕТ в 1929 г. **30 дней** ИЛЛЮСТРИРОВАННЫЙ ежемесячник ДАЕТ в 1929 г.

приложения

„БИБЛИОТЕКУ СОВРЕМЕННЫХ ПИСАТЕЛЕЙ“

8 КНИГ

В КОТОРУЮ ВОЙДУТ ЛУЧШИЕ ПРОИЗВЕДЕНИЯ СОВРЕМЕН. СОВЕТСКИХ ПИСАТЕЛЕЙ и ПОЭТОВ.

1. ИВ. ВОЛЬНОВ.—Юность.
2. Ф. ГЛАДКОВ.—Огненный конь.
3. В. КАТАЕВ.—Растратчики.
4. Ю. ЛИБЕДИНСКИЙ. — Комиссары.
5. Г. НИКИФОРОВ.—У фонаря.
6. А. НОВИКОВ-ПРИБОЙ.—Ухабы.
7. Ю. ОЛЕША.—Зависть.
8. „ПОЭЗИЯ НАШИХ ДНЕЙ“. (Избранные советск. поэты).

24 КНИГИ

СОБРАНИЕ СОЧИНЕНИЙ ГЮИ де-МОПАССАНА под редакц. и со вступит. статьей А. В. ЛУНАЧАРСКОГО.

4 МНОГОКРАСОЧНЫХ ВЫПУСКА

„ЧЕТЫРЕ СЕЗОНА“ около 400 рисунков мод, вышивок и проч. за год.

1 КНИГА

РОМАН А. НЕВЕРОВА.—ТАШКЕНТ—ГОРОД ХЛЕБНЫЙ.

«ДОПОЛНИТЕЛЬНАЯ ПРЕМИЯ—для годовых подписчиков, внесших полностью непосредственно в изд-ство или его отделения подписную плату к 1 января».

ПОДПИСНАЯ ПЛАТА с пересылкой и доставкой во все местности СССР.

I АБОНЕМЕНТ (9 руб. в год) 12 №№ „30 ДНЕЙ“ 8 книг „БИБЛИОТЕКИ СОВРЕМЕННЫХ ПИСАТЕЛЕЙ“ 4 №№ „ЧЕТЫРЕХ СЕЗОНОВ“ на год . . 9 р. — к. | на 3 мес. . 2 р. 50 к. „ 6 мес. . 4 „ 75 „ | „ 1 „ . — 80 „

II АБОНЕМЕНТ (14 рублей в год). В этот 2-й абонемент входят, кроме перечисленного в 1-м абонементе 24 КНИГИ собр. соч. ГЮИ де-МОПАССАНА на год . . 14 р. — к. | на 1 мес. . 1 р. 40 к.

ПРИ ПОДПИСКЕ НА ГОД НЕПОСРЕДСТВЕННО В ИЗДАТЕЛЬСТВЕ ИЛИ ЕГО ОТДЕЛЕН. ДОПУСКАЕТСЯ РАССРОЧКА ПЛАТЕЖА.

По I абонементу: при подписке . . 4 р., к 15 марта . . 3 р., к 15 июня . . 2 р.

По II абонементу: при подписке — 4 р. 50 к., к 15 марта—3 р. 50 к., к 15 июня—3 р. 50 к., к 15 сентября—2 р. 50 к.

Подписчики „30 ДНЕЙ“ за доплату в 3 руб. в ГОД ИЛИ 1 р. 60 к. за 6 месяцев МОГУТ ПОЛУЧИТЬ самый распространенный ежемесячный детский журнал „ЕЖ“

ПОДПИСКУ И ДЕНЬГИ НАПРАВЛЯТЬ: МОСКВА, Центр, Ильинка, 15, Акц. Издат. О-ву „ЗЕМЛЯ и ФАБРИКА“

Подписка принимается во всех отделен. и представит. «ЗИФ», а также повсеместно на почте, во всех отдел. центральн. изд-в, в киосках Контр-ва Печати и на транспорте—уполн. газ. «Гудок».

ექიმი

ვ. მ. ფხალაძე

მარტის ქუჩ. № 6 (ყოფ. ბოგოსლოვის) გადასახვევი ოლღას ქუჩიდან.

ვენერიული და კანის სნეულებანი.

იღებს: დილა-საღამოს.

ნ. 8 25—1

ექიმი

ა. დ. პეპელია

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება

პლეხანოვის პროს. № 116. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ. მიღება დილის 9—12, საღ. 7—8 საათამდე

ტელეფ. —12—67. ნ. 21—1

დაკარგვა: კავშირის წიგნაკი № 307 მაკოს ცისიაულის სახელზე, ჩ. გ.

დაკარგვა: საბინაო დავთარი სანაპირო აღმართი № 13. მე-3 უბანი ივანე სარქისოვის სახელზე, ჩ. გ.

დაკარგვა: პარტიული ბილეთი № 0849806, კომ. მეურნ. მუშ. კთა კავშ. საწ. წიგნაკი № 2370 და მუშკოოპის საწევრო წიგნაკი № 24606 ამბროსი ლევანტის ძე ქანტურიძის სახელზე, ჩ. გ. 83

დაკარგვა: პეტრიკული ამორტირი ირაკლი სპირიდონის-ძე სებისკვერაძის? შვილის სახელზე, ჩ. გ. 79

პოლიგრაფტრესტის მე-5 სტამბა, კამოს ქუჩა № 68.

მთავლიტი № 904.